

This file has been cleaned of potential threats.

If you confirm that the file is coming from a trusted source, you can send the following SHA-256 hash value to your admin for the original file.

3c4cfbf24e18084dd2a9f243374a2d3ffccf3f7da0214062dffaf9601e4d4e2f

To view the reconstructed contents, please SCROLL DOWN to next page.

სახელმძღვანელო

ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე
დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში



მიღწევადი

მონაწილეობა

გამოყენებაზე ორიენტირებული

ხარისხის შიდა მართვა

დამხმარე სახელმძღვანელო

უმაღლესი განათლება

შეფასება

სტუდენტზე ორიენტირებული

განსაზღვრა

კომპეტენციები

სწავლის შედეგები

დანერგვა

EHEA

უზრუნველყოფა

მეცნიერებაზე დაფუძნებული

ESG

აღჭურვა

დიალოგი

შემოწმება

მოქნილი

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს უმაღლეს
განათლებაში კომპეტენციებზე დაფუძნებული ხარისხის შიდა
მართვის ევროპული ინსტრუმენტების კრებულის ნაწილს.



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

ქართული თარგმანი: ირმა გრძელიძე
Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი

სახელმძღვანელო

უმაღლეს განათლებაში კომპეტენციაზე დაფუძნებული ხარისხის შიდა მართვა

ციტირებისას მიეთითება როგორც ელექტრონული წიგნი:

**IQM-HE (2016). Handbook for Internal Quality Management in
Competence-Based Higher Education. Retrieved from [http://ec.europa.eu/programmes/erasmus-
plus/projects/](http://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects/)**

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავდა პროექტის „ხარისხის შიდა მართვა: კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეფასება და სრულყოფა (IQM-HE)“ ფარგლებში.

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამის „ერაზმუს+“ მიერ.



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა მოსაზრებებს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროგრამის „ერაზმუს+“ შედეგების პლატფორმაზე:

→ იხილეთ ბმული <http://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects>.

→ პროექტის მთავარ გვერდზე მოსახვედრად საძიებო ველში შეიყვანეთ პროექტის დასახელება 'Internal Quality Management: Evaluating and Improving Competence- Based Higher Education' in the search bar to get to the project homepage.

გაფორმება - ბირგიტ რიგერი – www.br-design.at

პროექტის კონსორციუმი



ვენის ვეტერინარული მედიცინის
უნივერსიტეტი

ევერლინ ბერგსმანი



ვენის უნივერსიტეტი

ჯულია კლუგი,
მარია-ტერეზა შულცი,
ქრისტიან შპილი



უმაღლეს განათლებაში ხარისხის
უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

მარია კელო



ეკონომიკისა და ბიზნესის
უნივერსიტეტი,
ვენა

კარლ ლედერმიულერი



ავსტრიის ხარისხის უზრუნველყოფისა
და აკრედიტაციის სააგენტო

ფრანცეს ბლუმლი
აჩიმ ჰოპზახი



ვეტერინარული განათლების
პროვაიდერი დაწესებულებების
ევროპული ასოციაცია

ანა ბრავო დელ მორალი,
ლაურა პოლი



ვილნიუსის უნივერსიტეტი



აგრონომიულ მეცნიერებათა და
ვეტერინარული მედიცინის
უნივერსიტეტი, კლუჟ-ნაპოკა



University of Ljubljana

ლიუბლიანას უნივერსიტეტი



ოლდენბურგის კარლ ფონ ოზიეთსკის
უნივერსიტეტი

ავტორები მადლობას უხდებიან კოლეგებს:

დაივა ლეპაიტეს (ვილნიუსის უნივერსიტეტი), სორინ დანიელ დენს (კლუჟ-ნაპოკას აგრონომიულ მეცნიერებათა და ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტი), ჯელკა ზაბავნიკ პიანოს (ლიუბლიანას უნივერსიტეტი), ანდრეა ბროენს (ოლდენბურგის კარლ ფონ ოზიეთსკის უნივერსიტეტი), პეტრ ჰორინგს (ხარისხის შიდა შეფასების კომიტეტი CIQA) და ემა ვან როუჯენს (ვეტერინარ სტუდენტთა საერთაშორისო ასოციაცია) მათი მეტად ღირებული კომენტარებისთვისა და უკუკავშირისთვის სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში.

შინაარსი

ევროპული ინსტრუმენტების კრებული _____ 7

წინასიტყვაობა _____ 9

I ნაწილი

შესავალი _____ 13

წინამდებარე სახელმძღვანელოს საჭიროება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

რის შესახებაა სახელმძღვანელო? _____ 14

რისთვის შემუშავდა ეს სახელმძღვანელო? _____ 15

რა პროცედურების დანერგვას გვთავაზობს სახელმძღვანელო? _____ 16

ვისთვის არის გამიზნული წინამდებარე სახელმძღვანელო? _____ 17

რას არ მოიცავს წინამდებარე სახელმძღვანელო? _____ 19

გარემოებანი _____ 22

გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვაზე

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიღწევები _____ 25

უმაღლესი განათლების უვროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის

სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები _____ 26

გამჭვირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტები _____ 29

ხარისხის გარე უზრუნველყოფა _____ 31

კვლევა _____ 35

კომპეტენციების კვლევა _____ 36

შეფასების კვლევა _____ 45

დანერგვის კვლევა _____ 48

II ნაწილი

დანერგვა _____ 53

IQM (ხარისხის შიდა მართვის) პროცედურების მუშაობის პრინციპები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათი დანერგვა

მიმოხილვა _____ 55

მოსამზადებელი ფაზა _____ 60

I საფეხური: კომპეტენციების განსაზღვრა _____ 65

II საფეხური: კომპეტენციების შემოწმება _____ 74

III საფეხური: კომპეტენციების გაძლიერება _____ 83

შედეგების ასახვა _____ 88

სამომავლო პერსპექტივები _____ 92

მდგრადი დანერგვის უზრუნველყოფა და მისი წარდგენა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის	
მდგრადი დანერგვა და გავრცელება	93
ხარისხის გარე უზრუნველყოფის ანგარიშის წარდგენა	100
დასკვნები	105
გამოყენება და ადამიანებისა და ორგანიზაციების ცვლილება	

III ნაწილი

აბრევიატურები	113
გამოყენებული ლიტერატურა	114
დანართი	120
დანართი 1: ESG -შეჯამება	120
დანართი 2: კომპეტენციის დონეები	124
დანართი 3: კალენდარი	126

სქემები

სქემა 1: IQM პროცედურა	17
სქემა 2: გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენს უმაღლეს განათლებაში ხარისხის შიდა მართვაზე	23
სქემა 3: კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი	39
სქემა 4: IQM პროცედურის დანერგვა	56
სქემა 5: კომპეტენციის მოდელის ხარისხის 5 კრიტერიუმი ხარისხის შიდა მართვაში	66
სქემა 6: კომპეტენციის პროფილი როგორც უკუკავშირი - რჩევები სტუდენტებისთვის	80
სქემა 7: თითოეული კომპეტენციის შედეგის მიმოხილვა - უკუკავშირი- რჩევები მასწავლებლებისთვის	81
სქემა 8: IQM პროცედურის მესამე ნაბიჯი	85
სქემა 9: უკუკავშირი ორგანიზაციებში	109
სქემა 10: IQM პროცედურის დანერგვისათვის შეთავაზებული კალენდარი	127

ევროპული ინსტრუმენტების კრებული

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს უმაღლეს განათლებაში კომპეტენციებზე დაფუძნებული ხარისხის შიდა მართვის ევროპული კრებულის ნაწილს. კრებული შემუშავდა „ერაზმუს+“ პროექტის “ხარისხის შიდა მართვა: კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეფასება და სრულყოფა“ ფარგლებში (IQM-HE). აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო დაეხმარება ხარისხის შიდა მართვაში მომუშავე ადამიანებს დანერგონ ხარისხის შიდა მართვის პროცედურა (IQM- Procedure). აღნიშნული კრებული უფასოაა ხელმისაწვდომი „ერაზმუს+“ პროექტის შედეგების პლატფორმაზე:

- გადადით მითითებულ ლინკზე: <http://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects>.
- გადადით შემდეგ სათაურზე: 'Internal Quality Management: Evaluating and Improving Competence- Based Higher Education' in the search bar to get to the project homepage.
- შეგიძლიათ ინსტრუმენტების კრებული იხილოთ პროექტის ოფიციალური გვერდის შედეგების სექციაში.

ქვემოთ მოცემული ინსტრუმენტების მიმოხილვა IQM-პროცედურის შესაბამისად.

ზოგადი

ინსტრუმენტი 1: კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში ხარისხის შიდა მართვის სახელმძღვანელო.

მოსამზადებელი ფაზა

- ინსტრუმენტი 2: საინფორმაციო მასალა გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 3: საინფორმაციო მასალა IQM-გუნდის პოტენციური წევრებისათვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 4: სამუშაო შეხვედრა მოსამზადებელი ფაზისათვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 5: რესურსების გაანგარიშება (რჩევა)

ნაბიჯი 1 : კომპეტენციების განსაზღვრა

- ინსტრუმენტი 6: სემინარები & სამუშაო ჯგუფები I საფეხურისთვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 7: კომპეტენციის მოდელის ფორმა (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 8: საკომუნიკაციო გეგმა I საფეხურისთვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 9: საინფორმაციო მასალები დაინტერესებული მხარეებისთვის I საფეხურზე (ნიმუშები)

ნაბიჯი 2: მონიტორინგის კომპეტენციები

- ინსტრუმენტი 10: საკომუნიკაციო გეგმა II საფეხურისთვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 11: საინფორმაციო მასალები დაინტერესებული მხარეებისთვის II საფეხურზე (ნიმუშები)
- ინსტრუმენტი 12: კომპეტენციების მონიტორინგის კითხვარი უმაღლესი განათლებისთვის (CSQ-HE; აქტების ჩამონათვალი + ნიმუში)
- ინსტრუმენტი 13: მონიტორინგის ანგარიში (უმაღლესი განათლების კომპეტენციების მონიტორინგის კითხვარზე დაყრდნობით– CSQ-HE; მაგალითი)

ნაბიჯი 3: კომპეტენციების გაუმჯობესება

- ინსტრუმენტი 14: სემინარები III საფეხურისთვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 15: შესაძლო ზომების ნაკრები ხარისხის გაძლიერებისა და უზრუნველყოფისათვის.

შედეგების ასახვის ფაზა

- ინსტრუმენტი 16: შედეგების ასახვა და შედეგების ასახვის ფაზისათვის საჭირო კითხვარები.

მდგრადობა

ინსტრუმენტი 17: პროცედურული წესები ხარისხის მართვის პერსონალისთვის (მაგალითი)

წინასიტყვაობა

ბოლო წლების განმავლობაში ბოლონიის პროცესმა განაპირობა ევროპულ უმაღლეს განათლებაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები. მათ შორისაა: საგანმანათლებლო საფეხურების სტრუქტურების ერთმანეთთან დაახლოება, საერთო კრედიტების ტრანსფერისა და აკუმულირების სისტემის შემუშავება; გამჭვირვალობის მიზნით დიპლომის დანართის გამოყენება, ხარისხის აღიარების, მობილობის და სწავლის პერიოდების გამარტივებული პროცედურები. ხარისხის უზრუნველყოფა ევროპულ კონტექსტში ბოლონიის პროცესის პარალელურად განვითარდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2005 წელს ევროპის მასშტაბით ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ჩარჩოს, კერძოდ, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) შემუშავება.



უფრო მოგვიანებით ბოლონიის პროცესის ძირითადი აქცენტი ფოკუსირდა სუდენტზე და სწავლის შედეგებზე, სწავლებისა და რესურსების ნაცვლად. ეს ცვლილება აისახა 2015 წლის ESG-ის განახლებულ ვერსიაში. შესაბამისად, დაწესებულებების დიდმა ნაწილმა დაიწყო უფრო სტუდენტზე ორიენტირებული ახალი პედაგოგიური მეთოდების შესწავლა და გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვისთვის. ამ თანამედროვე ტენდენციების ფონზე, მოდერნიზებას საჭიროებს უმაღლეს განათლებაში ხარისხის შიდა მართვის პროცედურებიც.

დღეისათვის, ინსტიტუციური ავტონომიის პარალელურად, თითოეული დაწესებულების პასუხისმგებლობაა, შეიმუშაოს ხარისხის შიდა მართვის პროცედურა. ეს მიდგომა ვალიდურია და ერთი მოდელი არასოდეს იქნება მორგებული ყველა ინსტიტუციაზე. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ინსტიტუციურ ძალისხმევას ამ სფეროში, დაიწყო **IQM-HE** პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის ევროპული სახელმძღვანელოს პილოტირებასა და დახვეწას.

სახელმძღვანელო დაწესებულებებს დაეხმარება პრაქტიკული რჩევებით, თუ როგორ დანერგონ უკეთ, მრავალმხრივი მიდგომების საშუალებით, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლებაზე მორგებული ხარისხის შიდა მართვის სისტემა, რომელიც შეეხება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების სხვადასხვა ელემენტს: სასწავლო გეგმას, სწავლებისა და შეფასების მეთოდებსა და სტუდენტების სწავლის სტრატეგიებს.

შემოთავაზებული IQM პროცედურა არის მოქნილი და ადაპტირებადი ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა პროფილის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებსაც სურთ, გააძლიერონ კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება. ENQA მიიჩნევს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო სასარგებლო ინსტრუმენტი იქნება დაწესებულებებში ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის, მისი დახმარებით დაწესებულებები უკეთ გაითვალისწინებენ კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოთხოვნებს და ხელს შეუწყობენ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომის უზრუნველყოფას.

Patrick Walsh

პადრეიკ ვოლში, ENQA-ს პრეზიდენტი

სიახლე

ძალიან დიდ წარმატებად შეიძლება შეფასდეს ათი დაწესებულებისგან შემდგარი კონსორციუმის თანამშრომლობა ხარისხის შიდა მართვის ევროპული ინსტრუმენტების კრეზულის შექმნისას. კრეზული გვთავაზობს პროცედურას, რომელიც „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპით იქნა შემუშავებული.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ასახული ხარისხის შიდა მართვის პროცედურა მოიცავს სამ ძირითად საფეხურს: სტუდენტის წინასწარ განსაზღვრული კომპეტენციების დადგენა შემოწმების გზით; კომპეტენციების გაძლიერება შემოწმების შედეგების ინტერპრეტირებით და ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორების განვითარება.

ყოველივე ეს მიზნად ისახავს ბაზისური სტრუქტურის შემუშავებასა და შეთავაზებას, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეფასებისა და გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. ძირითადი ფოკუსი კეთდება სტუდენტების კომპეტენციებზე, როგორც სწავლისა და სწავლების პროცესის შედეგზე. მნიშვნელოვანია მასწავლებელზე ორიენტირებული გარემოდან სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოზე გადასვლა, რასაც ასევე მივყავართ ზოგადი სტრუქტურებისა და პროცედურების ძირეულ ცვლილებამდე. მხოლოდ ამგვარი მიდგომა მიიყვანს ჩვენს ინსტიტუციებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებამდე.



ასოცირებული პროფესორი
დოქტორი - პეტრა უინტერი

ვენის ვეტერინარული მედიცინის
უნივერსიტეტის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



პროფესორი, დოქტორი -
ჰანს მაიკლ ფაიფერი

ოლდენბურგის კარლ ფონ ოზიეტსკის
უნივერსიტეტის პრეზიდენტი



პროფესორი-კორნელ კატოი
DVM, PhD

კლუჟ-ნაპოკას აგრონომიულ მეცნიერებათა და
ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტის
რექტორი

2010 წლის მარტში შეიქმნა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA) - დღის წესრიგში დგას უწყვეტი განვითარება, გაუმჯობესება და გაძლიერება. EHEA-ში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოცემული სახელმძღვანელოს შექმნაში. სახელმძღვანელო საფუძველს ქმნის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის და იძლევა წარმოდგენილი საშუალებების მოქნილი ადაპტაციის შესაძლებლობას, ერთი მხრივ, ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის და მეორე მხრივ, კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

მეცნიერება ნათელს ფენს კონტექსტს და გვთავაზობს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზებს, გვაწვდის ახალ ინფორმაციას და მეთოდებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განხილვებს, შეფასებებსა და გადაწყვეტილებებს. მომავლის გამოწვევებისთვის თვალის გასწორება ჩვენი პასუხისმგებლობაა და ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ როლს, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების შემოქმედნი. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა, რომელიც მხარს უჭერს კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებას, უეჭველად მოიტანს მხოლოდ სარგებელს: გაზრდის ეფექტიანობას, ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას და სისტემატურად გაამახვილებს ყურადღებას ჩვენს მომავალ თაობაზე – ყველაზე მნიშვნელოვან კაპიტალზე, რაც კი გვაქვს.



პროფესორი, დოქტორი
ივან სვეტლიკი
ლიუბლიანას უნივერსიტეტის რექტორი



პროფესორი, დოქტორი
გრეტა დრუტეიკიენე
ვილნიუსის უნივერსიტეტის
პროფესორი-პარტნიორობის რექტორი



შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოს საჭიროება
უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებისთვის

რის შესახებაა სახელმძღვანელო?
რატომ შემუშავდა ეს სახელმძღვანელო?
რა პროცედურების დანერგვას გვთავაზობს სახელმძღვანელო?
ვისთვის არის გამიზნული სახელმძღვანელო?
რას არ მოიცავს სახელმძღვანელო?

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოს საჭიროება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

რის შესახებაა სახელმძღვანელო?

უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის პროცედურა

სახელმძღვანელო გთავაზობთ პროცედურას კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვისთვის.

უმაღლესი განათლებაში ხარისხის შიდა მართვისთვის (IQM) ჩვენ მივმართავთ სხვადასხვა სასწავლო პროგრამაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მათი ფუნქციონირების მუდმივი უზრუნველყოფისთვის სხვადასხვა ზომებს იყენებენ. ამ სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ხარისხის შიდა მართვის პროცედურა (IQM-Procedure) შესაძლებელია ინტეგრირებული იქნეს არსებულ IQM სისტემასთან, რათა აქცენტი გაკეთდეს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე სტუდენტთა კომპეტენციების თვალსაზრისით. ამან შეიძლება წარმოშვას დისკუსია თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა კომპეტენციების შესახებ, რომელიც იმავდროულად დაეფუძნება მონაწილეობით მიდგომას, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის გამაძლიერებელი იქნება.

კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება შესაძლოა შემდეგნაირად განისაზღვროს:

ჩვენი გაგებით, კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება აქცენტს აკეთებს სტუდენტების კომპეტენციებზე, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის შედეგზე. უმაღლესი განათლების კონცენტრირება კომპეტენციებზე გამოიწვია პარადიგმის ცვლამ მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო გარემოდან სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოზე.

კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება მოიცავს პროცესს დაწყებული საგანმანათლებლო პროგრამით გამიზნული სტუდენტის კომპეტენციების განსაზღვრით, დამთავრებული სტუდენტის საბოლოო გამოვლენილი კომპეტენციების შეფასებით, რომელიც მიღწეულია სწავლა-სწავლების პროცესის საშუალებით. ეს პროცესი უფრო დეტალურადაა ილუსტრირებული კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელში (იხ. სქემა 1-ის შუა ნაწილი). მოდელი იწყება წინასწარ განსაზღვრული სტუდენტის კომპეტენციების განმარტებით. ჩვენ ვხედავთ კვლევაზე დაფუძნებული „კომპეტენციების იდეის“ და პოლიტიკაზე დაფუძნებული „სწავლის შედეგების იდეის“ თანაკვეთას¹. ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „წინასწარ განსაზღვრული კომპეტენცია“ იმ კომპეტენციებისათვის, რომლებსაც უნდა დაეფუძნონ სტუდენტები სპეციალური სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამით. პრაქტიკაში ეს კომპეტენციები ხშირად მოიხსენიება წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების სახელით პროგრამის დონეზე.

¹ დამატებითი ინფორმაცია კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგ ნაწილში „კვლევის კომპეტენცია“

შემდგომ მოდელი აღწერს სწავლებისა და სწავლის პროცესს, რომელშიც სასწავლო გეგმა, ისევე როგორც სწავლების და შეფასების მეთოდები, მუშაობს გამიჯნულ კომპეტენციათა მისაღწევად. სწავლა-სწავლების პროცესი ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ როლს და იღებს სტუდენტთა სწავლის სტრატეგიებს. სწავლა-სწავლების პროცესის შედეგები სტუდენტის გამოვლენილი კომპეტენციებია, რომლებსაც სტუდენტებმა უკვე მიაღწიეს. „გამოვლენილი კომპეტენციები“ ერთის მხრივ განისაზღვრება, როგორც სტუდენტების მიერ მათი მიღწეული კომპეტენციების თვითშეფასება და მეორე მხრივ, როგორც მასწავლებლების მიერ სტუდენტთა მიღწეული კომპეტენციების აღქმა. საგანმანათლებლო პროგრამა აღწევს მიზანს, თუ სტუდენტთა გამოვლენილი კომპეტენციები შეესაბამება სტუდენტთა განსაზღვრულ კომპეტენციებს².

რისთვის შემუშავდა ეს სახელმძღვანელო?

კომპეტენციაზე დამყარებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვა საჭიროა

ბოლონიის პროცესმა³ პოპულარული გახდა კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებას ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. შესაბამისად, ბევრმა ინსტიტუციამ დაწერა კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება და ორიენტირებული გახდა სტუდენტებსა და მათ კომპეტენციებზე. უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის პროცედურებში ეს მიმართულება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და ორიენტირებული იყოს სტუდენტის კომპეტენციებზე, ისევე, როგორც კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაზე.

ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელმძღვანელობენ ერთი და იმავე ჩარჩოთი

ხარისხის შიდა მართვის შემუშავება თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობა იყო. ეს ლოგიკურია სხვადასხვა კულტურების, სასწავლო მიმართულებების და ინსტიტუციური ავტონომიის გათვალისწინებით. თუმცა ბოლონიის პროცესმა შექმნა საერთო საფუძველი და ინსტიტუციები ახლა მუშაობენ ერთი და იმავე ჩარჩოს გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად, საბაკალავრო-სამაგისტრო-სადოქტორო ხარისხები, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა თუ კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება. ამას გარდა, ინსტიტუციები ხელმძღვანელობენ ხარისხის უზრუნველყოფის ერთი და იმავე ჩარჩოთი, რომელიც განსაზღვრულია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებით და მითითებებით.

პერსპექტივები

მიუხედავად ბევრი მსგავსებისა ევროპულ ინსტიტუციებში, მაინც არ იყო საერთო სტრუქტურა კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის პროცედურებისთვის, რომელიც მოერგებოდა განსხვავებულ ინსტიტუციებს და დაფუძნებული იქნებოდა ESG-ზე (2015). ამ დანაკლისის აღმოფხვრა და პროცედურების შემუშავება შესაძლოა მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის გზით შეიძლება მოხერხდეს. აქედან გამომდინარე 10 ინსტიტუციისგან შემდგარმა კონსორციუმმა ითანამშრომლა წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნისათვის. 10 ინსტიტუცია წარმოადგენს პრაქტიკოსებისა და მკვლევარების, ასევე უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მომუშავე ექსპერტების ხედვას. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ხარისხის მართვის ახალი შიდა

² კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში „კომპეტენციის კვლევა“.

³ ESG (2015)

პროცედურა, შემოკლებით IQM პროცედურა, დაფუძნებულია ფართო ექსპერტულ ცოდნაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ინსტიტუციები ბევრი რამით ერთმანეთის მსგავსია, მაინც არ არსებობდა საერთო სტრუქტურა კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის პროცედურებისთვის, რომელიც მოერგებოდა განსხვავებულ ინსტიტუციებს და დაფუძნებული იქნებოდა ESG-ზე(2015). ამ ხარვეზის აღმოფხვრა და პროცედურების შემუშავება მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის გზით შეიძლება მოხერხდეს. აქედან გამომდინარე, 10 ინსტიტუციისგან შემდგარმა კონსორციუმმა ითანამშრომლა წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნისათვის. ეს 10 ინსტიტუცია წარმოგვიდგენს პრაქტიკოსებისა და მკვლევრების, ასევე უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მომუშავე ექსპერტების ხედვას. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ხარისხის მართვის ახალი შიდა პროცედურა, შემოკლებით IQM პროცედურა, დაფუძნებულია ღრმა ცოდნასა და გამოცდილებაზე.

რა პროცედურების დანერგვას გვთავაზობს სახელმძღვანელო?

შემოთავაზებული IQM-პროცედურა მეცნიერებას ეფუძნება

მოცემულ სახელმძღვანელოში შემოთავაზებული IQM პროცედურა არა მხოლოდ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეზეა ორიენტირებული, არამედ დაფუძნებულია კომპეტენციებსა და შეფასების კვლევაზე. ამასთან, სახელმძღვანელო გთავაზობთ ინფორმაციას როგორ დაინერგოს IQM პროცედურა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად, სახელმძღვანელო დაფუძნებულია დანერგვის კვლევაზეც.

შემოთავაზებული IQM-პროცედურა მოიცავს სამ საფეხურს


ამ სახელმძღვანელოში შემოთავაზებული IQM პროცედურა მოიცავს სამ საფეხურს. როგორც სქემა 1-შია წარმოდგენილი, პირველ საფეხურზე უნდა განისაზღვროს გამიზნული კომპეტენციები და სტუდენტები კომპეტენციის საფეხურებს უნდა დაეუფლონ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამით (=კომპეტენციის მოდელის შემუშავება). მეორე საფეხური მოიცავს კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პროცესის და სტუდენტის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. მესამე საფეხურზე უფრო დეტალურად განიხილება სწავლების და სწავლის პროცესი და ანალიზდება შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაცია სწავლა-სწავლების სხვადასხვა ელემენტებთან დაკავშირებით (საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სუდენტთა სწავლის სტრატეგიები და კონტექსტი). ამ ანალიზზე დაყრდნობით იხვეწება ხარისხის გაძლიერებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებები.

კონსტრუქციული შესაბამისობა

IQM პროცედურაში ყველა ამ საფეხურის მიყოლის ძირითადი აზრი ისაა, რომ ზირითადი იდეა მსგავსია კონსტრუქციული შესაბამისობის ⁴ იდეისა, რაც ნიშნავს იმას, რომ წინასწარაა განსაზღვრული მისაღწევი შედეგები და სწავლება და შეფასება შეესაბამება ამ შედეგებს. ეს გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების, შედეგების მისაღწევად მიმართული სტუდენტთა სწავლის ტენდენციების და შედეგების შეფასების შესაბამისობას. საბოლოოდ, ყველა ერთეული უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული და შეესაბამებოდეს დანარჩენებს ისე, რომ ფორმულირებული კომპეტენციები მიიღწეოდეს იმით, რაც ისწავლება, და შეფასდეს შესაბამისი შეფასების ფორმებით.

⁴ Biggs & Tang (2011)

ეს იყო შემოთავაზებული IQM პროცედურის მოკლე შესავალი. დეტალები იხილეთ სახელმძღვანელოს II ნაწილში.



სქემა 1 : IQM პროცედურა

ვისთვის არის გამიზნული წინამდებარე სახელმძღვანელო?

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაზე ორიენტირებული ინსტიტუციებისთვის, რომლებიც:

- გეგმავენ დანერგვას ან უკვე დანერგეს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება.
- დაინტერესებულნი არიან კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეფასებითა და გაუმჯობესებით.

- მიზნად ისახავენ გააძლიერონ დაინტერესებული მხარეები ინტერაქტიული შეფასების მეთოდებით; IQM პროცედურა დაფუძნებულია ინტერაქციული შეფასების მიდგომაზე.⁵
- სურთ, ხელი შეუწყონ მართვის პროცესის ორგანიზაციულ ცვლილებას კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მიმართულებით; IQM პროცედურა მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს.
- მზად არიან მობილიზება გაუკეთონ დანერგვის პროცესისთვის საჭირო რესურსებს; სახელმძღვანელო ორიენტირებულია სათანადო დანერგვის უზრუნველყოფაზე.
- განეკუთვნებიან სხვადასხვა უმაღლესი განათლების ტიპებსა და დისციპლინებს. სახელმძღვანელო გთავაზობს დარგობრივად არასპეციფიკურ ხარისხის შიდა მართვის პროცედურას, რომელიც ეხება ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სწავლების ტიპის და ადგილის მიუხედავად.
- მოიძიებენ მეცნიერებაზე დაფუძნებულ ხარისხის მართვის პროცედურებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისთვის; სახელმძღვანელო დაფუძნებულია კომპეტენციების კვლევაზე, შეფასების კვლევაზე და დანერგვის კვლევაზე⁷.
- ოპერირებენ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, რადგან სახელმძღვანელო ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის⁸ მიღწევებს. თუმცა სახელმძღვანელო შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციისათვის, რომელსაც სჭირდება მეცნიერებაზე დაფუძნებული ხარისხის მართვის პროცედურა კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისათვის.

სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ პირის ან პირებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხარისხის შიდა მართვაზე და ეძებენ ამისთვის მოქნილ პროცედურას.

მოცემული სახელმძღვანელოს სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხარისხის შიდა მართვაზე⁹. ჩვენ გთავაზობთ ხარისხის შიდა მართვის პროცედურას, რომელსაც შეუძლია მოერგოს უმაღლესი განათლების კონტექსტს. ჩვენ გთავაზობთ პროცედურის ზოგად სტრუქტურას, რომელიც სქემა 1-ში სამ საფეხურადაა წარმოდგენილი. ამ საფეხურების დანერგვის მეთოდები შესაძლოა განსხვავდებოდეს ინსტიტუციური კონტექსტის მიხედვით. ამიტომ სახელმძღვანელო მოიცავს არა მხოლოდ დანერგვის ძალიან კონკრეტულ მეთოდებს, არამედ გასათვალისწინებელ ძირითად კომპონენტებსაც, იმ შემთხვევისთვის, თუკი შემოთავაზებული კონკრეტული მეთოდი არ არის შესაბამისი თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირისთვის/ პირებისათვის, რომლებსაც სურთ, პროცესი დაიწყონ საპილოტე პროექტით.

სახელმძღვანელო დაეხმარება ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს, რომლებსაც უნდათ, დაიწყონ საპილოტე პროექტი უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში. ეს საპილოტე პროექტი გამიზნულია კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მხოლოდ ერთი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამისათვის. თუმცა, სახელმძღვანელო ასევე იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გაავრცელოთ შემოთავაზებული IQM პროცედურა თქვენს ინსტიტუციაში არსებულ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე.

⁵ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „შეფასების კვლევა“

⁶ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „დანერგვის კვლევა“

⁷ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „კვლევა“

⁸ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიღწევები“

⁹ IQM პროცედურის შესახებ დაწერილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინსტრუმენტების კრებულში

რას არ მოიცავს წინამდებარე სახელმძღვანელო?

ეს სახელმძღვანელო:

- არ წარმოადგენს მოსაზრებებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ: თითოეულმა ინსტიტუციამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, დანერგოს თუ არა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება.
- არ არის სავალდებულო სახელმძღვანელო: თითოეულმა ინსტიტუციამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული IQM პროცედურა ინსტიტუციის საჭიროებებს.
- არ წარმოადგენს ობიექტური მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტებს არც სტუდენტის კომპეტენციებზე და არც სწავლების პროცესზე; ყურადღება გამახვილებულია მონაწილეთა მოსაზრებებზე; თუმცა შესაძლებელია პროცედურისთვის ობიექტური ინსტრუმენტების დამატებაც.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ ჩვენ უკვე უფრო ღრმად გავაანალიზებთ სხვადასხვა მიღწევას, რომელიც გავლენას ახდენს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვაზე, როგორიცაა, მაგალითად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიღწევები, კვლევისა და სხვა მიღწევები. („გარემოებანი“ თავის ქვეთავებში „ევროპული სივრცის მიღწევები“ და „კვლევა“. II ნაწილში მოგაწვდით ინფორმაციას, თუ როგორ მუშაობს შემოთავაზებული IQM პროცედურა კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისთვის და როგორ დავნერგოთ იგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.



გარემოებანი

გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ
კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი
განათლების ხარისხის შიდა მართვაზე

მიღწევები ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში
უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის
უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო
პრინციპები
გამჭვირვალობის და აღიარების ინსტრუმენტები
ხარისხის გარე უზრუნველყოფა

კვლევა

კომპეტენციის კვლევა
შეფასების კვლევა
დანერგვის კვლევა

გარემოებანი


გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვაზე

მნიშვნელოვანი გარემოებანი

უმაღლესი განათლებაში ხარისხის შიდა მართვის პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა მოთხოვნები და მიღწევები (იხილეთ სქემა 2). ამ თავში განხილული იქნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიღწევები, აგრეთვე კვლევების გარემოებანი. ამ საკითხში მნიშვნელოვანი ფაქტორია დაინტერესებული მხარეების საჭიროებებიც. ხარისხის შიდა მართვა მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების ჩართვასა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

უმნიშვნელო გარემოებანი

ვინაიდან ეს სახელმძღვანელო გამიზნულია სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე ინსტიტუციების მიერ გამოყენებისთვის, ის არ მოიცავს ადგილობრივი ან კონკრეტული პროფესიებისთვის დარგობრივად ან პროფესიების მიხედვით სპეციფიკურ სტანდარტებს, ეროვნულ სტანდარტებს და მასში გამოკვეთილად არც ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური სტანდარტებია შესული. თუმცა, შემდგომი თავი IQM პროცედურის შესახებ გვთავაზობს მოქნილ პროცედურას, რომელშიც რეკომენდებულია დარგობრივად სპეციფიკური ან პროფესიების მიხედვით სპეციფიკური, როგორც ეროვნული ასევე ინდივიდუალური ინსტიტუციური სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ინტეგრირება.



სქემა 2: უმაღლეს განათლებაში ხარისხის შიდა მართვაზე არსებული გავლენები.
IQM- პროცედურა მოიცავს გავლენებს, რომლებიც მოცემულ სქემაში წითლადაა აღნიშნული

განსხვავებული მიღწევები - განსხვავებული ენები

ჩვენი მიზანია ხარისხის შიდა მართვის განსხვავებული ხედვების (რაც ზემოთ ვახსენეთ) ინტეგრირება ქვემოთ წარმოდგენილ IQM პროცედურაში. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და კვლევაში არსებული მიღწევები ყოველთვის არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. შედეგად, პოლიტიკა და კვლევა ხშირად სხვადასხვა ტერმინს იყენებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის ერთი და იმავე საკითხის აღსანიშნად. გვხვდება პირიქითაც, როდესაც პოლიტიკაში და კვლევაში ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვა გაგება აქვს. წინამდებარე სახელმძღვანელოში გაერთიანებულია ეს სხვადასხვა პერსპექტივები. გამოყენებული ტერმინების ზუსტი მნიშვნელობები და ზოგადი ფონური ინფორმაცია მოცემული იქნება შემდგომ თავებში, რაც მკითხველს დაეხმარება კონკრეტული პერსპექტივებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვაში მათი მნიშვნელობის გაცნობიერებაში.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიღწევები

რის შესახებაა ეს თავი?

- ბოლონიის პროცესის უახლესი მიღწევები
- ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა ბოლონიის პროცესში
- ბოლონიის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მთავარი ნიშნულები

ბოლონიის პროცესში განხორციელებული ბოლო სიახლეები

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) შექმნა არის ევროპის მასშტაბით მიმდინარე ბოლონიის პროცესის შედეგი, რომლის მიზანიც იყო უმაღლეს განათლებაში რეფორმების გატარება. ბოლონიის პროცესის მიზანი, როგორც ეს განმარტებულია 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციაში, არის ევროპულ უმაღლეს განათლებაში ჰარმონიზებული სივრცის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო თანამშრომლობაზე და აკადემიურ გაცვლაზე, რაც მიმზიდველია როგორც ევროპელი, ასევე დანარჩენი მსოფლიოს სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მთავარ მიზნებს წარმოადგენს:

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და უმაღლესი განათლების პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- სტუდენტების სამომავლო კარიერისთვის და დემოკრატიულ საზოგადოებებში აქტიურ მოქალაქეებად ცხოვრებისთვის მომზადება, მათი პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;
- დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული და აკადემიურად თავისუფალი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბოლონიის პროცესი არის ნებაყოფილობითი მთავრობათაშორისი პროცესი, რომელიც წამოიწყო 29 ხელმომწერმა ქვეყანამ და ამჟამად წარმოდგენილია 48 ქვეყნით, რომლებიც ევროპული კულტურის კონვენციის ნაწილს წარმოადგენენ. ბოლონიის პროცესის მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ ხელმომწერი ქვეყნების ეროვნული სამინისტროების გარდა, მასში ჩართულები არიან ევროკომისია, ევროპის საბჭო და იუნესკოს, ასევე ევროპულ დონეზე უმაღლესი განათლების ორგანიზაციების წარმომადგენლები, ინსტიტუტები¹⁰, სტუდენტები¹¹, მომსახურე პერსონალი¹², დამსაქმებლები¹³ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები¹⁴.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე 2010 წელს დაარსდა, ზოგიერთი რეფორმა უკვე სრულად იქნა დანერგილი რამდენიმე მონაწილე ქვეყანაში. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რომელიც ასახულია მინისტრთა კომფერენციის კომუნიკეში (ერევანი) არის წევრი ქვეყნების ხელშეწყობა, განახორციელონ "ბოლონიის რეფორმები". 2015 წლიდან მთავარ პრიორიტეტებს ასევე წარმოადგენს: კურსდამთავრებულების დასაქმება, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის გახსნა საერთაშორისო დიალოგისათვის მსოფლიოს სხვა რეგიონების

¹⁰ ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA) და ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია (EURASHE)

¹¹ ევროპის სტუდენტთა კავშირი (ESU)

¹² საერთაშორისო განათლება

¹³ ევროპის ბიზნესი

¹⁴ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA)

ქვეყნებთან, და მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებიდან სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლა.

ხარისხის უზრუნველყოფა ბოლონის პროცესში

ხარისხის უზრუნველყოფა იმთავითვე ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი იყო და დღემდე ინარჩუნებს საკვანძო როლს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. ბოლონის პროცესის დანერგვის ბოლო ანგარიშში, რომელიც წარდგენილი იქნა ერევნის მინისტერიალზე 2015 წლის მაისში, ხარისხის უზრუნველყოფა აღინიშნა, როგორც ბოლონის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი.

ბოლონის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამი მთავარი ნიშნული გამოიყოფა, ესენია: (1) ევროპაში შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის საერთო სტანდარტების მიღება. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ('ESG'); (2) გამჭვირვალობისა და აღიარების რიგი ინსტრუმენტების დანერგვა (მაგ, დიპლომის დანართი ან ECTS) და (3) ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (EQAR) დაარსება 2008 წელს. EQAR მართავს ხარისხის უზრუნველყოფის იმ სააგენტოების რეესტრს, რომლებმაც გარე შეფასების შედეგად აჩვენეს თანხვედრა ESG-ის სტანდარტებთან.

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებული დიდი მრავალფეროვნების გათვალისწინებით - რაც განიხილება სიმდიდრედ და არა ტვირთად - უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ბოლონის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი არის გამჭვირვალობის გაზრდა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების და მათი ცალკეული ელემენტების შიგნით. ამიტომაც, EHEA-ში გამჭვირვალობისა და აღიარების ხელშესაწყობად სხვადასხვა ინსტრუმენტი და ინიციატივა დაინერგა.

თუ გავითვალისწინებთ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომაზე და სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომაზე - რესურსების ჩადების მიდგომის საპირისპიროდ - გადსვლის მნიშვნელობას, კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა ძალიან კარგად ერგება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის თანამედროვე ტენდენციებს. მომდევნო ქვეთავებში ჩვენ შემოგთავაზებთ დამატებით ინფორმაციას ამ სამი მთავარი ნიშნულის შესახებ.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.

რის შესახებაა ეს თავი?

- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG), როგორც საერთო ჩარჩო ხარისხის უზრუნველყოფისათვის.
- ESG-ის რელევანტურობა და შედეგები კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვაში.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

ESG არის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობა უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფისათვის. ESG არ წარმოადგენს ხარისხის სტანდარტებს, როგორც ასეთს, და არც იმის აღწერას, თუ როგორ ინერგება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები. თუმცა ისინი იძლევა რჩევას და მონიშნავს სფეროებს, რომლებიც მოიცავს იმ სფეროებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხარისხისთვის. ESG არის „ზოგადი პრინციპები“, რომლებიც პრაქტიკული დანერგვის მრავალფეროვან საშუალებას იძლევა. ისინი ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ „ერთგვაროვანი მიდგომა უმაღლესი განათლების ხარისხის და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ“ არ არის შესაფერისი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისთვის, ამ სივრცეში არსებული მრავალფეროვანი მიდგომებისა და უმაღლესი განათლების განსხვავებული ტრადიციების გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ESG აღწერს არა იმას, თუ „როგორ“ უნდა გაკეთდეს, არამედ იმას, თუ „რა“ უნდა იქნეს მიღწეული.

ESG-ის მიზანია ევროპისთვის ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ჩარჩოს შეთავაზება; უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება; ურთიერთნდობის ხელშეწყობა; და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

ESG 2015 დაფუძნებულია შემდეგ ოთხ პრინციპზე:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
2. ხარისხის უზრუნველყოფა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების სისტემების, დაწესებულებების, პროგრამებისა და სტუდენტების მრავალფეროვნებას;
3. ხარისხის უზრუნველყოფა ხელს უნდა უწყობდეს ხარისხის კულტურის განვითარებას;
4. ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტუდენტების, ყველა სხვა დაინტერესებული მხარისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოლოდინს.

ESG ფოკუსირებულია უმაღლეს განათლებაში სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, და თუმცა მათში გათვალისწინებულია საერთო სასწავლო გარემო და სწავლებისა და სწავლის კავშირები კვლევებსა და ინოვაციებთან, ისინი უშუალოდ არ ზრუნავენ ამ ელემენტების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ESG ვრცელდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე, სწავლის ფორმისა და განხორციელების ადგილის მიუხედავად. რაც ნიშნავს იმას, რომ ESG თანაბრად მოიცავს როგორც ელექტრონულ, ასევე ტრადიციულ, საგაკვეთილო სწავლებას, ასევე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის დაწესებულებების ტრანსნაციონალურ უზრუნველყოფასაც. ESG შედგება სამი ნაწილისაგან, რომლებიც ეხება ხარისხის შიდა უზრუნველყოფას, ხარისხის გარე უზრუნველყოფას და უმაღლეს განათლებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ხარისხის უზრუნველყოფას. ეს სამი ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის კარგად ფუნქციონირებადი სისტემის განუყოფელი ნაწილია.

ESG ჩამოყალიბდა 2005 წელს და განახლდა 2015 წელს. ცვლილებების თვალსაზრისით, ESG 2015 ითვალისწინებს 2005 წლიდან მომხდარ ცვლილებებს ევროპულ უმაღლეს განათლებაში: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისკენ გადახრას და მოქნილი სასწავლო პროცესის და არაფორმალური განათლების გზით მიღებული კომპეტენციების აღიარების საჭიროებას. ამას გარდა, მნიშვნელოვანი ცვლილებების ჩამონათვალს მიეკუთვნება უმაღლესი განათლების მზარდი ინტერნაციონალიზაცია, ელექტრონული სწავლების გავრცელება და ცოდნის გადაცემის ახალი ფორმები, რომლებიც გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ESG 2015 ასევე მოიხსენიებს ევროპული მასშტაბის სხვა ინსტრუმენტებსაც, რომლებსაც წვლილი შეაქვთ უმაღლეს განათლებაში ნდობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაში: კვალიფიკაციათა ჩარჩოს,

ECTS-ს და დიპლომის დანართს, და ამით ხელს უწყობს ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენებასა და დანერგვას.

ESG-ის შესაბამისობა კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვასთან

ESG¹⁵-ის პირველი ნაწილი ეხება დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტებს. როგორი სასწავლო მიდგომა არ უნდა იქნეს მიღებული ინსტიტუციებში, სკოლებსა და დეპარტამენტებში, ამ ნაწილში წარმოდგენილი სტანდარტები ხარისხის მართვის სისტემის შექმნის ან მოდიფიცირების აუცილებელი საფუძველია. ფაქტობრივად, სტანდარტები ასევე ვრცელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის ხარისხის შიდა მართვაზე და შესაბამისადაც უნდა გამოიყენებოდეს.

ESG 2015 განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება, მასთან დაკავშირებული ხარისხის შიდა მართვის სისტემა და მეთოდები ESG-ის პრიორიტეტს წარმოადგენს. ფაქტობრივად, ნაწილი 1-ის რამდენიმე სტანდარტი მკაფიოდ მიუთითებს სწავლების შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომაზე, მოქნილ სასწავლო პროცესზე, წინმსწრებ განათლების აღიარებაზე, ტრენინგის პერიოდის ხარისხის უზრუნველყოფასა და ზოგადად, სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომაზე. კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების კონტექსტში ჩამოთვლილი სტანდარტები მოითხოვს განსაკუთრებულ კვლევასა და შეფასებას.

- სტანდარტი 1.2 ითვალისწინებს პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებას, ამასთანავე მოითხოვს, რომ პროგრამები შემუშავდეს სწავლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვით;
- სტანდარტი 1.3 ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებას და შეფასებას, რომელიც მოითხოვს სტუდენტების მაქსიმალურ ჩართვას და სწავლის პროცესში აქტიურ მონაწილეობას. აგრეთვე, შეფასების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას;
- სტანდარტი 1.4 ითვალისწინებს სტუდენტის მიღებას, წინსვლას, აღიარებასა და სერტიფიცირებას, რომელიც მოიცავს და წინარე განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- სტანდარტი 1.5 ითვალისწინებს ლექტორ/მასწავლებლებს, გამოკვეთს მასწავლებლის შეცვლილ როლს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში;
- სტანდარტი 1.6 ითვალისწინებს სასწავლო რესურსებს და სტუდენტების მხარდაჭერას, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებულ სწავლის მეთოდებს და უნდა ადაპტირდეს სტუდენტების განსხვავებული საჭიროებების მიხედვით.

შესაბამისად, ESG აყენებს მნიშვნელოვან მოთხოვნებს უმაღლესი განათლების ყველა მიმწოდებლისთვის, მაგრამ, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე ძლიერი ფოკუსირების წყალობით, ისინი ძალიან აქტუალურია და ბუნებრივ ასახვას ჰპოვებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მიდგომაში. რეკომენდებულია, ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო ინსტიტუციამ დეტალურად განიხილოს ESG-ის I ნაწილი და თავის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს მიუსადაგოს. კერძო საკითხები, რომლებიც

¹⁵ ESG - ისოგადი მიმოხილვა იხილეთ დანართი 1-ში. სრული დოკუმენტი იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.enqa.eu/index.php/home/esg/>

უმაღლესმა საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა ამ კონტექსტში უნდა განიხილონ, მოცემულია ხარისხის გარე უზრუნველყოფის სექციაში.

რეკომენდებული დამატებითი საკითხავი:

ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (ESG).
(2015). ბრიუსელი, ბელგია.

გამჭვირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტები

რას შეეხება აღნიშნული თავი?

- გამჭვირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტების მიმოხილვა
- Europass-ის აღწერა, ხარისხის ევროპული ჩარჩო და ECTS
- ხარისხის შიდა მართვის მოსალოდნელი შედეგები

EHEA-ს ინსტიტუციებს შორის გაზრდილმა გამჭვირვალობამ და აღიარების გაიოლებამ საფუძველი ჩაუყარა ტრანსევროპულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. ამ თავში დაწვრილებით არის აღწერილი გამჭვირვალობის წესებისა და აღიარების ინსტრუმენტები, რომლებმაც ხელი შეუწყო EHEA-ში სტუდენტებისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას. ამ თავში მოცემულია ხარისხის შიდა მართვის მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების აღწერა.

მიმოხილვა

ევროპული კომისიის მხრიდან, EHEA-ში სტუდენტებისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მიზნით გამჭვირვალობისა და აღიარების ხელშეწყობის ინსტრუმენტები დაინერგა. საინფორმაციო ჩარჩო გვთავაზობს გამჭვირვალობისა და აღიარების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების ჩამონათვალს. ბმულები შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე თავის დამატებით საკითხავ ნაწილში.

გამჭვირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტები

- ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემა (ECTS System);
- Europass;
 - დიპლომის დანართი;
 - ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - მობილობა;
 - სერტიფიკატის დანართი;
- ევროპული (ეროვნული) კვალიფიკაციის ჩარჩო;
- ENIC-NARIC ქსელები;
- U-Multirank პროექტი;
- ევროპის უმაღლესი განათლების რეესტრი (ETER);
- ვალიდურობის ევროპული უწყისი (VET).

ეს ინიციატივები რელევანტურია არა მხოლოდ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის, არამედ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების ხარისხის (შიდა) მართვისთვისაც (მაგ.: ECTS და სასწავლო დატვირთვისთან დაკავშირებული საკითხები). აღნიშნული საკითხი უფრო კონკრეტულად ქვემოთ არის განხილული. განვიხილოთ კომპეტენციებზე დაფუძნებული პროექტისათვის სამი ყველაზე რელევანტური ინსტრუმენტი (ECTS, Europass და ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო-დოკუმენტი).

Europass, ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო-დოკუმენტი და ECTS

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც მნიშვნელოვანია სტუდენტის მაქსიმალური მობილობა ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს შორის, სჭირდება საზომი, რომელიც სხვადასხვა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო მოდულების შედარების საშუალებას მოგვცემს. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობის საფუძველს წარმოადგენს სტუდენტების სასწავლო დატვირთვა, რათა მიღწეული იქნეს გამიზნული შედეგები, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დამატებით საშუალებას აძლევს, მიჰყვნენ სტუდენტზე ორიენტირებულ პარადიგმას. შესაბამისად, ECTS-ის ფარგლებში გამიზნული სამუშაო საათების ოდენობა აისახება კრედიტებში. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საბაკალავრო პროგრამებს აქვს 180-240 კრედიტი, ხოლო სამაგისტრო პროგრამებს – 60-120 კრედიტი, სადაც 1 კრედიტი (დაახლოებით) უტოლდება 25-30 სამუშაო საათს.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცეში Europass-ის (მაგ. პიროვნულ დონეზე) ან ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს¹⁶ (მაგ. ზემოთ ხსენებულ ეროვნებათაშორის დონეზე) (supra-national) მსგავსი უამრავი ინიციატივა, ისევე, როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, გვეხმარება კურსდამთავრებულების მიერ ცალკეულ ინსტიტუციებში სწავლის პროცესში მიღებული კომპეტენციების აღწერაში. ეს ინიციატივები უზრუნველყოფს ევროპაში ეროვნულ საგანმანათლებლო კვალიფიკაციებსა და მათ დონეებს შორის მოქნილობას. შესაბამისად, ეს ინსტრუმენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხმარება საუკეთესო პოტენციური სტუდენტების პოვნაში, აგრეთვე დამსაქმებლებს აძლევს შესაძლებლობას, შეადარონ პოტენციური თანამშრომლების ფორმალური კვალიფიკაცია საუკეთესო თანამშრომლის შესარჩევად. უფრო მეტიც, სამუშაოს მაძიებლებს ან სტუდენტებს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მოქნილი მობილობის შესაძლებლობა აქვთ.

ხარისხის შიდა მართვის შედეგები

დაწესებულებაში ECT სისტემის გამოყენებისა და მონიტორინგისას კომპეტენციასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი არის მისი კავშირი სტუდენტის დატვირთვასთან. ყველასთვის ცნობილია, რომ სტუდენტის მიერ დახარჯული დრო მჭიდრო კავშირშია სწავლის შედეგებთან¹⁷. ხარისხის შიდა და გარე მართვა ოპერირებს ინსტრუმენტებით, რომლითაც შეძლებს, პირდაპირ თუ ირიბად შეაფასოს და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის ნორმატიულ სამუშაო დატვირთვასა და სასწავლო პროცესში ემპირიულ დატვირთვას შორის ბალანსის დაცვას, და აგრეთვე ინსტრუმენტებით, რომლითაც შეაფასებს სწავლაზე დახარჯული დროის ხარისხს. პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც გვაცნობს სტუდენტების კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტებს, გვეხმარება, შევისწავლოთ და განვიხილოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც გვხვდება შესაბამისი ნორმატიული და ემპირიული სამუშაო დატვირთვების შესაბამისობაში. ასევე – სწავლა-სწავლების პროცესის

¹⁶ Bologna-Process (2007-2010) or the European Commission (2008)

¹⁷ Ebbinghaus (1885); Anderson (2000)

ხარისხში. ეს ინსტრუმენტების კრებული გვაცნობს დაინტერესებული მხარეების ფართო მასებისთვის საჭირო მეთოდოლოგიას. ამასთან, კრებული შეიძლება დაგვეხმაროს, კურიკულუმში აისახოს სამუშაო დატვირთვათა რამდენიმე მოდულის ოპტიმალური ნაზავის და მათი ინტეგრაციის შემოთავაზება. წარმოადგენს რამდენიმე მოდულის ნაზავს (და მათ ინტეგრაციას) მოლოდინების ასახვაში.

თუმცა, შეფასების კომპეტენციები შეესაბამება არა მხოლოდ ECT სისტემას, არამედ რამდენიმე სხვა ინსტრუმენტსაც, როგორცაა Europass-ის ინიცირება ან ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო-დოკუმენტები, სადაც კურსდამთავრებულების კომპეტენციები განსაზღვრულია (პირდაპირ ან ირიბად) და უნდა შეფასდეს ხარისხის შიდა მართვის მექანიზმებით. შესაბამისად, ეს პროექტი გვიქმნის წარმოდგენას სასწავლო პროცესში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ემპირიულ კვალიფიკაციებზე.

რეკომენდებული დამატებითი საკითხავი:

- ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECT სისტემა):
http://ec.europa.eu/education/ects/ects_en.htm
- Europass: <https://europass.cedefop.europa.eu/en/home>;
 - დიპლომის დანართი;
 - ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - Europass-ის მობილობა;
 - სერთიფიკატის დანართი;
- ევროპული ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო-დოკუმენტი:
<http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/qf/qf.asp>;
[https://ec.europa.eu/ploteus/search/site?f\[0\]=im_field_entity_type%3A97](https://ec.europa.eu/ploteus/search/site?f[0]=im_field_entity_type%3A97);
- ENIC-NARIC ქსელი: http://ec.europa.eu/education/tools/naric_en.htm;
- U-Multirank პროექტი: http://ec.europa.eu/education/tools/u-multirank_en.htm;

ხარისხის გარე უზრუნველყოფა

რის შესახებაა აღნიშნული თავი?

- ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნების, პრინციპების, როლისა და მიდგომების მოკლე მიმოხილვა.
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის პერსპექტივებიდან IQM პროცედურის დანერგვისათვის შესაბამისი ასპექტები.

უმაღლეს განათლებაში ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნები

თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში უმაღლესმა საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა და/ან პროგრამებმა უნდა გაიაროს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის გარე უზრუნველყოფა მიზნად ისახავს ზოგადად:

- სტანდარტების უზრუნველყოფას პროგრამულ და ინსტიტუციურ დონეზე, არსებულ ეროვნულ კანონმდებლობასთან და რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტებთან კავშირში;
- ხარისხის მართვის სისტემის, ასევე, პროგრამულ და ინსტიტუციურ დონეზე, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობას;
- ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემების ხარისხის დემონსტრირებას გამჭვირვალობის – როგორც კვალიფიკაციებისა და პროგრამების აღიარების წინაპირობის – გაზრდის გზით.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პრინციპები

ევროპულ დონეზე ESG ხარისხის გარე უზრუნველყოფის (ESG II ნაწილი) და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მუშაობისთვის (ESG III ნაწილი) მთავარი კრიტერიუმის დანიშნულებას ასრულებს. ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები ESG-ის მიხედვითაა შექმნილი და მიჰყვება მის დადგენილ ოთხ პრინციპს¹⁸. ESG-ის ხარისხის გარე მართვის ჩარჩო-დოკუმენტი აღიარებს განსხვავებებს სამართლებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში და სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების როლი

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები ჩვეულებრივ დაფუძნებულია ეროვნულ სამართლებრივ დებულებებზე და ავტორიზებულია საჯარო ორგანოების მიერ. მათ ეკისრება პასუხისმგებლობა, განსაზღვრონ გარე ხარისხის მართვის პროცედურებისთვის მეთოდები და კრიტერიუმები ეროვნულ ფარგლებში. სააგენტოებს თავად შეუძლიათ, ისწრაფოდნენ ევროპულ დონეზე აღიარებისაკენ, ESG-სთან შესაბამისობაზე თანასწორთა მიერ გარე ურთიერთშეფასების გზით.

დარგობრივად არასპეციფიკური და დარგობრივად სპეციფიკური სააგენტოები

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში შეიქმნა როგორც დარგობრივად არასპეციფიკური (non-domain specific), ისევე დარგობრივად სპეციფიკური (domain specific) ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები. დარგობრივად სპეციფიკური სააგენტოები ხშირად ემსახურებიან მრავალ მიზანს მკაცრად რეგულირებად დარგებში. მაშინ როცა, მიზანი დარგობრივად სპეციფიკურ და არასპეციფიკურ სააგენტოებს შორის შესაძლოა განსხვავდებოდეს, ზოგადად, მეთოდოლოგიური მიდგომა პროცედურებისადმი იგივე რჩება. დარგობრივად სპეციფიკური სააგენტოების სტანდარტები და/ან კრიტერიუმები შესაძლოა მოიცავდეს დარგობრივად სპეციფიკურ დადგენილ აკადემიურ სტანდარტებს, რაც ჩვეულებრივ, არ არის დამახასიათებელი დარგობრივად არასპეციფიკური პროცედურებისთვის.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიდგომები

ტერმინი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“ გამოიყენება ზოგადად სხვადასხვა პროცედურებისთვის. მათ შორის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ყველაზე გავრცელებულია აკრედიტაციის და შეფასების პროგრამები, რომლებსაც მოჰყვება ინსტიტუტების აკრედიტაცია და შეფასება და ხარისხის შიდა მართვის სისტემების ხარისხის აუდიტები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ პროცედურების ტერმინოლოგია, ისევე, როგორც მიზნები და პროცედურების თემები, შესაძლოა ვარიირდეს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. ის, რაც შეიძლება განზოგადდეს, არის ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურების ორი მთავარი მიზანი: ანგარიშვალდებულება და გაუმჯობესება

• ანგარიშვალდებულება

ანგარიშვალდებულებაზე ფოკუსირებულმა პროცესებმა უნდა აჩვენოს და დოკუმენტურად დაადასტუროს ეს ხარისხი მთავარი დაინტერესებული მხარეების წინაშე (მაგ. საჯარო დაწესებულებები, დამფუძნებლები, საზოგადოება) ეს პროცედურები ჩვეულებრივ დაფუძნებულია დადგენილ სტანდარტებზე და ხშირად აისახება „დიახ“ ან „არა“

¹⁸ იხილეთ ქვეთავი „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები“

გადაწყვეტილებებში“. პროგრამების ან ინსტიტუციების აკრედიტაცია მაღალ ანგარიშვალდებულებაზე ორიენტირებული პროცედურების მაგალითს წარმოადგენს.

- **გაუმჯობესება**

პროცედურები, რომლებიც განსაკუთრებით ფოკუსირდება ხარისხის გაუმჯობესებაზე, ჩვეულებრივ შეესაბამება მიზნობრივ მიდგომას და გვთავაზობს რეკომენდაციებს ინსტიტუციების, პროგრამების და/ან ხარისხის მართვის სისტემების ხარისხის დამატებითი გაუმჯობესებისთვის. პროგრამების და ინსტიტუციების შეფასება, ასევე, ხარისხის შიდა მართვის სისტემების ხარისხის აუდიტი ორიენტირებულია ხარისხის გაუმჯობესებაზე.

თუმცა ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები შესაძლოა მიმართული იყოს ამ მიზანთაგან ერთ-ერთზე, უმეტესობა აერთიანებს როგორც ანგარიშვალდებულების, ასევე გაძლიერების ასპექტებს.

IQM-პროცედურის დანერგვისთვის ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები

რადგანაც ხარისხის გარე უზრუნველყოფა ანიჭებს ავტონომიას ინსტიტუციებში ხარისხის შიდა მართვას, გთავაზობთ უფრო ზოგად რეკომენდაციებს (რომელიც ასევე მომდინარეობს ESG-დან), რომლებიც ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ: (1) გარე კონტექსტში, (2) IQM პროცედურის დაგეგმვასა და შემუშავებაში, (3) IQM პროცედურების შესახებ გარე უზრუნველყოფისთვის ანგარიშის წარდგენისას.

1. გარე კონტექსტის განხილვა IQM-პროცედურისთვის

მიუხედავად იმისა, რომ IQM პროცედურის მთავარი აქცენტი კეთდება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ხარისხის შიდა მართვაზე, ხარისხის გარე უზრუნველყოფის ზოგადი ჩარჩო არ უნდა დაირღვეს.

- სხვადასხვა პროცედურებს სხვადასხვა მოთხოვნები ახლავს: გათვალისწინებული უნდა იყოს, ხარისხის გარე უზრუნველყოფის რომელი პროცედურაა სავალდებულო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციისათვის და რომელ სტანდარტებთან და/ან კრიტერიუმებთან უნდა იყოს თანხვედრაში. უნდა გაკეთდეს ხარისხის შიდა მართვის დანერგული სტრატეგიებისა და ინდიკატორების ანალიზი და გამოიყოს საჭიროებები სტანდარტებთან და/ან კრიტერიუმებთან თანხვედრისთვის.
- ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფორმაცია: მნიშვნელოვანია, სააგენტოსთან წინასწარ დაზუსტდეს: (1) რა უნდა იყოს მოცემული თვითშეფასების ანგარიშში, დანართებში და სხვა და (2) როგორ (მაგ. სავალდებულო მოდელები, შემავალი შინაარსობრივი სახელმძღვანელო პრინციპები ან მოცულობის შეზღუდვები).

2. IQM-პროცედურის დაგეგმვისა და შემუშავებისას გასათვალისწინებელი ხარისხის გარე მართვის უზრუნველყოფის მოთხოვნები.

IQM პროცედურის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით გასათვალისწინებელი ასპექტები ხაზგასმულია იმასთან მიმართებით, თუ როგორ უნდა ჩაერთოს IQM პროცედურები ინსტიტუციების მთლიან სტრატეგიებში, მიზნებსა და მოსაზრებებში თავად პროცედურის შესამუშავებლად.

IQM-პროცედურის „ფართო კონტექსტთან“ დაკავშირება

სასურველია მუდამ გვახსოვდეს „ფართო კონტექსტი“ და გავითვალისწინოთ, თუ როგორ შეესაბამება პროცედურა მიზნებს და სტრატეგიებს ინსტიტუციონალურ დონეზე და მთლიანობაში ხარისხის მართვის სისტემას, განსაკუთრებით კი სწავლა-სწავლებას.

- საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება: ხარისხის შემდგომი უზრუნველყოფისთვის რეკომენდებულია ციკლური პროცესის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დაინტერესებულ მხარეთა ყველა ჯგუფი, ასევე გარეშე პირები. უზრუნველყოფა იმისა, რომ სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ჩართულია საერთო ხარისხის მართვაში. ჩვენება, თუ როგორაა დაკავშირებული დანერგილი IQM პროცედურა სწავლისა და სწავლების ხარისხის მართვის ფარგლებში მოქმედ ხარისხის მართვის სხვა ინსტრუმენტებთან (მაგ. კურსის შეფასება, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლებისთვის მასწავლებელთა გადამზადება).
- „დანიშნულებასთან შესაბამისობის“ მიდგომა: რეკომენდებულია განხილვა, თუ როგორ შეიძლება მიესადაგოს IQM პროცედურა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საერთო მიზნებსა და სტრატეგიებს. აგრეთვე, როგორ უნდა შემუშავდეს IQM პროცედურა ისე, რომ მოერგოს ინსტიტუციების მიზნებს: რატომ ხდება პროცედურის ამგვარი გამოყენება? როგორ გვეხმარება იგი კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში?
- სტუდენტთა მონაწილეობა: როგორ შეიძლება, სტუდენტები რეგულარულად ერთვებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი გაძლიერების ღონისძიებებში.

IQM-პროცედურის შემუშავება და დანერგვა

- (ეროვნული) საკვალიფიკაციო ჩარჩო: ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები მეტწილად არ მოიცავს კომპეტენციების დონესა და პროფილთან დაკავშირებულ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების განსაზღვრისას ძირითადად მიმართავენ არსებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, დისციპლინასთან დაკავშირებულ ჩარჩოს ან ეროვნული პროგრამის მახასიათებლებს (დანერგვის პროცედურის I საფეხური).
- განსაზღვრული პასუხისმგებლობები: იგულისხმება მთლიანად IQM პროცედურაზე და პროცედურის სხვადასხვა სამოქმედო საფეხურზე პასუხისმგებელი პირები.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: იგულისხმება IQM პროცედურისთვის რელევანტური დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა და დაგეგმვა, ვინ რომელ სტადიაზე – დანერგვის დაწყებიდან პროცედურის უწყვეტ გაუმჯობესებამდე – და რა ფორმით (მაგ. კითხვარი, ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები) ჩაერთვება. რა თქმა უნდა, დაინტერესებული გარე მხარეებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.
- შედეგების გამჭვირვალობა: ხარისხის მართვის პროცედურებზე დაყრდნობით დაგეგმვა იმისა, თუ როგორ უნდა გაეცნონ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები შედეგებს (მაგ. ცვლილებები მოდულში, შეფასების მეთოდები და ა.შ).
- უწყვეტი განვითარება: პროცედურის შეფასება და განვითარება თავიდანვე უნდა დაიგეგმოს.

შემოთავაზებული IQM პროცედურის დანერგვის საფეხურები (იხილეთ სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილში) ითვალისწინებს ზემოთ ხსენებულ ასპექტებს.

3. ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის IQM-პროცედურის ანგარიში

პროცედურის შესახებ ინფორმაცია, როგორც ხარისხის მართვის საზომი სწავლა სწავლებისას, უნდა იყოს შესაბამისი ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის წარსადგენ ანგარიშთან. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში სახელწოდებით: „ხარისხის გარე უზრუნველყოფის ანგარიშის მომზადება“.

რეკომენდებული დამატებითი საკითხავი:

Curaj, A., Scott, P., Vlasceanu, L., & Wilson, L. (2014). *European Higher Education at the Crossroads. Between the Bologna Process and National Reforms*. Dordrecht, Heidelberg, New York, London: Springer.

აგრეთვე იხილეთ თავი სახელწოდებით: 'როგორ მოვაშალოთ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ანგარიში'.

კვლევა

რის შესახებაა წინამდებარე თავი?

ეს თავი გვთავაზობს შესავალს შემდეგ სამ კვლევით სფეროში:

- კომპეტენციების კვლევა;
- შეფასების კვლევა;
- დანერგვის კვლევა;

კვლევის სამი სფერო, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის მიღწევებთან ერთად კვლევის მიღწევებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში (განსაკუთრებით იმ მიღწევებთან, რომლებიც კავშირშია ESG-ისთან. გამჭვირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტებთან და ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან). კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის განვითარებისა და დანერგვის შესაბამისი შემდეგი სამი კვლევის სფერო არსებობს: (1) კომპეტენციების კვლევა, (2) შეფასების კვლევა, (3) დანერგვის კვლევა.

კომპეტენციების კვლევა

კომპეტენციების კვლევაში ხშირად ყურადღება გამახვილება კომპეტენციების ობიექტურ საზომზე. ამ ობიექტური ინსტრუმენტების¹⁹ განსავითარებლად ბევრი კვლევითი ინიციატივა არსებობს. მათი უმეტესობა ეყრდნობა მიღების თეორიას²⁰. ობიექტური ინსტრუმენტების განვითარებას სჭირდება ბევრი რესურსი, რაც გულისხმობს ობიექტური ინსტრუმენტების შექმნისა და ტესტირების მრავალწლიან პროცესს. ვინაიდან ასეთი ინსტრუმენტები იზომება ობიექტურობის, სანდოობისა და ვალიდურობის მაღალი სტანდარტებით, ისინი ხშირად ფარავნ მხოლოდ კონკრეტულ კომპეტენციებს. კვლევის ამ მიღწევებისგან განსხვავებით, მიღწევებს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში სჭირდება ინსტრუმენტები, რომლებიც იოლად მოერგება დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს, აგრეთვე ინსტრუმენტები, რომლებიც გამოდგება კომპეტენციათა ფართო სპექტრისა და, შესაბამისად, მღიერ მრავალფეროვან კომპეტენციათა შესაფასებლად. კომპეტენციის

¹⁹ Blömeke & Zlatkin-Troitschanskaia (2013)

²⁰ Wilson (2005)

კვლევის ქვეთავში უფრო მეტს გაიგებთ კომპეტენციის კვლევის ტერმინოლოგიისა და იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს კვლევის მიღწევები ახალი IQM პროცედურის შექმნაში.

შეფასების კვლევა

შეფასების კვლევაში დღესდღეობით მიმდინარეობს მსჯელობა შეფასების სხვადასხვა მიდგომების შესახებ ბევრი მათგანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართვას და მათ მიერ შეფასებებისა და შეფასების შედეგების გამოყენებას (მაგ. გამოყენებაზე ორიენტირებული შეფასება, შეფასების გაძლიერება, ან ინტერაქტიული შეფასება). შეფასების კვლევის ქვეთავში უფრო მეტს შეიტყობთ ტერმინოლოგიის, შეფასების მიდგომებისა და შეფასების სტანდარტების შესახებ, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოთ IQM პროცედურის შემუშავებისას.

დანერგვის კვლევა

დანერგვის კვლევა საკმაოდ ახალი თემაა. ის ეხება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამების, პროცედურებისა და ტრენინგების შედეგებს: ხშირად ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ამართლებს ან არ არის ისე ეფექტიანი, როგორც კვლევის შედეგმა აჩვენა. დანერგვის კვლევა გვაძლევს რეკომენდაციებს პროგრამების, პროცედურებისა და ტრენინგების მყარი დანერგვისათვის.

დანერგვის კვლევის ქვეთავში უფრო მეტს გაიგებთ IQM პროცედურისთვის ამ რეკომენდაციების და მათი გამოყენების შესახებ.

კომპეტენციების კვლევა

რის შესახებაა წინამდებარე თავი?

- აღწერა
 - კომპეტენციების და
 - კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების
- განმარტება
 - კომპეტენციების მოდელის რელევანტურობა და
 - კომპეტენციების შეფასების და გაზომვის არსებული ინტრუმენტები

კომპეტენციების ჩვენული გაგება

კომპეტენციების კვლევაში კომპეტენციების ²¹ მრავალი განმარტება არსებობს. უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის კონტექსტში გვესაჭიროება კომპეტენციების განმარტება, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებულ მიღწევებთან და შესაბამისად, შესაძლოა წარმოადგენდეს ბევრი ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციისათვის საფუძველს. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებული მიღწევები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულები არამხოლოდ ღრმა ცოდნას უნდა ფლობდნენ, არამედ უნდა შეეძლოთ დამოუკიდებელი აზროვნება. კურსდამთავრებულებს ასევე უნდა შეეძლოთ ინფორმაციის მართვის უნარ-ჩვევების გამოყენება, დახეპირებისა და ინტუიციის ნაცვლად, ასევე მათი პროფესიის კონტექსტში რელევანტური ქმედებების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროა კომპეტენციის

²¹ იხ. Blömeke, Gustafsson, & Shavelson (2015) ბოლო მიმოხილვა, რომელიც ახდენს პერსპექტივების ინტეგრირებას. კომპეტენციების ჩვენული გაგება დაფუძნებულია ნაშრომზე Bergmann et al. (2015) 22 იხ. მაგ. Weinert (2001)

განმარტება, რომელიც მოიცავს ორივე: კოგნიტურ (მაგ. ცოდნა და ფიქრი) და პრაქტიკულ (მაგ. ქმედებების განხორციელება) ასპექტს. კომპეტენციების განმარტებების უმეტესობა მოიცავს მინიმუმ ზემოთ ხსენებულ ორ ასპექტს^{22 23}.

კოგნიტური ასპექტი

კოგნიტური ასპექტი ნიშნავს იმას, რომ კურსდამთავრებულს აქვს ან არა აქვს საფუძვლის მქონე ცოდნა ამ კომპეტენციაში. კომპეტენციების შესახებ მისი ცოდნის დონე შესაძლოა ვარიირებდეს: უცოდინრობიდან დაწყებული ისეთ ექსპერტად ყოფნამდე დამთავრებული, რომელსაც კომპლექსურად შეეძლება მნიშვნელოვანი ახალი ცოდნის გენერირებაც კი. ამ უკიდურესობებს შორის შეიძლება იყოს შემდეგი დონეები: (1) ზოგი ფაქტის ცოდნა და გაგება, რომლებიც ჯერ არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, (2) ზოგი ფაქტის ცოდნა და მათი აღწერის უნარის ქონა, (3) ამ ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების და ერთიან სისტემად შეკვრის უნარი, (4) ამ ყველაფრის განხორციელების უნარი შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, (5) განსაზღვრული ახალი ცოდნის გენერირების უნარი და ბოლოს (6) მნიშვნელოვანი ახალი ცოდნის კომპლექსურად გენერირება.

პრაქტიკული ასპექტი

პრაქტიკული ასპექტი შესაძლოა მსგავსად ვარიირებდეს დონეების მიხედვით. ეს არის უფრო მეტად ქმედებების განხორციელება, როგორცაა (1) განხორციელოს მხოლოდ ერთი მარტივი ქმედება ვისიმე ხელმძღვანელობით, (2) შეეძლოს მეტი ქმედებების გახორციელება დადგენილ სამუშაო პროცესში, (3) მოახდინოს სხვადასხვა ქმედებების კომბინირება და შეძლოს ტიპურ დაბრკოლებებთან გამკლავება, (4) იმოქმედოს მოქნილად კონკრეტულ პირობებში, (5) შეძლოს ახალი მარტივი პროცედურების და ტექნოლოგიების გენერირება, (6) შეძლოს ინოვაციური კომპლექსური ახალი პროცედურების და ტექნოლოგიების გენერირება.

განზოგადება კომპეტენციების ფორმულირებაში

კომპეტენციები შეიძლება ფორმულირდეს განზოგადების სხვადასხვა ხარისხში. განზოგადების მაღალი ხარისხი მიუთითებს, რომ კომპეტენცია არ არის განსაზღვრული ამ კონკრეტული დარგისთვის. ამ შემთხვევაში, სტუდენტებს და მასწავლებლებს შესაძლოა კომპეტენციის მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა ინტერპრეტაცია ჰქონდეთ. ამის მაგალითია ძალიან განზოგადებული ფორმულირება „კომუნიკაციის კომპეტენცია“. ამის საპირისპიროდ, განზოგადების ძალიან დაბალი ხარისხი, ანუ კომპეტენციის ძალიან სპეციფიური ფორმულირება მიუთითებს იმას, რომ ის ფარავს დარგის ან პროფესიის მცირე სფეროს და შესაბამისად, საჭიროა ბევრი კომპეტენციის ფორმულირება ამ სფეროს მთლიანად მოსაცავად. კომუნიკაციური კომპეტენციის მაგალითი რომ მოვარგოთ ფსიქოლოგიის სფეროს, განზოგადების დაბალი ხარისხი შესაძლოა ასე ფორმულირდეს: „ფსიქოლოგიური შეფასების ანგარიშის წერა“. კურსის დონეზე სტუდენტთა სწავლის შედეგები, ჩვეულებრივ, ფორმულირებულია განზოგადების დაბალი ხარისხით.

კონტექსტის გათვალისწინება

განზოგადების ხარისხზე საუბრისას უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის კონტექსტში, საჭიროა განვიხილოთ ხარისხის მართვის პროცესი. პირველ რიგში, დაინტერესებულ პირებს უნდა

²² იხ. Weinert (2001)

²³ გათვალისწინეთ, რომ კომპეტენციების ჩვენული გაგება განსხვავდება ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (EQF) კომპეტენციის განმარტებისგან. EQF კომპეტენცია მოიცავს სამ ასპექტს- ცოდნა, უნარი და მოტივაცია. EQF-ის მიზანია იმუშაოს, როგორც სათარგმნი ინსტრუმენტი და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები მთელ ევროპაში ერთმანეთის შესადარი გახადოს.

მიეწოდოთ ინფორმაცია კომპეტენციებზე, რომლებიც მათი რელევანტურია და შესაბამისად, სპეციფიკურია მათი დარგისთვის. მეორე, ჩვენი მიზანია IQM-პროცედურა იყოს რეალისტური და განხორციელებადი. ამგვარად, დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეწოდოთ კომპეტენციების მოზომილი რაოდენობა ისე, რომელთან გამკლავებასაც შეძლებენ IQM პროცედურის ინფორმაციის შოგროვების და ინტერპრეტაციის ფაზაში.

განზოგადების საშუალო ხარისხი და კონტექსტის გათვალისწინება

ზემოთ ხსენებულ მსჯელობებზე დაყრდნობით, გათვალისწინებული კომპეტენციების ფორმულირებას განზოგადების საშუალო ხარისხში, (პროგრამის დონეზე სტუდენტის სწავლის შედეგების მსგავსად), რაც გულისხმობს, რომ კომპეტენციები დარგობრივად სპეციფიკურად არის ფორმულირებული, მაგრამ უფრო განზოგადებულია, ვიდრე კურსის დონეზე სტუდენტთა სწავლის შედეგები²⁴. თუკი კომუნიკაციის კომპეტენციის იმავე მაგალითს გამოვიყენებთ, განზოგადების საშუალო ხარისხი იქნება მაგალითი: „პაციენტთა დიაგნოზისა და თერაპიის კომუნიკაცია“ ეს ფორმულირება არის დარგობრივად სპეციფიკური რადგანაც ის ეხება ჯანდაცვის სფეროს (მაგ. მედიცინა ან ფსიქოლოგია). ის აგრეთვე მოზომილია, რადგან მოიცავს რამდენიმე საკომუნიკაციო სტრატეგიას და არა რომელიმე ერთს.

კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ჩვენეული მიდგომა


კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების²⁵ ეს მიდგომა დამყარებულია სქემა 3-ზე გამოსახულ კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელზე. მოდელი ასახავს კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებას ერთი კონკრეტული პროგრამის ჭრილში. სქემა 3 ასახავს მრავალ დონეს წინასწარ განსაზღვრულ კომპეტენციებსა (მაგ. კომპეტენციის მოდელი) და კურსდამთავრებულების გამოვლენილ კომპეტენციებს შორის. კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების პრობლემების განხილვისას, სწავლა-სწავლების პროცესის ყოველი ელემენტი უნდა განიხილებოდეს, როგორც შესაძლო გამომწვევი მიზეზი.

კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი

კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი აჩვენებს პროცესს სტუდენტის მოსალოდნელი კომპეტენციებიდან, ე.ი. კომპეტენციებიდან, რომლებიც სტუდენტებმა უნდა აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტის გამოვლენილ კომპეტენციებამდე, რაც დასტურდება სტუდენტებისა და მასწავლებლების განცხადებებით საგანმანათლებლო პროგრამის რეალურად ათვისების შესახებ. მოდელი აგრეთვე აჩვენებს, რომ სწავლისა და სწავლების თითოეულ ელემენტს ახლავს პროცესის ხელის შეშლის რისკი. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამით სტუდენტის კომპეტენციების ჩამოყალიბება კომპლექსური პროცესია.

²⁴ პროგრამის დონეზე სტუდენტის სწავლის შედეგები კომპეტენციის მოდელში შესაძლოა გამოყენებული იქნეს კომპეტენციების განსაზღვრის საწყის წერტილად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „I საფეხური“.

²⁵ Bergsman et al. (2015)



სქემა 3: კომპეტენციებზე-დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი

სტუდენტის შეძენილი კომპეტენციები

პირველი ამოცანა კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში არის იმის განსაზღვრა, თუ რომელ კომპეტენციებს და კომპეტენციის დონეებს უნდა დაეუფლონ სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამით. ამ ამოცანას ეწოდება „კომპეტენციის მოდელის დადგენა.“

B სწავლა-სწავლების პროცესი

კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში საქმე ეხება არა მარტო სწავლების პროცესს, არამედ სტუდენტების სწავლის პროცესსაც. სწავლა-სწავლების პროცესი მოიცავს შემდეგ ოთხ ელემენტს: საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლების და შეფასების მეთოდებს, სწავლის სტრატეგიებსა და კონტექსტუალურ ფაქტორებს.

B1 საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამა საჭიროა მიემართებოდეს ყველა კომპეტენციას, რომლებიც ჩამოვთვალეთ კომპეტენციების მოდელში. უფრო მეტიც, საგანმანათლებლო პროგრამა ასევე უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ კომპეტენციის დონეები ადეკვატურად იყოს ასახული.

კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი და ლექცია უნდა იყოს შერწყმული სტუდენტთა კომპეტენციების წარმატებულად ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, ცალკეულ კურსს როდი ევალება ცალკეული კომპეტენციის ჩამოყალიბება. შედეგად, მასწავლებლებმა უნდა იმუშაონ გუნდურად, რათა უზრუნველყონ სტუდენტთა კომპეტენციების განვითარება.

B2 სწავლებისა და შეფასების მეთოდები

კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში სწავლების მეთოდები ადეკვატურად ავითარებს სტუდენტთა კომპეტენციებს. ასევე, შეფასების მეთოდებიც ისე უნდა შემუშავდეს, რომ წახალისდეს სტუდენტების მიერ კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის სტრატეგიების გამოყენება.

B3 სწავლის სტრატეგიები

კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისას წახალისებული იქნება სტუდენტების მიერ სწავლის პროცესის აქტიური დაგეგმვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი წახალისდებიან ინდივიდუალური სასწავლო მიზნების შემუშავების, აქტიური დაგეგმვის, მონიტორინგის, სწავლის პროცესის ასახვისა და რეგულირებისათვის. ისინი ასევე ფლობენ სხვადასხვა სწავლის სტრატეგიებს, და შეუძლიათ შესაბამისი სტრატეგიების ამორჩევა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ, რთულ ეტაპებზე შეინარჩუნონ მოტივაცია და არეგულირონ ემოცია.

B4 კონტექსტური ფაქტორები

კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისას კონტექსტური ფაქტორებია მაგ. ფინანსური რესურსები, სტუდენტების რაოდენობა, დასაქმებული პერსონალი, სასწავლო ოთახები, აღჭურვილობა და ა.შ. კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაზე გავლენას ახდენს კონტექსტური ფაქტორები. კომპეტენციების პრაქტიკული ასპექტის ხელშესაწყობად ხშირად საჭირო ხდება მცირერიცხოვანი კლასები ან უკეთესი აღჭურვილობა.

C სტუდენტის გამოვლენილი კომპეტენციები

კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში სწავლა-სწავლების პროცესი აისახება სტუდენტის მიერ გამოვლენილ კომპეტენციებში. მისაღწევ მიზნებს წარმოადგენს ზემოთ ხსენებული სტუდენტების კომპეტენციები და კომპეტენციების დონეები. სტუდენტის კომპეტენციის დონეების განსაზღვრის საშუალებით შესაძლებელია მიზნისა და მიღწევის შედარება.

დამატებითი ინფორმაცია კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ შესაძლოა იხილოთ: Zlatkin-Troitschanskaia, Shavelson, & Kuhn (2015)

დასკვნა

რომ შევაჯამოთ, აქამდე გვაქვს შემდეგი სამი მთავარი გზავნილი: (1) ჩვენი მიდგომით, ტერმინი კომპეტენცია მოიცავს ორივე- შემეცნებით და პრაქტიკული ასპექტებს; (2) კომპეტენციები განზოგადების საშუალო ხარისხით უნდა ფორმულირდეს და დარგობრივად სპეციფიკური უნდა იყოს. (3) კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება იწყება მოსალოდნელი კომპეტენციების განსაზღვრით, რომლებსაც სტუდენტები უნდა დაეუფლონ საგანმანათლებლო პროგრამით და გრძელდება სწავლებისა და სწავლის პროცესით, რომელიც ფარავს რამდენიმე ელემენტს. ეს პროცესი სრულდება გამოვლენილი კომპეტენციებით, ე.ი. სტუდენტები ადასტურებენ რომ ისინი სინამდვილეში ითვისებენ საგანმანათლებლო პროგრამას ან მასწავლებლები განაცხადებენ, რომ მათი სტუდენტები რეალურად ითვისებენ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემდეგ ნაწილში უფრო მეტს გაიგებთ სხვადასხვა ტიპის კომპეტენციების მოდელებისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. ამასთან, გავარკვევთ, თუ რატომ არის ეს ინფორმაცია რელევანტური კომპეტენციებზე დამყარებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვისთვის.

კომპეტენციის მოდელები და გაზომვის მეთოდები და მათი შესაბამისობა კომპეტენციებზე დამყარებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვასთან.

ხარისხის მართვის პროცედურა ჩვეულებრივ იწყება პროგრამის მიზნის განსაზღვრით და შემდგომში იყენებს შესაბამის მეთოდებს, რათა შეფასდეს რამდენად იქნა ეს მიზნები მიღწეული. კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების კონტექსტში, მიზნების განსაზღვრა ნიშნავს კომპეტენციების განსაზღვრას, რომლებსაც სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამით უნდა დაეუფლონ. კომპეტენციის კვლევაში ამას „თეორიული კომპეტენციის მოდელის განსაზღვრა“ ეწოდება. კომპეტენციის კვლევა გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა ტიპის კომპეტენციის მოდელის შესახებ. შემდგომში ჩვენ გაგაცნობთ ამ მოდელების ტიპებს. სამივე ტიპი მნიშვნელოვანია. ჩვენ ხაზს გავუსვამთ იმას, თუ როგორ შეიძლება ისინი იყოს სასარგებლო ჩვენთვის. ამას გარდა, ჩვენ უნდა გადავხედოთ უმაღლეს განათლებაში კომპეტენციების საზომ და შეფასების უკვე არსებულ ინსტრუმენტებს და ვეცადოთ, გავარკვიოთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები უმაღლეს განათლებაში ხარისხის შიდა მართვის მიზნით.

კომპეტენციის სხვადასხვა ტიპის მოდელები

კომპეტენციის კვლევაში არამარტო კომპეტენციის განმარტებაა მრავალგვარი, არამედ თეორიული კომპეტენციის მოდელების სპეციფიურობაც. არსებობს სამი სხვადასხვა სახის მოდელი ²⁶, სახელდობრ: კომპეტენციის სტრუქტურის მოდელები, კომპეტენციის დონის მოდელები და კომპეტენციის განვითარების მოდელები.

კომპეტენციის სტრუქტურის მოდელები

კომპეტენციის სტრუქტურის მოდელები განსაზღვრავენ კომპეტენციების ქვეკომპეტენციებად სტრუქტურირებას, რაც ნიშნავს, რომ ისინი განსაზღვრავენ კომპონენტებს, რომლებიც კომპეტენციის ნაწილია. ამის ცნობილი მაგალითია გერმანიის განათლების სამინისტროს ²⁷ ერთ-ერთი

²⁶ Hartig & Klieme (2006); Klieme et al. (2007)

²⁷ KMK (2011)

მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც აღწერს ე.წ. სამოქმედო კომპეტენციის სტრუქტურას, რომელიც აყალიბებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოს. ამ მოდელში სამოქმედო კომპეტენცია სტრუქტურირებულია სამ ქვეკომპეტენციად: პროფესიული კომპეტენცია, პერსონალური კომპეტენცია და სოციალური კომპეტენცია.

კომპეტენციის დონის მოდელები

კომპეტენციის დონის მოდელები განსაზღვრავენ კომპეტენციის დონეებს, ხშირად, დამწყებთა დონიდან ექსპერტთა დონის ჩათვლით. პიროვნება აღწევს კონკრეტულ დონეს, თუ მას შეუძლია განახორციელოს ამ დონის შესაბამისი კონკრეტული ქმედებები. კომპეტენციის დონეების ცნობილი მაგალითია ჯონ ბიგის მიერ შემოთავაზებული **SOLO**-ტაქსონომია²⁸, რომელიც გვებმარება სწავლის შედეგების კლასიფიკაციაში მათი სირთულის მიხედვით. ამ ტაქსონომიაში ბიგი განმარტავს ხუთ დონეს, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტების სწავლის შედეგების ხარისხთან. პირველ დონეზე სტუდენტი არაკომპეტენტურია, მეორეზე - უნისტრუქტურული - სტუდენტმა მხოლოდ ცოტა ასპექტი თუ იცის, მესამეზე - მულტისტრუქტურული - სტუდენტმა იცის უფრო მეტი ასპექტი, მაგრამ ვერ აკავშირებს ერთმანეთთან, მეოთხეზე - რელატიური - შესაძლებელი ხდება ამ ასპექტების გაერთიანება და მეოთხეზე - გაფართოებული აბსტრაქტი - სტუდენტს შეუძლია ეს ასპექტები განაზოგადოს ახალ სფეროში. კომპეტენციის დონეები შესაძლოა ფორმულირდეს უფრო ზოგადად, როგორც ბიგის მოდელში ან უფრო კონკრეტულად, კურსის ან პროგრამის კონკრეტულ მიღებულ სწავლის შედეგებთან კავშირში. ჩვეულებრივ, რუბრიკებში²⁹, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ კომპეტენციის დონეების შესაფასებლად, როგორც თვითშეფასება, კომპეტენციის დონეები ფორმულირდება სპეციფიკური სახით.

კომპეტენციის განვითარების მოდელები

კომპეტენციის განვითარების მოდელები ოპერირებენ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ ჩვენი კომპეტენციები. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი კომპეტენციები ტრენინგების გზით და აქედან გამომდინარე მივაღწიოთ უფრო მაღალ დონეებს. უმაღლეს განათლებაში ჩვენი მოდელებისთვის განვითარებადი ასპექტი გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ სამიზნე დონეები, რომლებსაც სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ ველოდებით მათგან საშუალო კომპეტენციის დონის მიღწევას, როდესაც იღებენ ბაკალავრის ხარისხს და უფრო მაღალს - მაგისტრის ხარისხის შემთხვევაში.

კომპეტენციის მოდელზე მუშაობა

IQM პროცედურის საწყის ეტაპზე ჩვენ გთავაზობთ სტუდენტის გამოვლენილი კომპეტენციების განსაზღვრას ე.წ. კომპეტენციის მოდელის შემუშავებით. სახელმძღვანელო არ გთავაზობს კომპეტენციის მზა მოდელს. დეტალების დაკონკრეტება საგანმანათლებლო პროგრამაზე პასუხისმგებელი პირების ამოცანაა, რადგან მათ იციან ზუსტად, რომელ კომპეტენციებს უნდა დაეუფლონ მათი სტუდენტები. თუმცა კომპეტენციების კვლევა (ანუ სამი ტიპის კომპეტენციის მოდელი) იძლევა რჩევებს ასეთი მოდელის შესადგენად. პირველი, ჩვენ უნდა დავაჯგუფოთ კომპეტენციები მათი სფეროების მიხედვით სტრუქტურის შესაბამისად. მეორე, საჭიროა თითოეული კომპეტენციისთვის განისაზღვროს კომპეტენციების დონეები, რომლებიც კურსდამთავრებულებს ექნებათ - დონეების იდეა რომ განხორციელდეს. მესამე, დონეები არამხოლოდ კურსდამთავრებულთათვის უნდა განისაზღვროს, არამედ სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ეტაპზე მყოფი სტუდენტებისთვისაც. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა ჯგუფს არა

²⁸ Biggs & Collis (1982)

²⁹ იხ.მაგ. Panadero & Jonsson (2013); Reddy & Andrade (2010); Svinicky & Mc Keachie (2012)

აქვს მიღებული დონე კონკრეტულ კომპეტენციაში, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ ამ დონის დაუფლებაში, სანამ ისინი გახდებიან კურსდამთავრებულები - შესაბამისად, განვახორციელებთ განვითარების იდეასაც.

დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება თქვენი ინსტიტუციის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის კომპეტენციის მოდელის შემუშავება, იხ. იმპლემენტაციის თავის I საფეხურში.

რომ შევაჯამოთ, ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის მოდელზე მიგვითითებს იმის შესახებ, თუ როგორ განვსაზღვროთ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი. შემდგომში ჩვენ განვიხილავთ გაზომვისა და შეფასების ინსტრუმენტებს და განვიხილავთ არგუმენტებს მის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ.

კომპეტენციების გაზომვა და შეფასება უმაღლეს განათლებაში

კომპეტენციის კვლევა გვთავაზობს ინსტრუმენტებს შემდეგი სხვადასხვა ტიპის მონაცემების³⁰ შესაგროვებლად: ობიექტური მონაცემები, არასტანდარტული ან დაკვირვებაზე დაფუძნებული მონაცემები და თვითშეფასების ანგარიშის მონაცემები.

ობიექტური მონაცემები

ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც გროვდება ობიექტური მონაცემები, ხშირად წარმოადგენენ სტანდარტული კომპეტენციის ტესტებს, ისევე როგორც საერთაშორისო მონიტორინგის კვლევებისას (მაგ. PISA³¹). თუმცა, არ არსებობს სტანდარტული ტესტები ყველა იმ კომპეტენციისათვის, რომლის შეფასებაც ჩვენ გვინდა. ხანდახან უფრო სასარგებლოა ინფორმაციის ქონა იმაზე, თუ რა კეთდება პრაქტიკაში რეალურად, ვიდრე ტესტების ჩატარება, რომლებიც ძირითადად ცოდნას ამოწმებს³². ამ ტიპის ტესტებში კომპეტენციების პრაქტიკული ასპექტი ნაკლებად თვალსაჩინოა.

არასტანდარტული ან დაკვირვებაზე დაფუძნებული მონაცემები

მეორე ტიპის ინდიკატორებით ჩვენ შეგვიძლია შევაგროვოთ არასტანდარტული ან დაკვირვებაზე დაფუძნებული მონაცემები. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მასწავლებლების პირდაპირ ინტერაქციას მოსწავლეებთან ან თუნდაც გავაკეთოთ გაკვეთილის ვიდეოჩანაწერი. ამ გზით შეგვიძლია უფრო ღრმად ჩავწვდეთ კომპეტენციების პრაქტიკულ ასპექტს. თუმცა ეს მიდგომა საკმაოდ დიდ დროსა და რესურსებს მოითხოვს და ასევე საჭიროებს შეგროვებული ინფორმაციის როგორც გაზომვის, ასევე ინტერპრეტაციისთვის. ამას გარდა, ობიექტურობა გაზომვისა და ინტერპრეტაციისას ხშირად სასწორზე დგას.

თვითშეფასების მონაცემები

გაზომვის მესამე გზაა, შეგროვდეს თვითშეფასების მონაცემები, რომელსაც ასევე უწოდებენ თვითშეფასების ანგარიშის მონაცემებს. ამისთვის გამოიყენება, მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშის კითხვარი სტუდენტებისთვის ან მასწავლებლებისთვის, მსგავსი იმისა, როგორიცაა „ბერლინის შეფასების ინსტრუმენტი სტუდენტების კომპეტენციების³³ თვითშეფასებისათვის“, რომელიც ზომავს იმ მულტიდისციპლინარულ კომპეტენციებს, რომლებიც აკადემიური კურსებით უნდა იქნეს მიღწეული. თვითშეფასების კითხვარი შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი,

³⁰ შეფასების მეთოდების ზოგადი მიმოხილვისათვის იხ. Scheibe, Trittel, Klug, & Schmitz (2014) 31 OECD (2014)

³¹ OECD (2014)

³² Walter & Schiener (2016)

³³ Braun, Gusy, Leidner, & Hannover (2008)

ასევე ელექტრონული შეფასების³⁴ ფორმით. ამას გარდა, თვითშეფასებას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც შეიძლება ჰქონდეს. თვითშეფასების ანგარიშის გზით ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ როგორ წარმოუდგენიათ სტუდენტებსა და მასწავლებლებს კომპეტენციის დონეები და განვითარება. ჩვენ შეგვიძლია, შევადაროთ კიდევ მათი მოსაზრებები და დავინახოთ განსხვავება. თუმცა, თვითშეფასების მონაცემებს გაყალბებისკენ აქვს მიდრეკილება. სტუდენტებს შეუძლიათ, სოციალურად სასურველი პასუხი გასცენ კითხვებს (მაგ. ცრუ დადებითი შეფასება) ან შეუძლიათ დაწერონ, რომ მათი კომპეტენციები უფრო დაბალია. ვიდრე სინამდვილეში (მაგ. ცრუ უარყოფითი შეფასება), თუ უნდათ, რომ გამოხატონ უკმაყოფილება უნივერსიტეტის პერსონალის ან კონკრეტული ლექტორის მიმართ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, თვითშეფასების ანგარიში სტუდენტებისა და მასწავლებლების შეხედულებების გასაგებად ადეკვატური საშუალებაა. ამას გარდა, საკმაოდ მცირე ძალისხმევით შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვება როგორც კოგნიტურ, ისე პრაქტიკულ ასპექტებზე, ანუ თვითშეფასების ანგარიშის ინდიკატორები უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვისთვის ეკონომიური არჩევანია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გირჩევთ, რომ მხედველობაში ყოველთვის გქონდეთ შესაძლო გაყალბებები და დანერგვის პროცესში იმუშავეთ ამ გადახრებზე. ტესტირების შიში სტუდენტებში შეგიძლიათ შეამციროთ მათთვის იმის თქმით, რომ ეს არის მათთვის უკუკავშირის ინსტრუმენტი იმისათვის, რომ შენარჩუნდეს კარგი და შეიცვალოს ის, რაც გამოსასწორებელია. მოკლედ, სანდო შედეგების მისაღებად, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დავავალეთ და გავუწევთ ადმინისტრირებას თვითშეფასების ანგარიშებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში. მიუხედავად ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ეს თვითშეფასების მონაცემები ემყარება სტუდენტებისა და მასწავლებლების ფასეულობებს.

ხარისხის შიდა მართვის მოსალოდნელი შედეგები

ამ თავში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, IQM პროცედურა

- უნდა ეფუძნებოდეს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელს;
- უნდა ამოწმებდეს, კომპეტენციების მოდელი მიჰყვება თუ არა კომპეტენციის კვლევიდან მიღებულ ხარისხის ხუთ კრიტერიუმს³⁵;
 - ასპექტები: კომპეტენციის ფორმულირება მიემართება როგორც კოგნიტურ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს;
 - განზოგადება: კომპეტენციები ფორმულირებულია განზოგადების საშუალო ხარისხით და არის დარგობრივად სპეციფიკური³⁶;
 - სტრუქტურა: კომპეტენციები სტრუქტურირებულია კომპეტენციის სფეროებში;
 - დონეები: კომპეტენციის დონეები განსაზღვრულია ორივე- კოგნიტური და პრაქტიკული ასპექტებისთვის;
 - განვითარება: „კომპეტენციის დონეები გასაზღვრულია დროში სულ მცირე ორი მომენტისთვის, რათა მოგვარებული იყოს განვითარების განზომილებათა საკითხი
- უნდა იძლეოდეს თვითშეფასების ანგარიშის ახალ ინსტრუმენტებს სტუდენტების კომპეტენციებისა და სწავლა-სწავლების დონეების შესამოწმებლად.

აქამდე განვიხილეთ კომპეტენციის კვლევის მიღწევები და IQM პროცედურისთვის რელევანტური ინფორმაცია. მომდევნო თავში ვისაუბრებთ შეფასების კვლევის მიღწევებზე.

³⁴ Greiff, Martin, & Spinath (2014)

³⁵ Bergsmann et al. (2015)

³⁶ განზოგადების დაბალი საფეხურის გამოყენების ანუ კომპეტენციების უფრო სპეციფიური ფორმულირების შესახებ მსჯელობა იხ. თავში „I საფეხური“

რეკომენდაციები დამატებითი საკითხავისთვის

Blömeke, S., Gustafsson, J. E., & Shavelson, R. J. (2015). Beyond Dichotomies. *Zeitschrift für Psychologie/Journal of Psychology*, 223(1), 3-13. doi:10.1027/2151-2604/a000194
<http://econtent.hogrefe.com/doi/abs/10.1027/2151-2604/a000194>

Koeppen, K., Hartig, J., Klieme, E., & Leutner, D. (2008). Current issues in competence modeling and assessment. *Zeitschrift für Psychologie/Journal of Psychology*, 216(2), 61-73. doi:10.1027/0044-3409.216.2.61
<http://econtent.hogrefe.com/doi/abs/10.1027/0044-3409.216.2.61>

Scheibe, A., Tritt, M., Klug, J., & Schmitz, B. (2014). Strategien und Methoden der Erkenntnisgewinnung (Forschungsmethoden) [Strategies and methods for gaining knowledge (research methods)]. In T. Seidel, & A. Krapp (Eds.), *Lehrbuch Pädagogische Psychologie [Textbook educational psychology]* (pp. 83–106). Weinheim: Beltz. https://www.beltz.de/produkt_produktdetails/3903-paedagogische_psychologie.html

შეფასების კვლევა

რის შესახებაა წინამდებარე თავი?

- შეფასების ჩვენული გაგების განმარტება
- დახვეწა
 - მონაწილეობითი შეფასების მიდგომის რელევანტურობისა და
 - შეფასების სტანდარტების, რომლებსაც გამოვიყენებთ

შეფასების ჩვენული განმარტება

ტერმინი „შეფასება“ მრავალგვარ კონტექსტში გამოიყენება და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. სასაუბრო ენაში, ტერმინი შეფასება ხშირად გამოიყენება უბრალოდ იმის გამოსახატავად, რომ რაღაც უკვე გამოცდილია, გაზომილია ან განსჯილია³⁷. ამ სახელმძღვანელოში ჩვენ ვიყენებთ შეფასების³⁸ მეცნიერულ განმარტებას: შეფასება სისტემატურად იკვლევს პროექტების, პროცესების ან პროგრამების მახასიათებლებსა და მოტანილ სარგებელს. შეფასება შეიძლება გაკეთდეს ყველა ფაზაზე და მისი მიზანია, მოგვაწოდოს ინფორმაცია ეფექტურობასა და ქმედითობაზე.

შეფასების მეთოდები

შეფასებები ხორციელდება ბევრი მეთოდით, რომლებსაც ეყრდნობიან მკვლევრები სანდო და ვალიდური მონაცემების³⁹ შეგროვებისთვის. ესენია მაგ: კითხვებისა და მიზნების ფორმულირება, შეფასებისათვის ინდიკატორების განსაზღვრა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ეფექტურობის შეფასება და ბოლოს, შედეგების წარმოდგენა. როდესაც ჩვენ გვინდა შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება პროგრამის ეფექტურობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ვიყენებთ შეფასების სხვადასხვა ინდიკატორებს, ისეთებს, როგორებიც კომპეტენციების გაზომვისათვის აღწერეთ. (მაგ. სტანდარტიზირებული ტესტები, დაკვირვებები, თვითშეფასების ანგარიშები).

³⁷ Kromrey (2001); DeGEval (2008)

³⁸ DeGEval (2008); AEA (2004)

³⁹ Spiel, Schober, & Bergsmann (2015)

მომდევნო ნაწილში ჩვენ გავცნობით შეფასების და შეფასების სტანდარტების მიმართ სხვადასხვა მიდგომებს და ვნახავთ, რამდენად რელევანტურია ისინი კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვისათვის.

შეფასების როგორი მიდგომაა რელევანტური უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვისათვის?

მას შემდეგ, რაც შეფასების კვლევიდან ჩვენ შევძელით იმის გაგება თუ როგორ შევქმნათ მისაღები და მომგებიანი IQM პროცედურა, ახლა გაგაცნობთ შეფასების მიდგომებს, რომლებიც შეიძლება IQM პროცედურისთვის გამოვიყენოთ.

მონაწილეობითი შეფასების მიდგომა

დაინტერესებული მხარეების ინფორმაციული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უმაღლეს განათლებაში კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს მონაწილეობითი შეფასების მიდგომა⁴⁰, რომელიც პროცესში რთავს დაინტერესებულ მხარეებს. შესაძლებელია შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების დიფერენცირება. შიდა დაინტერესებული მხარეები არიან მაგ. მასწავლებლები, სტუდენტები, საგანმანათლებლო პროგრამის კომისია, სენატი ან ვიცე რექტორატი. გარე დაინტერესებული მხარეები არიან მაგ. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან მომავალი დამსაქმებლები.

გამოყენებაზე ორიენტირებული შეფასება

გამოყენებაზე ორიენტირებულ შეფასებაში, როგორც ერთ-ერთ მონაწილეობით მიდგომაში, მასწავლებლებისა და სტუდენტების კავშირები, ანუ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე მუშაობს შემფასებელთან ერთად რათა მიაღწიონ იმის გამოყენებას/უტილიზაციას, რაც პროცესის დასაწყისში ერთად განსაზღვრეს. ისინი ერთად განსაზღვრავენ და ანიჭებენ პრიორიტეტებს რელევანტურ კითხვებს, შეიმუშავენ შეფასებას და გადაწყვეტენ მეთოდებსა და ინდიკატორებს. მას შემდეგ, რაც ხელთ ექნებათ შეგროვებული მონაცემები, ისინი ასევე ერთად ახდენენ შედეგების ინტერპრეტირებას და ავრცელებენ თავიანთ ინსტიტუტებში. ეს პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს ერთობლივი შეფასების პროცესის მეტაშეფასებას.

მონაწილეობის გავლენა ორგანიზაციული ცვლილების პროცესზე

მონაწილეობითი შეფასების მეთოდს, როგორცაა გამოყენებაზე ორიენტირებული შეფასება, გავლენა აქვს შეფასების ობიექტზე. ჩვენს შემთხვევაში შეფასების ობიექტს წარმოადგენს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება. დაინტერესებული მხარეების ჩართვით, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების შესაბამისობა იზრდება უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტში. აქედან გამომდინარე, ამ პროექტში მონაწილეობითი შეფასების მეთოდების გამოყენებამ შეიძლება უზიძგოს ორგანიზაციული ცვლილების პროცესს, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების კომპეტენციებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისაკენ.

⁴⁰ Cousins & Chouinard (2012); Hansen, Alkin, & Wallace (2013)

რომელი შეფასების სტანდარტები უნდა იქნას გათვალისწინებული?

როდესაც ჩვენ ვგეგმავთ შეფასებას, უნდა ვიფიქროთ, რა ხერხებით შევინარჩუნებთ რაც შეიძლება მაღალი შეფასების ხარისხს და სამართლიანობას. ამაში დაგვეხმარება შეფასების სტანდარტების გამოყენება.

შეფასების სტანდარტები არის პრინციპები, რომლებიც ორმხრივად შეთანხმებული იმ ადამიანების მიერ, რომლებიც შეფასების პროფესიულ პრაქტიკაში არიან ჩართული/პროფესიულ პრაქტიკაში იყენებენ მათ. აღნიშნული პრინციპების დაკმაყოფილებით შეძლებთ, გააძლიეროთ შეფასების⁴¹ ხარისხი და სამართლიანობა. შეფასების სტანდარტების პროგრამაში, რომელსაც განათლების შეფასების სტანდარტების გაერთიანებული კომიტეტი (JCSEE) გვათავაზობს, სტანდარტების ხუთი ჯგუფი გამოიყოფა. ესენია: გამოყენება, გამოსადეგობა, მართებულობა, სიზუსტე და შეფასების ანგარიშვალდებულება.

JCSEE-სტანდარტები

„გამოყენებაზე ორიენტირებული სტანდარტების (The utility standards) დანიშნულებაა, დაინტერესებული მხარეები შეფასების პროცესსა და მის შედეგებს უფრო გამოსადეგად და თავიანთ საჭიროებათა უკეთ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ. გამოყენებაზე ორიენტირებული სტანდარტები მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: შემფასებელი უნდა იყოს საიმედო და იცავდეს ვადებს, ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა დაინტერესებულ მხარეს და პროცესში გამოყენებული ინფორმაცია უნდა იყოს მნიშვნელობის მქონე.

გამოსადეგობის სტანდარტებით (feasibility standards) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეფასების ეფექტურობა და ქმედითობა. ისინი მოიცავს მაგ. შემდეგს: პროექტის ეფექტურ მართვას, აზრთა სხვადასხვაობის დიპლომატიურ გადაჭრას და შეფასებისას რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

მართებულობის სტანდარტები (propriety standards) ხელს უწყობს შეფასებაში ჩართული ორივე მხარის უფლებების დაცვას. ისინი მოიცავს მაგ. შემდეგს: ეთიკურად მოქცევას, ფორმალურ შეთანხმებებზე დაყრდნობას, დასკვნების გაკეთებისას გამჭვირვალობას, შეზღუდვებს, ფისკალურ/საფინანსო საკითხებს და კონფლიქტისას ღიაობასა და პატიოსნებას.

სიზუსტის სტანდარტები (accuracy standards) გვეხმარება ზუსტი ინფორმაციის მიღებაში შემდეგი გზით: ხარისხის ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა საიმედოობა და ვალიდურობა, ინფორმაციის სისტემური შეგროვებით, ადეკვატური შემუშავებისა და ანალიზის გამოყენებით და კომუნიკაციის იმ გზით, რომელიც თავიდან აგვაცილებს სამომავლო არასწორად გაგებას.

შეფასების ანგარიშვალდებულების სტანდარტები (evaluation accountability standards) გვეხმარება ჩვენი შეფასებისას ერთობლივი შეფასების პერსპექტივაში გამოყენებისას. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ და გავაუმჯობესოთ ხარისხი, ჩვენ დოკუმენტირებულად უნდა წარმოვადგინოთ შეფასება და გავაკეთოდ ამ შეფასების შიდა და გარე შემოწმება.

შეფასების კვლევის შედეგები ხარისხის შიდა მართვისათვის

კვლევის შეფასების ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ამ ქვეთავშია მოცემული, IQM პროცედურა უნდა:

- იყოს დაფუძნებული შეფასების მეცნიერულ გაგებაზე;
- მიჰყვებოდეს კომბინირებულ შეფასების მიდგომას;
- განიხილავდეს შეფასების სტანდარტებს

⁴¹ JCSEE (2011)

რეკომენდაციები დამატებითი საკითხავისთვის

JCSEE – Joint Committee on Standards for Educational Evaluation (2011). *The program evaluation standards* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage. <http://www.jcsee.org/program-evaluation-standards>

Spiel, C., Schober, B., & Bergsmann, E. (2015). Program Evaluation. In J. D. Wright (Ed.), *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* (2nd ed., vol. 19, pp. 117122). Oxford: Elsevier. <http://www.sciencedirect.com/science/referenceworks/9780080970875>

დანერგვის კვლევა

რის შესახებაა წინამდებარე თავი?

- შესავალი
 - დანერგვის ჩვენული განმარტება
 - დანერგვის კვლევის სფერო
- დანერგვის აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს IQM პროცედურის გონივრულ დანერგვას

დანერგვის ჩვენული განმარტება

დანერგვა შესაძლებელია განიმარტოს. როგორც „რიგი კონკრეტული აქტივობები, რომლებიც შექმნილია განსაზღვრული განზომილებების⁴² მქონე აქტივობის ან პროგრამის პრაქტიკულად განსახორციელებლად“. შესაბამისად, დანერგვის კვლევა გვთავაზობს მოდელსა და სამუშაო ჩარჩოს ორგანიზაციებში ინოვაციებისა და პროგრამების სისტემური დანერგვისთვის. უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში IQM პროცედურის პროფესიონალურ დანერგვაში ხსენებული კვლევა მეტად გამოსადეგია. კვლევის ეს ფორმა ძირითადად ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში განვითარდა ბოლო 50 წლის მანძილზე და დიდძალი გამოცდილება დააგროვა ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და მრავალ სხვა სფეროში პროგრამების დანერგვის წარმართვის სფეროში. განსხვავებით ორგანიზაციებში პროგრამების არაფორმალური და პასიური გავრცელებისგან, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა დასახული მიზნების მისაღწევად⁴³, დანერგვის კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დანერგვის აქტივობებმა სისტემატურად შეუწყოს ხელი ინოვაციებისა და პროგრამების ეფექტიანობას. მაშინ, როცა დანერგვის აქტივობების წარმართვის ამერიკული ცენტრები, როგორცაა იმპლემენტაციის კვლევის ეროვნული ქსელი ჩრდილოეთ კაროლინაში, ხელს უწყობენ ქვეყნის მასშტაბით ინიციატივების დანერგვას, სხვა ქვეყნებში ანალოგიური ცენტრები მწირად მოიპოვება. ევროპაში სისტემური დანერგვის მნიშვნელოვნების შესახებ ინფორმირებულობის დონე მკვეთრად მერყეობს სხვადასხვა ქვეყნებსა და საჯარო სექტორებს შორის. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციებისთვის ახალი კონცეფციების გაცნობისას დანერგვის კვლევის სისტემური ჩარჩოს გათვალისწინება არა მხოლოდ ხელს უწყობს მათ ეფექტიან გამოყენებას, არამედ ასევე მიჰყვება state-of-the-art მიდგომას (მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე და უახლეს მიღწევებზე), რაც ევროპაში ინიციატივათა დიდი წილისთვის სიახლეა.

⁴² Fixsen, Naoom, Blase, Friedman, & Wallace (2005, p. 5)

⁴³ Fixsen et al. (2005)

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის შიდა მართვასთან დაკავშირებული დანერგვის აქტივობები

დანერგვის მრავალი ჩარჩო არსებობს, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ უნდა მივაპყროთ ყორადღება ორგანიზაციებში⁴⁴ დანერგვის პროცესებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს. „აქტიური დანერგვის ჩარჩო“ წარმოადგენს სისტემური დანერგვის მოდელს რომლის გამოყენებითაც მრავალ ორგანიზაციაში წარმართულა პროგრამის დანერგვა, მათ შორისაა საგანმანათლებლო ინსტიტუციებიც. ამ ჩარჩოს ფარგლებში განიმარტება⁴⁵, ეგრეთწოდებული „დანერგვის დრაივერები“ (წამყვანები) (აქტივობები, რომლებიც წარმართავენ ორგანიზაციაში ინოვაციის ეფექტურ მიღებას). ხსენებული აქტივობები დაჯგუფებულია „ლიდერობის დრაივერებად“ (წამყვანებად), „კომპეტენციის დრაივერებად“ (წამყვანებად) და „ორგანიზაციულ დრაივერებად“ (წამყვანებად).

ლიდერობის დრაივერები (წამყვანები)

ლიდერობის დრაივერები (წამყვანები) მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის განკუთვნილ სტრატეგიებს, იმ ტექნიკური და ადაპტაციური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც შესაძლოა დანერგვის პროცესში აღმოცენდეს. მაშინ, როცა ტექნიკურ პრობლემებს შეესაბამება გადაჭრის ცხადი გზები (მაგ. როგორ გამოვუცხადოთ მთელ ორგანიზაციას ახალ მიდგომაზე გადასვლა), ადაპტაციური პრობლემები ხშირად მოითხოვს ცვლილებებს ორგანიზაციულ კულტურაში. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ხელი უნდა შეუწყონ ორივე სახის პრობლემების გადაჭრაში, მაგალითად პროგრამის კოორდინატორების მიერ ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევით. ამგვარი ხელშეწყობა გააადვილებს თავად გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ ინოვაციის მიღებას, რაც მთელი ორგანიზაციის⁴⁶ მიერ მისი მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კომპეტენციის დრაივერები (წამყვანები)

კომპეტენციის⁴⁷ დრაივერები მოიცავს აქტივობებს, რომლებიც პროგრამაში ჩართული პერსონალის ეფექტიური შერჩევით, გადამზადებითა და ტრენინგებით აუმჯობესებს ინოვაციის ხარისხს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის შიდა მართვის კონტექსტში ეს შესაძლოა მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წარმომადგენლების შერჩევას, რომლებსაც ხარისხის მართვის პროცედურაში გადანაწილებული ექნებათ გარკვეული როლები და ინტერესები. წარმომადგენლები აუცილებელია გადამზადდნენ IQM-პროცედურის შესახებ ფონური ცოდნისა და პროცედურის დასანერგად საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად. ამასთანავე, წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ინსტრუქტაჟით როცა მხარდაჭერა დასჭირდებათ IQM-პროცედურის დანერგვასა და განხორციელებაში.

ორგანიზაციული დრაივერები (წამყვანები)

ორგანიზაციული დრაივერების (წამყვანების) გათვალისწინებით ორგანიზაცია, როგორიცაა უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუცია, ახორციელებს საჭირო სისტემურ ცვლილებებს და შეიმუშავებს სტრატეგიებს იმ დამატებითი სამუშაო დატვირთვასთან გამკლავების მიზნით, რომელიც ინოვაციის დანერგვას ახლავს. წარმატებული დანერგვისთვის აუცილებელი ხდება სისტემური ცვლილებები, მაგალითად, მოსაძიებელია ფინანსები და ზოგჯერ საჭირო ხდება დაფინანსების არსებული პრაქტიკის შეცვლა.

⁴⁴ ზოგადი მიმოხილვისათვის იხილეთ, Tabak, Khoong, Chambers, & Brownson (2012)

⁴⁵ Blase, Van Dyke, Fixsen, & Wallace (2013)

⁴⁶ Elias, Zins, Graczyk, & Weissberg (2003)

⁴⁷ ტერმინი კომპეტენცია აქტიური დანერგვის ფაზაში მიემართება დასაქმებულ პერსონალს და არა სტუდენტებს

ამასთან ერთად, საჭიროა ადმინისტრაციას გაეწიოს ფასილიტატორობა, რათა რესურსები ადმინისტრაციული აქტივობისთვის გადაეწიოს ახალი პროგრამის შესაბამისად. მაგალითად, არსებული სამუშაო ჯგუფების აქცენტები შეიცვალოს ინოვაციის მიზნების შესატყვისად. აგრეთვე, საჭიროა უწყვეტი უკუკავშირი გადაწყვეტილების ხელშეწყობის მონაცემთა ბაზის სისტემებიდან, რათა ინოვაციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებები ისე წარიმართოს, რომ სასურველ შედეგებამდე მივიდეთ.

დანერგვის დრაივერები ხელს უწყობენ IQM-პროცედურას

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში IQM პროცედურის დანერგვის დრაივერების გათვალისწინებისას შესაძლებელია სისტემატურად გამკლავება სამ მთავარ გამოწვევასთან. ესენია: (1) ახალ პროცედურაზე დაინტერესებული მხარეების თანხმობის მიღება, (2) მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, (3) რესურსების გამოყოფა ახალი პროცედურებისთვის⁴⁸.

1. მიმღეობა

IQM-პროცედურაზე დაინტერესებული მხარეების მხრიდან თანხმობის მისაღებად მნიშვნელოვანია, პირველ ეტაპზე მოპოვებული იქნეს გადაწყვეტილებების მიმღები პირების ახალი პროცედურისადმი ნდობა. მომდევნო ნაბიჯზე ლიდერულ დრაივერებს შეეძლება წარუძღვნენ ლიდერულ სტრატეგიებს, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ახალი მიდგომის მიმართ მიმღეობის ტრანსფერით სხვა დაინტერესებულ პირებზე. ეს შესაძლოა მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა-სემინარებს ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას. შემფასებლებს ან პროგრამის კოორდინატორებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ამ ღონისძიებებს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან წინასწარ განხილვებში, აგრეთვე დანერგვის სრული პროცესის პერიოდში, ინდივიდუალური საკონსულტაციო სესიების შეთავაზებით.

2. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება

რაკი კვლევათა შედეგები, გამოყენებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია, ინსტიტუციებში დაინერგოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების კულტურა. ამას შესაძლოა ხელი შეუწყოს კომპეტენციის დრაივერებში აღწერილმა აქტივობებმა. შედეგების კომუნიკაციისა და ინტერპრეტაციისათვის საჭიროა, შეირჩეს და გადამზადდეს დაინტერესებულ მხარეთა ყველა ჯგუფის წარმომადგენლები. აგრეთვე, უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების ინსტრუქტაჟი დანერგვის პროცესის მთელი პერიოდის მანძილზე ყოველდღიურ გარემოებებში მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისას.

⁴⁸ დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ Bergmann et al. (2015)

3. რესურსები

IQM პროცედურაზე რესურსების მობილიზება დამწერგავი ინსტიტუციების მიერ მისი გამოსაყენებლად ვარგისობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ორგანიზაციული დრაივერები აღწერს აქტივობებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როცა კომპლექსური ინოვაციები საჭიროებს რესურსების გამოყოფას. მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადმინისტრირების ფასილიტატორობა, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის ყურადღების გადატანით კონტექსტიდან კომპეტენციებზე. სხვა აქტივობები მოიცავს სისტემურ ჩარევებს, როგორიცაა დაინტერესებულ მხარეთა ყველა ჯგუფის ინფორმირება IQM პროცედურის გასაჯაროების გზით და გადაწყვეტილებების მხარდამჭერი მონაცემთა სისტემების შემუშავება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უკუკავშირის მონაცემებს სტუდენტთა კომპეტენციების კვლევის კითხვარებიდან.

ხარისხის შიდა მართვის მიღებული შედეგები


დანერგვის კვლევის შესახებ ამ ქვეთავში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, უმჯობესია IQM-პროცედურა სისტემატიურად დაინერგოს დანერგვის დრაივერების გამოყენებით:

- ლიდერული დრაივერები ხელს უწყობენ დაინტერესებული მხარეების მიერ ახალი პროცედურის მიღებას;
- კომპეტენციის დრაივერები ხელს უწყობენ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას;
- ორგანიზაციული დრაივერები ხელს უწყობენ ახალი პროცედურისთვის რესურსების გამოყოფას.

IQM-პროცედურის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვისთვის საჭირო კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპები მოცემულია შემდგომ თავებში.

რეკომენდაციები დამატებითი საკითავისთვის

Fixsen, D. L., Naoom, S. F., Blase, K. A., Friedman, R. M., & Wallace, F. (2005). *Implementation research: A synthesis of the literature* (Louis de la Parte Florida Mental Health Institute Publication No. 231). Tampa: University of South Florida, Louis de la Parte Florida Mental Health Institute, National Implementation Research Network. <http://nirm.fpg.unc.edu/resources/implementation-research-synthesis-literature>



დანერგვა

IQM (ხარისხის შიდა მართვის)
პროცედურების მუშაობის პრინციპები და
უმაღლეს საგანმანათლებლო
დაწესებულებებში მათი დანერგვა

მიმოხილვა

მომზადება

I საფეხური: კომპეტენციების განსაზღვრა

II საფეხური: კომპეტენციების შემოწმება

III საფეხური: კომპეტენციების გაძლიერება

შედეგების ასახვა

დანერგვა

IQM (ხარისხის შიდა მართვის) პროცედურების მუშაობის პრინციპები და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათი დანერგვა

წინამდებარე თავში გაგაცნობთ ხარისხის შიდა მართვის პროცედურას სასწავლო პროგრამის სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის სპეციფიურად სტუდენტების კომპეტენციებთან მიმართებით. აბრევიატურას – IQM პროცედურა – გამოვიყენებთ „კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შიდა ხარისხის მართვის პროცედურის“ ნაცვლად. აღნიშნული თავი ასევე მოიცავს ინფორმაციას, თუ როგორ დავნერგოთ IQM პროცედურა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში. IQM პროცედურა შესაძლოა ინტეგრირდეს არსებულ IQM სისტემასთან.

როგორც სახელმძღვანელოს ნაწილ 1-ში აღვნიშნეთ, IQM პროცედურა არის პირველი პროცედურა, რომელიც ექსპლიციტურად ახდენს სამი ძირითადი პერსპექტივისა და ხარისხის შიდა მენეჯმენტის ინტეგრირებას. 1) უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე ახდენს გავლენას აღნიშნულ პროცედურაზე; 2) გათვალისწინებულია შედეგები კვლევის სხვადასხვა სფეროდან; 3) აღნიშნული პროცედურა შექმნილია დაინტერესებული მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის აქტიურად მიწოდებისთვის. ამ პერსპექტივებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ სქემა 2, ასევე, სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში, თავი „მიღწევები“.

IQM პროცედურა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციის მიერ, რომელიც ჩართულია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. შესაბამისად, IQM პროცედურა არ ითვალისწინებს ეროვნულ კანონებს, სპეციფიკურ პროფესიულ რეკომენდაციებს ან უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციის ხარისხის მართვის სპეციფიკურ კულტურას. თუმცა საჭიროა, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინოთ IQM პროცედურის დანერგვისას თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში. მივიჩნევთ, რომ თქვენ დამოუკიდებლად შეგიძლიათ განსაზღვროთ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში არსებული ხარისხის მართვის ჩარჩო და არსებულ ჩარჩოში IQM პროცედურის ინტეგრაციის შესაძლებლობა.

წინამდებარე თავში ჩვენ წარმოგიდგენთ IQM პროცედურის მიმოხილვას დანერგვის პროცედურასთან ერთად, რომელსაც თან ერთვის დროის ჩარჩო და კონკრეტული ინფორმაცია, თუ როგორ დანერგოთ IQM პროცედურა. ორგანიზაციაში ახალი პროცედურის დანერგვამდე რეკომენდებულია, პროექტი განხორციელდეს პილოტურ რეჟიმში. შესაბამისად, აქცენტს გავაკეთებთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამწყებთათვის განხორციელებად ერთ კონკრეტულ სასწავლო პროგრამაში IQM პროცედურის დანერგვაზე. ასევე, თავში „სამომავლო პერსპექტივები“ წარმოგიდგენთ ინფორმაციას, თუ როგორ გავავრცელოთ IQM პროცედურა სხვა სასწავლო პროგრამებზე.

მიმოხილვა

კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი

ზოგადად, IQM პროცედურის მიზანი არის კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეფასება და განვითარება. კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება ფოკუსირდება სტუდენტების კომპეტენციებზე, როგორც სასწავლო პროგრამის სწავლა-სწავლების პროცესის შედეგზე. სქემა 4-ზე გამოსახული „კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელის“ მიხედვით, პროცესი იწყება წინასწარ განსაზღვრული იმ კომპეტენციების განმარტებით, რომლებიც სტუდენტმა უნდა აითვისოს სასწავლო პროგრამის⁴⁹ ფარგლებში. აღნიშნულ მოდელში მომდევნო ეტაპია სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ელემენტს (საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები, სწავლის სტრატეგიები და კონტექსტური ფაქტორები) და სტუდენტების მიღწეული კომპეტენციების შედეგებს. მიღწეული შედეგები, ერთი მხრივ, აღიქმება როგორც სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების თვითშეფასება და მეორე მხრივ, როგორც სტუდენტების მიღწეული შედეგების მასწავლებლისეული შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამა აღწევს შედეგს, თუ სტუდენტის მიერ გამოვლენილი კომპეტენციები შეესაბამება დასაწყისში⁵⁰ განმარტებულ წინასწარ განსაზღვრულ კომპეტენციებს.

IQM-პროცედურა

IQM პროცედურა მოიცავს 3 საფეხურს. პირველ საფეხურზე არკვევთ, გაქვთ თუ არა კარგად ჩამოყალიბებული სტუდენტის წინასწარ განსაზღვრული კომპეტენციები⁵¹ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის (კომპეტენციების განსაზღვრა). მეორე საფეხურზე შეაგროვებთ შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, რომ დაინახოთ, არის თუ არა სხვაობა სტუდენტის მოსალოდნელ და გამოვლენილ კომპეტენციებს შორის, ისევე როგორც სხვაობა სტუდენტის მოსალოდნელ კომპეტენციასა და სწავლა-სწავლების პროცესს შორის (კომპეტენციების შემოწმება) მესამე საფეხურზე არკვევთ ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებთ ზომებს ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფისთვის (კომპეტენციების გაძლიერება). აღნიშნული 3 საფეხური ძირითადი საყრდენი სტრუქტურაა. არსებობს მათი შემუშავების განსხვავებული გზები. მომდევნო თავებში I, II და III საფეხურის შესახებ მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას და შემოგთავაზებთ ერთ კონკრეტულ მეთოდს თითოეული საფეხურისთვის. უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჰეტეროგენულობიდან გამომდინარე, აგრეთვე შემოგთავაზებთ იმ ძირითად კომპონენტებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ ინდივიდუალური მეთოდების შექმნისას. ამან შეიძლება უზრუნველყოს IQM პროცედურის დანერგვის მოქნილობა, ისე, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების სპეციფიკურ კულტურასთან ერთად მხედველობაში მივიღოთ დაინტერესებული მხარეების საჭიროებებიც.

დანერგვის პროცედურა

IQM პროცედურის დანერგვა იწყება მოსამზადებელი ფაზით. მოსამზადებელი ფაზა შეეხება შესაბამისი პირობების შექმნას შემდეგში IQM პროცედურის სამი საფეხურის დანერგვისთვის (განსაზღვრა, შემოწმება და კომპეტენციების გაძლიერება). დანერგვის პროცესი სრულდება ასახვის ფაზით. პროცედურის გააზრება ხდება მომდევნო IQM ციკლის გაუმჯობესების მიზნით. დანერგვის პროცედურის მიმოხილვისთვის იხილეთ სქემა 4. გთხოვთ, გაითვალისწინეთ,

⁴⁹ მოსალოდნელი კომპეტენციები არის ტერმინი, რომელიც ამ სახელმძღვანელოში აღნიშნავს იმას, თუ რა უნდა ისწავლონ სტუდენტებმა ამ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. სხვა ტექსტში განსხვავებული ტერმინების გამოყენებაც შეიძლება მაგ., საგანმანათლებლო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები, ძირითადი უნარ-ჩვევები ან კვალიფიკაცია. ასევე იხილეთ ამ სახელმძღვანელოს შესავალი ნაწილი "კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება"


⁵⁰ კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი "კომპეტენციების კვლევა"

⁵¹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი "კომპეტენციების კვლევა"

რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის რეკომენდაციების⁵² და შეფასების კვლევის⁵³ მიხედვით დანერგვის პროცესში ჩვენ მივეყვებით ჩართულობის მიდგომას, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული მხარეები არიან აქტიურად ჩართულნი და ინფორმირებულნი.

მიმოხილვა

ხარისხის შიდა მართვის დანერგვა



სქემა 4: IQM პროცედურის დანერგვა

⁵² See section 'External Quality Assurance' for further information.

⁵³ See section 'Evaluation Research' for further information.

მოსამზადებელი ფაზა გამიზნულია IQM პროცედურის სამი საფეხურის დასაწერად შესაბამისი ჩარჩოს შესაქმნელად.

მოსამზადებელი ფაზის დასასრულს:

- გადაწყვეტილების მიმღებებმა იციან და ადვოკატირებას უწევენ IQM-პროცედურის დანერგვას.
- ჩამოყალიბებულია შიდა ხარისხის მართვის გუნდი (IQM გუნდი), მაგ.: არჩეული არიან და ტრენინგი უტარდებათ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჯგუფების წარმომადგენლებს.
- IQM-პროცედურისთვის გამოყოფილია რესურსები.

I საფეხური შეეხება კომპეტენციების მოდელის დეტალურად დამუშავებას. უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებს ხშირად აქვთ იმ კომპეტენციების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა ფლობდნენ სტუდენტები სწავლის დასრულებისას. ეს კომპეტენციები წარმოადგენს კომპეტენციების მოდელის შემუშავების საწყის ეტაპს.

პირველი საფეხურის დასასრულს

- კომპეტენციების მოდელი შემუშავებულია და მიჰყვება „კომპეტენციების კვლევის“ ხარისხის ხუთ კრიტერიუმს (იხ.: სქემა 5).
- დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან შემუშავებული კომპეტენციების მოდელზე.

II საფეხური შეეხება შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვებას.

მეორე საფეხურის დასასრულს

- ინფორმაციის შეგროვებამდე დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან ზოგადად IQM - პროცედურაზე და კონკრეტულად - შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვებაზე, ინფორმაციის შეგროვების დაწყებამდე (ინფორმირების კამპანია).
- შესამოწმებელი ინფორმაცია შეგროვებულია. ის აჩვენებს სხვაობას წინასწარ მოსალოდნელ და სტუდენტის გამოვლენილ კომპეტენციებს შორის სტუდენტების და მასწავლებლების პერსპექტივიდან.
- პროცესის ანგარიში დასრულებულია და შედეგები ეცნობა დაინტერესებულ მხარეებს, ამ მხარეთა სპეციფიკის გათვალისწინებით.

III საფეხური შეეხება ინფორმაციის ინტერპრეტირებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოწვევი მიზეზების გამოვლენას სწავლა-სწავლების პროცესის და მიღწევების ინდიკატორების კონკრეტულ ელემენტებზე დაკვირვების გზით. აგრეთვე, შეეხება განვითარების ღონისძიებებს.

მესამე საფეხურის დასასრულს

- განვითარდა და შეგროვდა ანგარიშზე დაფუძნებული ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის შესაძლო მონაცემები.
- შერჩეულია ინდიკატორები ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფისთვის.
- დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან ინიცირებული ინდიკატორების შესახებ.

ასახვის ფაზა შეეხება IQM პროცედურის განვითარებას პირველი ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით

ასახვის ფაზის დასასრულს გვაქვს

- დანერგვის პროცესის წარმატების ფაქტორები;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში IQM პროცედურის განვითარების გზები.

რეკომენდებული კალენდარი

ინსტიტუციაში ახალი პროცედურის დანერგვას, ჩვეულებრივ, უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე შემდგომ რუტინულ ოპერაციებს. თუმცა, ორივე კალენდარი: IQM-პროცედურის დანერგვისთვის და შემდგომი რუტინული IQM-პროცედურისთვის მკვეთრად არის დამოკიდებული ინსტიტუციურ კონტექსტზე.

გთავაზობთ დაახლოებით ორწლიანი დანერგვის პროცედურისა და IQM-პროცედურის ერთწლიანი რუტინული პროცედურის შეფასებას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირები დაკავებულნი არიან ყოველდღიური საქმიანობით და ასევე IQM პროცედურის დანერგვით. აღნიშნულ პროცესებში ასევე ჩართულია დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარი ჯგუფები, რაც მათგან დამატებით დროს მოითხოვს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2.

შემდგომი თავების წინასიტყვაობა

შემდგომ ქვეთავებში მოგაწვდით ინფორმაციას თუ როგორ დანერგოთ IQM-პროცედურა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ვიწყებთ თავით „მოსამზადებელი ფაზის“ შესახებ, შემდეგ დეტალურად განვიხილავთ I-III საფეხურებს და საბოლოოდ მოგაწვდით „ასახვის ფაზისთვის“. წარმოდგენილი თავები სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსია.



თავდაპირველად ხარისხის შიდა მართვის მენეჯერებს მივაწვდით ინფორმაციას, რისთვის არის საჭირო დანერგვის პროცესის ეს ნაწილი (მიზანი), შემდეგ მივაწვდით



დეტალებს და



მეთოდებს, რასაც თან ახლავს



გამოსადეგი ინსტრუმენტები კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში ხარისხის შიდა მართვისთვის შექმნილი ევროპული ინსტრუმენტების კრებულიდან და



ვთავაზობთ, კალენდარს (როდის რა უნდა გააკეთონ)



განსაკუთრებული მინიშნებები აღნიშნულია ნათურით.

მოსამზადებელი ფაზა

მოსამზადებელი ფაზის დასასრულს

- ➔ გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან ინფორმირებულნი და მხარს უჭერენ IQM პროცედურის დანერგვას;
- ➔ ეგრეთწოდებული ხარისხის შიდა მენეჯმენტის გუნდი (IQM გუნდი⁵⁴) ჩამოყალიბებულია, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები შერჩეული და გადამზადებულია;
- ➔ გამოყოფილია IQM პროცედურისთვის საჭირო რესურსები.



ინსტიტუციაში ახალი პროცედურის დანერგვა არის კომპლექსური საკითხი. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხარი უნდა დაუჭირონ ახალ პროცედურას. სხვადასხვა დაინტერესებული პირი უნდა ჩაერთოს და ახალი პროცედურა უნდა ინტეგრირდეს უკვე არსებულ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან. პროცედურის დანერგვასთან დაკავშირებული კვლევა გვაწვდის რამდენიმე რჩევას, როგორ გავართვათ თავი ამ კომპლექსურ საკითხს. აქტიური დანერგვის ჩარჩოები⁵⁵ რეკომენდაციას გვაძლევს: (1) აქტიურად ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიმღები პირები, (2) ჩამოვაყალიბოთ გუნდი და (3) გამოვყოთ რესურსები ახალი პროცედურისთვის. ამგვარად, ეს არის მოსამზადებელი ფაზის სამი მიზანი. შემდგომში მოგაწვდით მიზნის მიღწევისთვის საჭირო დეტალურ ინფორმაციას და მეთოდებს უმაღლეს განათლებაში კომპეტენციებზე დაფუძნებული ხარისხის შიდა მართვის ევროპული კრებულით გათვალისწინებულ ინსტრუმენტებით.

ჩართეთ გადაწყვეტილების მიმღები პირები

მოსამზადებელი ეტაპის პირველი მიზანი არის გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება და მათი მხარდაჭერის მოპოვება IQM პროცედურისთვის, რაც მიზანად ისახავს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები, მაგალითად რექტორატი, სენატი ან საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტი, იყვნენ ინფორმირებული და ჰქონდეთ მოტივაცია, IQM პროცედურა დაინერგოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციის კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში. მოტივაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს ინსტიტუციების სპეციფიკიდან გამომდინარე. ჩვენი თვალთახედვით არსებობს IQM პროცედურის დანერგვის ხუთი ძირითადი მიზეზი. ესენია:

- ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის განვითარებასთან ერთად უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში დაინერგა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება. საჭირო გახდა სტუდენტზე ფოკუსირებული ხარისხის მართვის ახალი პროცედურა. IQM პროცედურა კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისთვის (შემოკლებით IQM პროცედურა) სწორედ რომ ასეთი პროცედურაა;
- IQM პროცედურა ითვალისწინებს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მიღწევებს, კომპეტენციის კვლევის მიღწევებს, შეფასების და დანერგვის კვლევას, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს;
- არსებული პროცედურები შემუშავებული და გამოცდილია შესაბამისი სფეროს ექსპერტების მიერ;



⁵⁴ თუ თქვენს ინსტიტუციაში უკვე არსებობს IQM გუნდი გამოიყენეთ სხვა ტერმინი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად

⁵⁵ See chapter 'Implementation Research' for further information

- არსებული პროცედურა არის მოსახერხებელი რაც შესაძლებელს ხდის მის ადაპტირებას და ინტეგრირებას უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში უკვე არსებულ სტრუქტურასთან;
- უმაღლეს განათლებაში კომპეტენციებზე დაფუძნებული ხარისხის შიდა მართვის ევროპული კრებული გვაწვდის დამატებით დოკუმენტებს, რათა ხელი შეუწყოს პროცედურის დანერგვას.

გადაწყვეტილების მიმღები პირები არა მხოლოდ მხარს უნდა უჭერდნენ პროცედურის დანერგვას, ასევე უნდა იცოდნენ პროცედურის ძირითადი საფეხურები და რა რესურსებია ამისათვის საჭირო, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან პასუხისმგებელი პროცედურისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაზე. რესურსები განხილულია მესამე მიზანში. (მიზანი 3)

გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ერთად, განვიხილავთ „დანიშნულებასთან შესაბამისობის მიდგომას“ ⁵⁶ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ უნდა შეესაბამებოდეს IQM პროცედურა კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ინსტიტუციის სწავლა-სწავლების პროცესის საერთო მიზნებსა და სტრატეგიებს; ასევე საინტერესოა, როგორ უნდა დაიგეგმოს პროცესი ისე, რომ მოერგოს თქვენი ინსტიტუციის მიზანს: რატომ იყენებთ ამ პროცედურას ამგვარად? როგორ დაგეხმარებათ ის გააუმჯობესოთ კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ხარისხი?



პირველი მიზნის მიღწევის მეთოდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და მხარდაჭერის მოპოვებას, რაც დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციის კულტურაზე. რეკომენდებულია **პერსონალური კომუნიკაცია** თქვენს, როგორც ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირის და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის. პირველი ნაბიჯია კომუნიკაცია იმ გადაწყვეტილების მიმღებ პირთან, რომელიც პასუხისმგებელია კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვაზე (მაგალითად, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში). თუ გადაწყვეტილების მიმღები პასუხისმგებელი პირი მხარს დაუჭერს პროცედურის დანერგვას, შემდეგი ნაბიჯი იქნება სხვა შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართვა. შეგიძლიათ შეადგინოთ გეგმა, პასუხისმგებელ გადაწყვეტილების მიმღებ პირთან ერთად, თუ როგორ უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია და პროცესში ჩართოთ სხვა გადაწყვეტილების მიმღები პირები, მაგალითად საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტი და სენატი. საბოლოოდ, ყველა შესაბამის გადაწყვეტილების მიმღები იქნება ინფორმირებული და მხარს დაუჭერს IQM პროცედურის დანერგვას. თუმცა IQM პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ერთი პირი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას უკავშირდებიან ამ პირს.

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გთავაზობთ ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 2: საინფორმაციო მასალა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის (ნიმუში).



შეარჩიეთ და გადაამზადეთ IQM გუნდი

მოსამზადებელი ფაზის მეორე მიზანი არის IQM გუნდის შერჩევა და გადაამზადება. IQM გუნდი აქტიურ მონაწილებას მიიღებს IQM პროცედურის დანერგვაში, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა პერსპექტივებისა და საჭიროებათა გათვალისწინებით, ისევე როგორც სპეციფიკური დავალებების შესრულებით. შედეგად, IQM გუნდი იქნება კარგად ინფორმირებული და მხარს დაუჭერს IQM პროცედურის დანერგვას.

IQM გუნდის შემადგენლობაში არიან შესაბამისი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. მაგალითად: გადაწყვეტილების მიმღები პირები, მასწავლებლები, სტუდენტები,

⁵⁶ IQM პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავისი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“.

ადმინისტრაციული პერსონალი, კომუნიკაციების დეპარტამენტი და ა.შ.⁵⁷ დანამდვილებით გირჩევთ, აღნიშნულ პროცესში ჩართოთ, სულ მცირე, გადაწყვეტილების მიმღები პირები, მასწავლებლები და სტუდენტები.

იმისათვის, რომ დაინტერესებული მხარეებიდან შეირჩეს წარმომადგენლები, რეკომენდებულია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

- მაღალი ჩართულობა ხარისხის მართვის საკითხებში;
- ინსტიტუციაში თანამშრომლად დარჩენა სულ მცირე დანერგვის პროცესის განმავლობაში (გარდა სტუდენტებისა);
- გადამზადებაში მონაწილეობისათვის სწავლების დრო და ინტერესი;
- ქსელური კავშირების ქონა დაინტერესებული მხარეების ჯგუფებში;
- კოოპერაციული კომუნიკაციის უნარი

სტუდენტთა შერჩევისას გთხოვთ, ასევე გაითვალისწინოთ⁵⁸:

- წარმომადგენელთა რაოდენობა: შეარჩიეთ სულ მცირე ორი სტუდენტი; ერთ სტუდენტს შესაძლოა გაუჭირდეს წვლილის შეტანა ან სიტყვით გამოსვლა პროფესიონალების გუნდში;
- სწავლის ხანგრძლივობა: შეარჩიეთ სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები;
- აკადემიური მოსწრება: შეარჩიეთ როგორც მაღალი, ასევე დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები. მათ შესაძლოა გიჩვენონ სიღრმისეული მიზეზი, თუ რა ქმნის სხვაობას წინასწარ განსაზღვრულ და მიღებულ კომპეტენციებს შორის.
- კლასგარეშე საქმიანობა (აქტივობები)/საბჭოები: ჩართეთ სტუდენტები, რომლებიც ჩართულნი არიან კლასგარეშე საქმიანობაში ან უჭირავთ თანამდებობა სტუდენტურ საბჭოში; მათ შესაძლოა ჰქონდეთ უნარი, განიხილონ საორგანიზაციო საკითხები; ასევე ჩართეთ სტუდენტები, რომელთაც არ უჭირავთ თანამდებობა, აღნიშნული სტუდენტები შესაძლოა დაგეხმარონ, რომ „ადვოკატირების“ ნაწილი გასაგები გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში.

მოსამზადებელი ფაზის სწავლების მიზნები გამოიხატება იმით, რომ წარმომადგენლებს:

- გააჩნდეთ მოტივაცია, დანერგონ ხარისხის მართვის ახალი პროცედურა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში;
- ჰქონდეთ უახლესი ინფორმაცია ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მიღწევების შესახებ, ისევე როგორც კვლევის მიღწევების⁵⁹ შესახებ;
- ჰქონდეთ წარმოდგენა IQM პროცედურის შესახებ;
- ჰქონდეთ მზადყოფნა IQM პროცედურის სამივე ეტაპზე აქტიური მონაწილეობის მისაღებად;
- ჰქონდეთ საშუალება, აღიქვან თავი ერთ გუნდად და განსაზღვრონ თანამშრომლობის წესები.

IQM გუნდის შესაქმნელად რეკომენდებული მეთოდებია პერსონალური კომუნიკაცია შერჩევის პროცესისთვის და სამუშაო შეხვედრების წარმოება გადამზადების პროცესისთვის. შერჩევის პროცესი შესაძლოა წარიმართოს გადაწყვეტილების მიმღებ პასუხისმგებელ პირთან ერთად. ერთად განიხილეთ IQM გუნდში ჩასართავად პოტენციური წევრების მოწვევის გეგმა. მოწვევის პროცესში ასახული უნდა იყოს ინსტიტუციის კულტურა. რეკომენდებულია, მოიწვიოთ თითოეული პოტენციური წევრი პერსონალურ საინფორმაციო შეხვედრაზე და სთხოვოთ, IQM გუნდის წევრობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ერთი კვირის განმავლობაში. გადამზადების პროცესი უნდა წარიმართოს სამუშაო შეხვედრების სახით. სამუშაო შეხვედრების დროს IQM გუნდი მიიღებს



⁵⁷ მომავალი დამსაქმებლები, კონკრეტული პროფესიებისთვის შესაბამისი ასოციაციები და ა.შ. ასევე შესაბამისი დაინტერესებული მხარეები არიან. ისინი შეგიძლიათ დაპატიჟოთ კონკრეტულ სამუშაო შეხვედრებზე (მაგ., ლომპეტენციების მოდელის განსაზღვრა) თუმცა, არაა სავალდებულო ისინი IQM გუნდის წევრი იყვნენ

⁵⁸ კრიტერიუმები ჩამოყალიბდა სტუდენტური ორგანიზაცია IVSA-ს მიერ

⁵⁹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი "უახლესი მიღწევები"

დეტალურ ინფორმაციას IQM პროცედურის შესახებ. გარდა ამისა, განიხილება თითოეული დაინტერესებული მხარის ინფორმაციული საჭიროებები, ასევე – მოლოდინები და მოსალოდნელი საფრთხეები.

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გთავაზობთ ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 3: საინფორმაციო მასალა პოტენციური IQM გუნდის წევრისთვის (ნიმუში)

ინსტრუმენტი 4: სამუშაო შეხვედრები მოსამზადებელი ფაზისთვის (ნიმუში)

გამოყავით რესურსები

მოსამზადებელი ფაზის მესამე მიზანი არის რესურსების გამოყოფა IQM პროცედურისთვის. დანერგვის კვლევამ გვიჩვენა, რომ ბევრი პროგრამა და პროცედურა არ გამოდგა შედეგიანი, რადგან იყო შეუფერებლად დანერგილი. რესურსების შესახებ უნდა ისაუბროთ მკაფიოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირთან, რათა უზრუნველყოთ IQM პროცედურის სრულფასოვანი დანერგვა. არსებობს შემდეგი ორი ძირითადი მიზეზი სრულფასოვანი დანერგვისთვისა და შესაბამისი რესურსების გამოყოფისთვის: (1) სრულფასოვანი დანერგვა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვით ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ დაინტერესებული მხარეები გამოიყენებენ პროცედურის შედეგებს და შედეგად ამგვარად, ხარისხი გაუმჯობესდება. პირიქით, არასათანადო დანერგვა გაზრდის რისკს, პროცედურა დარჩეს განუხორციელებელი; (2) IQM პროცედურის სრულფასოვანი დანერგვა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვით გაზრდის ხარისხის მართვის კულტურის ჩამოყალიბების ალბათობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამის საწინააღმდეგოდ, არასათანადო დანერგვა გაზრდის უკმაყოფილო დაინტერესებული მხარეების არსებობის რისკს და ძლიერ დააზიანებს ხარისხის მართვის კულტურას.

საჭირო რესურსების დაანგარიშება დამოკიდებულია თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტზე. თუმცა, გთავაზობთ დაანგარიშებას რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ რეკომენდაციად თქვენი ინსტიტუციისთვის.

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გაძლევთ რჩევას:

ინსტრუმენტი 5: რესურსების დაანგარიშება (რჩევა)

მესამე მიზნის, ანუ IQM პროცედურისთვის რესურსების გამოყოფის, მისაღწევი რეკომენდებული მეთოდი არის, ერთი მხრივ, პერსონალური კომუნიკაცია გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, IQM გუნდთან და შესაბამის დეპარტამენტებთან (მაგ. PR დეპარტამენტი), მეორე მხრივ, გირჩევთ, გააფორმოთ წერილობითი შეთანხმება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან (მაგ. აწარმოთ შეხვედრების ოქმები) და შესაბამის დეპარტამენტებთან რესურსებზე, სამუშაო პაკეტსა და ვადებზე⁶⁰.

შემოთავაზებული კალენდარი მოსამზადებელი ფაზისთვის

ამ თავში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით გთავაზობთ შემდეგ კალენდარს. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ არ არის აუცილებელი ერთი საკითხის განხილვას ერთი თვე დაუთმოთ. კალენდარმა უნდა აჩვენოს, რომ მომზადებისთვის რამდენიმე თვე დაგჭირდებათ – რადგან მოსამზადებელი აქტივობები შეიძლება არ იყოს სათანადოდ გათვალისწინებული.

⁶⁰ არ არსებობს დამხმარე ინსტრუმენტები ევროპულ კრებულში



შეჯამებისთვის, მოსამზადებელი ფაზის დასასრულს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა იციან და მხარს უჭერენ IQM პროცედურას კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისთვის, IQM ჯგუფი ჩამოყალიბებულია და რესურსები გამოყოფილია. მომდევნო თავი ეხება IQM პროცედურის დანერგვის პირველ ნაბიჯს (ნაბიჯი 1), რაც გულისხმობს კომპეტენციის მოდელის შემუშავებას სტუდენტის წინასწარ განსაზღვრული კომპეტენციების იდენტიფიცირებით (კომპეტენციებს სტუდენტები უნდა დაეუფლონ განსაზღვრული სასწავლო პროგრამის ფარგლებში).

I საფეხური: კომპეტენციების განსაზღვრა

I საფეხურის დასასრულს

- ➔ კომპეტენციების მოდელი შემუშავებულია და მიჰყვება კომპეტენციის კვლევის⁶¹ ხარისხის ხუთ კრიტერიუმს
- ➔ დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან შემუშავებული კომპეტენციების მოდელის შესახებ



კომპეტენციის მოდელის შემუშავება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ იმ კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები უნდა დაეუფლონ კონკრეტული აკადემიური პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული კომპეტენციების ნუსხა შესაძლებელია ვიხილოთ როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე Europass-ში⁶². აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აღსანიშნად, „კომპეტენციის“ ნაცვლად ხშირად სხვა ტერმინებს მიმართავენ. ამგვარი ტერმინებია, მაგალითად: პროგრამის სასწავლო შედეგები, კვალიფიკაცია ან საწყისი/არსებითი უნარ-ჩვევები.



ხარისხის შიდა მართვის (IQM) პროცედურის I საფეხური მიზნად ისახავს იმის გარკვევას, კონკრეტულ ინსტიტუციას უკვე აქვს კარგად განსაზღვრული კომპეტენციები კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, თუ კიდევ საჭიროა მათი შემდგომი დახვეწა. კომპეტენციის კვლევა გარკვეულ რეკომენდაციებს გვაწვდის კომპეტენციების სათანადოდ ჩამოყალიბებისათვის ან – მკვლევართა ენით რომ ვთქვათ – კარგად განსაზღვრული თეორიული კომპეტენციის მოდელისათვის. კარგად განსაზღვრული კომპეტენციის მოდელი არის წინაპირობა იმისა, რომ აკადემიური პროგრამა სტუდენტთა კომპეტენციებზე იქნება ორიენტირებული.

კომპეტენციის კვლევა⁶³ კარგად განსაზღვრული კომპეტენციის მოდელის შემუშავებისათვის ხარისხის 5 კრიტერიუმს გვაწვდის. პირველ რიგში წარმოგიდგენთ კომპეტენციის მოდელს, რომელიც მოიცავს ხუთივე კრიტერიუმს. იმ დაწესებულებებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ან არ სურთ მოიცვან ხარისხის აღნიშნული 5 კრიტერიუმი, შეუძლიათ იხელმძღვანელონ იმ ძირითადი კრიტერიუმებით, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ კომპეტენციის მოდელის შემცირებული ვერსიის შემუშავებისას. გადაწყვეტა, თუ რომელი მოდელი უნდა განხორციელდეს – კომპეტენციების სრული მოდელი თუ შემცირებული ვერსია – იმ პირის პრეროგატივაა, ვინც ხარისხის შიდა მართვას ხელმძღვანელობს. სქემა 5-ში მოცემულია ხარისხის 5 კრიტერიუმის მიმოხილვა, დეტალები კი აღწერილია სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, რომელიც კომპეტენციის კვლევას ეხება.

⁶¹ ხარისხის 5 კრიტერიუმთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სქემა 6.

⁶² Europass -თან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი „გამჭირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტები“.

⁶³ ბერგსმანი და სხვ. (2015. გვ.3)

გამოიყენეთ განზოგადების საშუალო ხარისხი
კომპეტენციების ფორმულირება უნდა მოხდეს
განზოგადების საშუალო ხარისხით და ეხებოდეს
კონკრეტულ დარგს

**კომპეტენციის სფეროების
განსაზღვრა**
კომპეტენციები უნდა სტრუქ-
ტურირდეს კომპეტენციების
სფეროებად. ეს სტრუქტურა
დამოკიდებულია კონკრეტულ
საგანმანათლებლო პროგრამაზე
და პროგრამის წამყვან
თემატიკაზე. შესაბამისად,
კომპეტენციის სფეროები
განსხვავდება საგანმანათლებლო
პროგრამების მიხედვით.

მაგალითად: კომპეტენციის
სფეროები შესაძლოა იყოს:
სამეცნიერო კომპეტენციები,
პიროვნული კომპეტენციები,
ეთიკური კომპეტენციები,
დარგობრივად სპეციფიკური
სფეროები და სხვ.

კომპეტენციის მოდელი			ასპექტი
სამეცნიერო კომპეტენციები	ფსიქოლოგიური ხასიათის მონაცემთა ბაზის ლიტერატურის კვლევა		კოგნიტური
			პრაქტიკული
	სამეცნიერო ხასიათის წერა ფსიქოლოგიური ასოციაციების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით		კოგნიტური
			პრაქტიკული
	კომპეტენცია XY		კოგნიტური
			პრაქტიკული

სქემა №5: კომპეტენციის მოდელის ხარისხის 5 კრიტერიუმი ხარისხის შიდა მენეჯმენტში (ფსიქოლოგიაში
მეცნიერული კომპეტენციების მაგალითის მიხედვით)

კომპეტენციის ორი ასპექტის განსხვავება:

განასხვავეთ კოგნიტური და პრაქტიკული ასპექტები.
კოგნიტური ასპექტი გულისხმობს სტუდენტის მეცნიერებაზე დაფუძნებულ ცოდნას კონკრეტულ კომპეტენციასთან მიმართებაში, ხოლო პრაქტიკული ცოდნა მეტწილად ეხება ქმედებების შესრულებას.

კომპეტენციის დონეების განსაზღვრა

განსაზღვრეთ კომპეტენციის დონეები ორივე ასპექტისათვის: კოგნიტური და პრაქტიკული ასპექტებისათვის. დონეები მკაფიოდ განსაზღვრული უნდა იყოს.

მაგალითი: დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი „კომპეტენციის კვლევა“

კომპეტენციის დონე

განვითარების საფეხური მაგ. ბაკალავრის ხარისხი	განვითარების საფეხური მაგ. მაგისტრის ხარისხი
3	5
2	4
2	3
2	3
(ჩასვით ბაკალავრის ხარისხისთვის განსაზღვრული დონეები ამ სვეტში)	(ჩასვით მაგისტრის ხარისხისთვის განსაზღვრული დონეები ამ სვეტში)

განვითარების საფეხურის გათვალისწინება

გათვალისწინეთ განვითარების საფეხური სწავლის სულ მცირე ორი მნიშვნელოვანი დროითი ეტაპის კომპეტენციების დონეების განსაზღვრით.

მაგალითი: ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებისთვის; პროგრამის დასასრულს და პროგრამის მნიშვნელოვან პერიოდში სწავლის პროცესის დროს.

ძირითად კომპონენტებზე ორიენტირება

კომპეტენციის მოდელის ხუთივე კრიტერიუმის დაკმაყოფილება შესაძლოა არ იყოს ყველა და თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანი, მათი საწყისი მდგომარეობიდან გამომდინარე. ზოგიერთი დაწესებულება ან ცალკეული პროგრამა კონკრეტული დაწესებულების ფარგლებში შესაძლოა უკვე იყენებდეს სახელმძღვანელოში მოცემული სტუდენტის კომპეტენციების მსგავს მოდელს, დაინტერესებულ მხარეთა განხილვაში აქტიურად ჩართვის შედეგად შეთანხმებული, კარგად განსაზღვრული სტუდენტის მოსალოდნელი კომპეტენციების ჩამონათვალით. ასეთ შემთხვევებში, აღნიშნული ხუთი კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელი მოდელის შემუშავება მიღწევად მიზნად შეიძლება ჩაითვალოს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ზოგიერთ დაწესებულებას შესაძლოა ჰქონდეს ამ სახელმძღვანელო ⁶⁴ წარმოდგენილი კომპეტენციისგან განსხვავებული ხედვა ან არ გააჩნდეს კომპეტენციების ამგვარად შემუშავებული ჩამონათვალი. ზოგან შესაძლოა არსებობდეს გარკვეულწილად გართულებული სადისკუსიო კულტურა ან მასში არ არსებობდეს კონსენსუსი სტუდენტის მიერ მისაღწევ კომპეტენციებთან ან კომპეტენციათა დონეებთან დაკავშირებით. მსგავსი საწყისი მდგომარეობის მქონე ინსტიტუტებს რეკომენდაციას ვუწევთ, ორიენტირება მოახდინონ ხარისხის იმ რამდენიმე კრიტერიუმზე, რომლებიც, ჩვენი თვალთახედვით, კომპეტენციის მოდელის მთავარი კომპონენტებია.

- აარჩიეთ ყველაზე შესაბამისი კომპეტენციის სფეროები;
- განსაზღვრეთ ყველაზე შესაბამისი კომპეტენციები ამ სფეროებში;
- გაითვალისწინეთ ორივე, როგორც კოგნიტური, ისე პრაქტიკული ასპექტი;
- განსაზღვრეთ კომპეტენციის დონეები სწავლის დასასრულისთვის;
- სრულყოფით კომპეტენციის მოდელი ნაბიჯ-ნაბიჯ შემდგომი წლების მანძილზე.

კომპეტენციის მოდელი მიიჩნევა სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილად?

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირები მიიჩნევენ, რომ კომპეტენციის მოდელი (ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კვალიფიკაციები, პირველადი უნარ-ჩვევები და ა.შ.) სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია. თუ კონკრეტულ ინსტიტუტში მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაარკვიოს, თუ არის შესაძლებელი კომპეტენციის უფრო დახვეწილი მოდელის ინტეგრირება სასწავლო გეგმაში. ინტეგრირება შესაძლოა იყოს კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესი. არსებობს ალტერნატივაც, რომლის მიხედვით, უფრო დახვეწილი კომპეტენციის მოდელი შესაძლოა განხილული იქნეს, როგორც დამატებითი დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნება სასწავლო გეგმას, მაგრამ არ იქნება მისი შემადგენელი ნაწილი.

⁶⁴ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან პროგრამის სწავლების შედეგების ფორმულირებაზე (იხ. მაგ. ECTS Users Guide, Bologna Process (2015 a)) ვურჩევთ მიმართონ პროგრამის სწავლების შედეგების დონეების განვითარების აღმწერთა ლიტერატურას (იხ. მაგ. Svinicky & Mc Keachie, 2012 ან Reddy & Andrade, 2010).



კვალიფიკაციათა ჩარჩოები და Europass

მოცემულ საინფორმაციო ჩარჩოში გვსურს, განვმარტოთ კომპეტენციის მოდელის კავშირი კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ტრანსნაციონალურ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (მაგ. ევროპული კვალიფიკაციათა ჩარჩოები). კომპეტენციის მოდელი კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო პროგრამის მიზნებს; იგი ასრულებს გზამკვლევის როლს, რათა სტუდენტებისთვის გასაგები იყოს, რა უნდა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამისგან, და ეხმარება მასწავლებლებს, აქცენტი დასვან წინასწარ შეთანხმებულ კომპეტენციებსა და კომპეტენციების დონეებზე. ტრანსნაციონალური კვალიფიკაციათა ჩარჩოები კი, პირიქით, გვხმარება სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემების შედარებაში. კონკრეტული სასწავლო პროგრამისთვის კომპეტენციის მოდელის განსაზღვრის დროს უნდა გაითვალისწინოთ ტრანსნაციონალური (და ეროვნული) კვალიფიკაციის ჩარჩოები⁶⁵ და, ასევე, უნდა გადამოწმდეს კომპეტენციის მოდელით განსაზღვრული კომპეტენციებისა და კომპეტენციათა დონეების თანხვედრა ტრანსნაციონალურ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (მაგ. საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე).

Europass-ის განხილვისას შეიძლება დაფიქრდეთ კომპეტენციის მოდელით განსაზღვრული კომპეტენციებისა და კომპეტენციების დონეების ინტეგრირება Europass-ის საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში.

კომპეტენციის მოდელის შემუშავების ჩვენი მეთოდი ეფუძნება მონაწილეობით მიდგომას. დაინტერესებული მხარეებისათვის მისაღები უნდა იყოს კომპეტენციის მოდელი. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები ჩართული უნდა იყვნენ შემუშავების პროცესში. მონაწილეობითი მიდგომა შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც ერთგვარი ჩარევა, რადგან კომპეტენციები ხდება ფართო განხილვის საგანი. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც მართვის პროცესის კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისაკენ წანაცვლების პროცესში არიან.

რეკომენდებული მეთოდი კონკრეტული სასწავლო პროცესის კომპეტენციის მოდელის შესამუშავებლად არის ხარისხის შიდა მართვის გუნდისთვის ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრები. გარდა ამისა, სამუშაო შეხვედრებს შორის გათვალისწინებულია სამუშაო შეხვედრები სხვა დაინტერესებული მხარეების ჩასართავად.



ევროპული ინსტრუმენტების კრებული გვაწვდის ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 6: სემინარები და სამუშაო ჯგუფები პირველი საფეხურისათვის (ნიმუში)
ინსტრუმენტი 7: კომპეტენციის მოდელის ფორმა (ნიმუში)

მოცემულ საინფორმაციო ჩარჩოებში შემოთავაზებულია რჩევები და ხერხები როგორც კომპეტენციების, ისე კომპეტენციის დონეების ფორმულირებისთვის.

⁶⁵ IQM პროცედურის შექმნისა და დანერგვის რეკომენდაციებისათვის იხილეთ თავი “ხარისხის გარე უზრუნველყოფა”

რჩევები და ხერხები კომპეტენციების ფორმულირებისათვის:

პირველ რიგში, გააანალიზეთ კომპეტენციათა არსებული ჩამონათვალი. გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ ყოველდღიურ საუბარში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აღსანიშნად „კომპეტენციის“ ნაცვლად ხშირად გამოიყენება სხვა ტერმინები. ასეთი ტერმინებია, მაგალითად: საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები, კვალიფიკაციები ან ძირითადი უნარ-ჩვევები.

მოცემული ჩამონათვალი შეიძლება გამოიყენოთ, როგორც კრიტერიუმები თითოეული კომპეტენციის გასაანალიზებლად. კომპეტენციათა ფორმულირებასთან დაკავშირებული უფრო ვრცელი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი „კომპეტენციის კვლევა“.

- კომპეტენციის ფორმულირება ხდება აბსტრაქციის⁶⁶ საშუალო ხარისხით;
- კომპეტენციის ფორმულირება კონკრეტულ დარგს შეესაბამება;
- კომპეტენციის ფორმულირება მოიცავს ორივე ასპექტს: კოგნიტურ და პრაქტიკულ ასპექტებს;
- კომპეტენციის ფორმულირება გამორიცხავს კომპეტენციის დონეების ფორმულირებას;
- ფორმულირება მოიცავს მხოლოდ ერთ კომპეტენციას, შესაბამისად, იგი არის ერთ-განზომილებიანი.

კომპეტენციის მაგალითი, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის ხუთ კრიტერიუმს:

ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის ლიტერატურის კვლევა

კომპეტენციათა მაგალითები, რომლებშიც გათვალისწინებული არ არის ხარისხის ყველა კრიტერიუმი (მიზეზი დართულია ფრჩხილებში):

ლიტერატურის კვლევა (განზოგადების ზედმეტად მაღალი დონე)

ლიტერატურის კვლევა მონაცემთა ბაზაში „ფსიქინფო“ (განზოგადების ზედმეტად დაბალი დონე)

ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების შესახებ ცოდნა (გულისხმობს მხოლოდ ერთ, კოგნიტურ ასპექტს, მაგრამ არ ეხება პრაქტიკულ ასპექტს)

ლიტერატურის კვლევის მაღალი დონის უნარ-ჩვევები (მოიცავს დონეს სიტყვის „მაღალი“ გამოყენებით)

საბაზისო ცოდნა ლიტერატურის კვლევაში (მოიცავს დონეს სიტყვის „საბაზისო“ გამოყენებით და ეხება მხოლოდ ერთ, კოგნიტურ ასპექტს, მაგრამ არა პრაქტიკულ ასპექტს)

ლიტერატურის კვლევა და სამეცნიერო წერა ფსიქოლოგიაში (მრავალგანზომილებიანი)

- დაფიქრდით, სულ რამდენი კომპეტენციის შემუშვებას ისურვებდით.

⁶⁶ შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ აბსტრაქციის დაბალი დონე თუკი მაგ., თქვენს ინსტიტუტში სწავლის შედეგები უკვე ფორმულირებულია, სწავლის შედეგები ყველასათვის ცნობილია და გაქვთ რესურსები დიდი რაოდენობის კომპეტენციების დასაკმაყოფილებლად. ასევე კომპეტენციების რაოდენობასთან დაკავშირებით იხ. ჩამონათვალის ბოლო პუნქტი

შენიშვნა: მე-2 საფეხური გვაწვდის მეთოდს საკონტროლო ინფორმაციის მოსაპოვებლად როგორც სტუდენტების კომპეტენციებზე, ისე სწავლებისა და სწავლის პროცესზე. სტუდენტებმა პასუხი უნდა გასცენ ოთხ კითხვას თითოეულ კომპეტენციაში. თუ თქვენ გადაწყვეტთ მოცემული მეთოდის გამოყენებას, გაიაზრეთ, რამდენ კითხვაზე მოუწევთ სტუდენტებს პასუხის გაცემა. თუ თქვენ განსაზღვრავთ, მაგალითად, 30 კომპეტენციას, სტუდენტებს მოუწევთ 120 შეკითხვაზე პასუხის გაცემა. (იხილეთ თავი მე-2 საფეხურის შესახებ)

რჩევები და ხერხები კომპეტენციების დონეების ფორმულირებისათვის:

კომპეტენციის დონეების ფორმულირება შესაძლოა მოხდეს ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნით.

ზოგადი ფორმულირება

კომპეტენციის დონეების ზოგადი ფორმულირება გულისხმობს, რომ ერთი ფორმულირება შესაძლოა მიესადაგოს ნებისმიერ სხვა კომპეტენციას და რომ აღნიშნული ფორმულირება არ არის კომპეტენციათა⁶⁷ მიხედვით სპეციფიკური. დანართში 2 მოცემულია კომპეტენციათა დონეების ზოგადი ფორმულირების ნიმუში.

კომპეტენციის მოდელის შემუშავების პროცესში კომპეტენციათა დონეების ზოგადი ფორმულირების გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ აღნიშნული ფორმულირებით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სრულიად სხვადასხვა კომპეტენციებისთვის. შესაბამისად, ზოგადი ფორმულირება შესაძლოა მიესადაგოს სწავლების სხვადასხვა დარგს, კომპეტენციათა სხვადასხვა სფეროს ან სხვადასხვა ცალკეულ კომპეტენციას. ეს არის ერთი ფორმულირება, რომელიც შეესაბამება ყველა კომპეტენციას და არ საჭიროებს ბევრ რესურსს კომპეტენციის მოდელის განვითარების პროცესში.

ზოგადი ფორმულირების უარყოფითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ადამიანმა შესაძლოა განსხვავებულად გაიგოს, თუ რას ნიშნავს ზოგადი კომპეტენციის დონე კონკრეტულ კომპეტენციასთან მიმართებით. მაგალითად, კომპეტენციის დონე, რომელსაც მარტივად ვუწოდებთ „დამწყებს“, შესაძლოა განსხვავდებოდეს პირველკურსელისათვის და ამავე სფეროს პროფესორისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი კომპეტენციის დონეები ამომწურავად იყოს აღწერილი.

დანართში მოცემულ მაგალითში შემოთავაზებულია ასეთი სრული აღწერილობა და შესაძლებელია მისი გამოყენება კომპეტენციის მოდელის დასახვეწად. ნაბიჯ 2-ში გამოსაყენებელი შესამოწმებელი ინფორმაციის მოპოვების მეთოდი ასევე დაფუძნებულია ზოგად აღწერილობაზე, რომელიც დანართშივეა მოცემული.

ვიწრო ფორმულირება

კომპეტენციის დონეების ფორმულირება კონკრეტული კომპეტენციისთვის გულისხმობს თითოეული კომპეტენციისათვის ცალ-ცალკე კომპეტენციათა დონეების ფორმულირებას⁶⁸.

კომპეტენციათა დონეების სპეციფიკური ფორმულირების გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ კონკრეტული დონის გაგება სხვადასხვა ადამიანის მიერ ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. თუ, მაგალითად, ფსიქოლოგიაში კომპეტენცია „ექსპერიმენტის დაგეგმვის“ კოგნიტური ასპექტისთვის კომპეტენციის დონე ამბობს, რომ დამწყებმა იცის განსხვავება ექსპერიმენტულ და კვაზი-

⁶⁷ ზოგადი კომპეტენციის დონეების გავრცელებული განმარტება იხილეთ თავში " კომპეტენციების კვლევა".

⁶⁸ სპეციფიკური კომპეტენციის დონეების გავრცელებული ფორმულირებისათვის იხ. თავი „კომპეტენციის კვლევა“ ასევე იხ. კვლევა რუბრიკების განვითარებაზე (მაგ. Reddy & Andrade, 2010);

ექსპერიმენტულ დიზაინს შორის, ყველა ფსიქოლოგი მიხვდება, რა იგულისხმება ამ შემთხვევაში. მაშინ, როცა ზოგად დონეზე ნათქვამს, რომ დამწყებმა „იცის“ ფაქტები და აქტიურად ახდენს მათ რეპროდუცირებას⁶⁹, განსხვავებული ინტერპრეტაცია შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა ადამიანის მიერ.

ვიწრო ფორმულირების უარყოფითი მხარე ისაა, რომ განვითარების პროცესი აღნიშნულ შემთხვევაში ბევრ რესურსს მოითხოვს, განსაკუთრებით, როცა საუბარია ამომწურავ კომპეტენციის მოდელზე. სპეციფიკური დონეების განვითარებისათვის რეკომენდებულია, რომ პირველ რიგში მოხდეს შეთანხმება უკვე არსებულ კომპეტენციის დონეების ზოგად ფორმულირებასთან დაკავშირებით, რომლის სტრუქტურის მიხედვით უნდა მოხდეს სპეციფიკური კომპეტენციის დონეების ფორმულირება. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მაგ: ლიტერატურაში რუბრიკების განვითარების შესახებ⁶⁹.

ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა ხარისხის შიდა მართვის გუნდთან ერთად უნდა აწონ-დაწონოს დადებითი და უარყოფითი მხარეები და გადაწყვიტოს კომპეტენციის დონეების ფორმულირების საკითხი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კომპეტენციის დონეები ამავდროულად წარმოადგენს პასუხის ფორმატს, თუ გამოიყენებთ კითხვარს მე-2 საფეხურში, რომლითაც გამოკითხავთ თქვენს სტუდენტებსა და მასწავლებლებს კომპეტენციის მიღებულ დონესთან დაკავშირებით.



საინფორმაციო კამპანიის წარმართვა

საფეხურის მეორე მიზანია დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება. აქამდე მხოლოდ მათი წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი კომპეტენციის მოდელის შემუშავებაში. თუმცა, თითოეული დაინტერესებული პირი უნდა იყოს ინფორმირებული როგორც კომპეტენციის მოდელის საბოლოო ვერსიასთან დაკავშირებით, ასევე მოდელის განვითარების პროცესში მონაწილეობით მიდგომასთან დაკავშირებით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ხარისხის კულტურის შესაბამისად, საინფორმაციო კამპანია შესაძლოა დაიწყოს პირველი სამუშაო შეხვედრის ჩატარებამდე. ამ გზით თქვენ არა მხოლოდ ინფორმაციას მიაწვდით დაინტერესებულ მხარეებს, არამედ მოიწვევთ კიდევ ცალკეულ დაინტერესებულ პირებს სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად.



საინფორმაციო კამპანიისთვის რეკომენდებული მეთოდი არის გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისთვის და შესაძლოა, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის ჩვეულებრივი საინფორმაციო არხების გამოყენება (მაგ. სტუდენტთა გაზეთი).

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გვთავაზობს ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 8: საკომუნიკაციო გეგმა | საფეხურისთვის (მოდელი)

ინსტრუმენტი 9: საინფორმაციო მასალა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის | საფეხურისთვის (მოდელები)


⁶⁹ მაგ. Reddy & Andrade (2010); Svinicki & McKieachie (2012)

ექსკურსი: I საფეხურის შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის გაუმჯობესების ინდიკატორები

კომპეტენციის მოდელის შემუშავების შემდეგ, ხარისხის შიდა მართვის გუნდს შეუძლია, სამუშაო შეხვედრაზე განიხილოს, მოცემულ კომპეტენციის მოდელს მოჰყვება თუ არა მიღებული პრაქტიკული შედეგები კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების და შესწავლის პროცესის თვალსაზრისით. მაგ. კომპეტენციის მოდელის მიხედვით, სტუდენტები დაეუფლებიან კონკრეტული სპეციფიკური კომპეტენციის მაღალ დონეს მაგრამ ეს აქამდე ექსპლიციტურად არ იყო გათვალისწინებული სასწავლო პროცესში. როგორც ხარისხის მართვის ერთ-ერთი ინდიკატორი, ხარისხის შიდა მართვის გუნდმა უნდა შესთავაზოს პედაგოგთა ჯგუფს, რომ შეიკრიბონ და განიხილონ, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული კომპეტენციის დონის მიღწევა. (მცირერიცხოვანი ჯგუფები, სწავლების ან შეფასების სხვადასხვა მეთოდები, უკეთესი აღჭურვილობა და ა.შ.)

შემოთავაზებული დროის ჩარჩო I საფეხურისთვის

მოცემულ თავში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გთავაზობთ შემდეგ დროის ჩარჩოს



I საფეხურის ბოლოს მოდელი შემუშავებულია და მიჰყვება ამ კრიტერიუმებს ან, სულ მცირე, მთავარ კომპონენტებს. ასევე დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან კომპეტენციის მოდელთან და კომპეტენციის მოდელის განვითარების მონაწილეობით მიდგომასთან დაკავშირებით. II საფეხურზე უნდა შეგროვდეს შესაძლებელი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა აზრის არიან სტუდენტები და პედაგოგები სტუდენტების მიერ კომპეტენციის შესაბამისი დონეების მიღწევასთან დაკავშირებით და რამდენად დაეხმარა მათ სწავლა-სწავლების პროცესი აღნიშნული დონეების ათვისებაში.

II საფეხური: კომპეტენციების შემოწმება



II საფეხურის ბოლოს:

- დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან ხარისხის შიდა მართვის პროცედურასთან და კერძოდ, შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით, სანამ დაიწყება ინფორმაციის მოპოვება (საინფორმაციო კამპანია).
- შესამოწმებელი ინფორმაცია უკვე შეგროვებულია, სადაც ჩანს სხვაობა სტუდენტებისა და პედაგოგების პერსპექტივიდან მოსალოდნელ და გამოვლენილ კომპეტენციებს შორის. უფრო მეტიც, ის გვთავაზობს სასწავლო პროცესის შეფასებას სტუდენტების პერსპექტივიდან.
- შემოწმების შედეგად მიღებული ანგარიში დასრულებულია და შედეგები ეუწყა დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი სახით.



საინფორმაციო კამპანიის წარმართვა

I საფეხური დასრულდა საინფორმაციო კამპანიით კომპეტენციის მოდელის შესახებ და კომპეტენციის მოდელის შემუშავებაში ჩართულობის მიდგომის გამოყენების შესახებ. II საფეხური იწყება ზოგადად ხარისხის შიდა მართვასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიით, კერძოდ კი – შესამოწმებელი ინფორმაციის მოპოვების პროცედურით. თუ I და II საფეხურებზე საინფორმაციო კამპანია დროში ერთმანეთისგან ძალიან დამორებული არ არის, მაშინ შეიძლება მათი გაერთიანება, ხოლო თუ კომპეტენციის მოდელის შემუშავებასა და შესამოწმებელი ინფორმაციის მოპოვებას შორის რამდენიმე თვეა, კამპანიები ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს. განცალკევება შესაძლოა უფრო რეალისტური იყოს იმპლემენტაციის ფაზისთვის, რადგან შესაძლებელი ხდება შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვების მეთოდების განვითარება და ადაპტირება ინსტიტუციების საჭიროებებთან, რასაც, ჩვეულებრივ, დრო სჭირდება.



რეკომენდებული მეთოდები I მიზნის მიღწევისათვის, რაც უკავშირდება საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას, იგივეა, რაც I საფეხურის შემთხვევაში – ჩვეულებრივი საინფორმაციო არხების – გადაწყვეტილების მიმღები პირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლის და, შესაძლოა, დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების არხების – გამოყენება. გირჩევთ, II საფეხურზე გამოიყენოთ იგივე არხები, რომელთაც მიმართეთ I საფეხურზე.

ვერობული ინსტრუმენტების კრებული გვთავაზობს ნიმუშებს:

- ინსტრუმენტი 10: კომუნიკაციის გეგმა II საფეხურისათვის (ნიმუში)
- ინსტრუმენტი 11: დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის საინფორმაციო მასალა II საფეხურის წარმართვისთვის (ნიმუშები)

შემოწმებასთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირების შემდეგ შეგიძლიათ, დაიწყოთ შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვება. ქვემოთ გაწვდით რეკომენდაციებს აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით.



შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვება

ხარისხის შიდა მართვის ამ პროცედურაში გთავაზობთ ინფორმაციის შეგროვების კასკადურ მიდგომას: II საფეხურზე რეკომენდებულია თვითშეფასების შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვება. III საფეხურზე რეკომენდებულია შერჩეული კომპეტენციების დეტალური განხილვა სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით. კასკადურმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის შიდა მართვის პროცედურის ვარგისიანობის⁷⁰ და გამოსადეგობის შეფასების სტანდარტების მოწოდება. შესამოწმებელი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ძალიან მარტივად და შესაბამისად, პასუხობს ვარგისიანობის სტანდარტს. ხოლო დეტალური და/ან ობიექტური მონაცემების შეგროვებამ თითოეულ კომპეტენციასთან დაკავშირებით II საფეხურის ფარგლებში შესაძლოა გამოიწვიოს ადმინისტრაციისათვის ზედმეტად მაღალი გადასახადის დაკისრება და შესაბამისად, შესაძლოა დაარღვიოს ვარგისიანობის სტანდარტი. შესამოწმებელი ინფორმაცია გვაწვდის მიმოხილვას და შეიძლება, დაინტერესებული მხარეების მიერ საკმაოდ მარტივად იყოს გათვალისწინებული; შესაბამისად, შესამოწმებელი ინფორმაცია შეესაბამება გამოყენებაზე ორიენტირებულ/ეფექტურობის სტანდარტს. ზედმეტად დეტალურმა მონაცემებმა ყველა კომპეტენციაზე შესაძლოა გამოიწვიოს დაინტერესებული მხარეების გადატვირთვა და შესაბამისად, იწვევს გამოყენებაზე ორიენტირებულ/ეფექტურობის სტანდარტის დარღვევას.

კასკადურ მიდგომას აქვს ორი შედეგი II საფეხურისთვის: პირველი, II საფეხურის ბოლოს გამოვლენილია პოტენციური სხვაობა კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების თეორიასა და პრაქტიკას შორის, მაგრამ არა მისი მიზეზები. არსებული სხვაობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა ხდება მე-3 საფეხურის ნაწილი; შემდგომში, II საფეხურზე გვსურს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გაგება. მონაწილეობითი შეფასების მიდგომის გათვალისწინებით ვახდენთ კონცენტრირებას არა მხოლოდ სწავლა-სწავლების პროცესზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ აღიქმება კომპეტენციის მოდელი დაინტერესებული მხარეების მიერ. ამ ეტაპზე არ იგეგმება ობიექტური მონაცემების შეგროვება, რადგან ეს ბევრი ინსტიტუციისგან ზედმეტად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თუ ობიექტურ მონაცემთა შეგროვება ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ამის გაკეთება სპეციფიკური კომპეტენციებისათვის რეკომენდებულია მხოლოდ III საფეხურზე.

შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვებით გვსურს შეფასების შემდეგ კითხვებს პასუხი გავცეთ:

- სტუდენტებმა მიაღწიეს თუ არა მოსალოდნელ კომპეტენციათა დონეებს კომპეტენციის მოდელში წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად (სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა თვალსაზრისით)?
- სწავლა-სწავლების პროცესმა თუ განაპირობა სტუდენტების კომპეტენციების განვითარება კომპეტენციათა მოსალოდნელ დონეებამდე კომპეტენციის მოდელში წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად (სტუდენტების თვალსაზრისით)?
- შემდგომი კითხვები დაემატება დაინტერესებულ მხარეთა საინფორმაციო საჭიროებების მიხედვით.

ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები უფრო ზოგადი ხასიათისაა. რეკომენდებულია შეფასების კითხვარის დაკონკრეტება ინსტიტუციის საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, შესაძლებელია, განსაზღვროთ იმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მიაღწევენ წინასწარ განსაზღვრულ კომპეტენციათა დონეებს. თქვენი ინსტიტუციის წარმატების კრიტერიუმში არის, რომ ყველა სტუდენტი მიაღწევს წინასწარ განსაზღვრულ დონეებს ყველა კომპეტენციაში, თუ ის უფრო რეალისტურად არის განსაზღვრული მაგალითად, კომპეტენციათა წინასწარ განსაზღვრული დონის

⁷⁰ შეფასების სტანდარტების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „შეფასების კვლევა“.

მიმღწევ სტუდენტთა 75%-ით? წარმატების კრიტერიუმების ამგვარი დაკონკრეტება შეიძლება მოითხოვდეს მსჯელობას ინსტიტუციის შიგნით.

ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობაა, ჩამოაყალიბოს კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე მორგებული შეფასების კითხვარი და მოიძიოს შესაძლებელი ინფორმაციის შეგროვების შესაბამისი მეთოდი ინსტიტუციის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამისათვის უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება სოციალურ-მეცნიერული კვლევიდან მიღებულ სამ მეთოდოლოგიურ საკითხთან დაკავშირებით: პირველი, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მონაწილეების შესახებ (ვინ ჩაერთვება გამოკითხვაში), მეორე, ინსტრუმენტის შესახებ (კითხვარები, ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები და სხვ.) და მესამე, პროცედურის შესახებ (სავალდებულო თუ მოხალისეობრივი ჩართულობა, ელექტრონულად თუ ფურცლისა და კალმის საშუალებით, მონაწილეობა შინიდან თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სხვ.).

შესაბამისი მეთოდის არჩევისას უნდა გაითვალისწინოთ თქვენი დაწესებულების საწყისი მდგომარეობა. როგორც I საფეხურზე განვიხილეთ, პოტენციური საწყისი მდგომარეობა კომპეტენციის მოდელის შემუშავებისთვის, შესაძლოა განსხვავდებოდეს საწყისი მდგომარეობა ინსტიტუციების მიხედვით (იხ. საინფორმაციო ჩარჩო).

შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვების განსხვავებული სასტარტო პოზიციები

ზოგიერთ დაწესებულებას შესაძლოა უკვე ჰქონდეს სოციალურ-მეცნიერული მეთოდების ან ზოგიერთი ფინანსური რესურსის გამოყენების გარკვეული გამოცდილება, რაც უფრო გაუადვილებს შესამოწმებელი ინფორმაციის შეგროვებისათვის ინსტრუმენტის შემუშავების პროცესს. მათ ასევე შესაძლოა მოსდევდეთ ხარისხის მართვის კულტურა და ჰყავდეთ დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონდომებით ჩაერთვებიან გამოკითხვის პროცესში. სხვებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ბევრი რესურსი ხარისხის მართვის საკითხებისათვის ან ნაკლებად გამოცდილი იყვნენ სოციალურ-მეცნიერული მეთოდების გამოყენებაში. სასტარტო მდგომარეობა შესაძლოა ასევე განსხვავდებოდეს ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორიც არის სტუდენტთა რაოდენობა.

შემდგომ აბზაცებში წარმოგიდგენთ სკრინინგის სფეციფიკურ მეთოდს, რომელიც ეფუძნება I საფეხურზე აღწერილ კომპეტენციის მოდელს, ე.წ. კომპეტენციის სკრინინგის კითხვარს უმაღლესი განათლებისთვის. შემდგომ ამისა, ასევე, მოგაწვდით იმ მთავარ კომპონენტებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ, თუ მოცემული კითხვარი არ იქნება შესაბამისი თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

კომპეტენციის სკრინინგის კითხვარი უმაღლესი განათლებისათვის (CSQ-HE) ეფუძნება I საფეხურზე განმარტებულ კომპეტენციის მოდელს. ქვემოთ წარმოგიდგენთ ზოგად ინფორმაციას CSQ-HE-სთან დაკავშირებით. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თქვენ, ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირი, შეძლებთ მიიღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება CSQ-HE თქვენს ინსტიტუციას.

CSQ-HE გვაწვდის ფორმას, რომელშიც კომპეტენციის მოდელის კომპეტენციების ჩაწერა მარტივად არის შესაძლებელი. წინაპირობას წარმოადგენს კომპეტენციის მოდელი, რომელიც იყენებს დანართ 1-ში მოცემულ კომპეტენციათა დონეების ზოგად ფორმულირებას. CSQ-HE შეესაბამება იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც:



- სურთ, რომ პროცესში ჩართონ შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა და ჰკითხოთ მათ აზრი. ჩვენ გთავაზობთ CSQ-HE-ის ორ ვერსიას: სტუდენტის კითხვარს და მასწავლებლის კითხვარს. თუმცა, მარტივად არის შესაძლებელი მასწავლებლის კითხვარის ადაპტირება სხვა დაინტერესებულ მხარეზე (მაგ. დამსაქმებლებზე) ორიენტირებულად, საჭიროების შემთხვევაში.
- სურთ, რომ წარმართონ ინსტიტუციური ცვლილებების მართვის პროცესი კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მიმართულებით. თუ ბევრი სტუდენტი და მასწავლებელი შეავსებს CSQ-HE-ს, იგი შესაძლებელია განვიხილოთ ჩარევის ინსტრუმენტად, რადგან დაინტერესებული მხარეები იწყებენ ფიქრს და საუბარს კომპეტენციებზე.
- სურთ მოიძიონ მონიტორინგის ინსტრუმენტი. თუ რეგულარულად მივმართავთ CSQ-HE-ს, შესაძლებელი გახდება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების მდგომარეობის აღწერა სწავლების მანძილზე.

ევროპული ინსტრუმენტების კრებულში მოცემულია შემდგომი ინფორმაცია შეფასების სპეციფიკურ კითხვებზე, (რომლებსაც პასუხს გასცემთ CSQ-HE-ის მიხედვით) ისევე როგორც ინფორმაცია თავად კითხვარზე.

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გვაწვდის ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 12: კომპეტენციის საკონტროლო კითხვარი უმაღლესი განათლებისათვის (CSQ-HE; ფაქტების ჩამონათვალი + ნიმუში)

თუ CSQ-HE არ არის თქვენი დაწესებულებისთვის შესაფერისი მეთოდი, შეგიძლიათ აირჩიოთ შეფასების სხვა კითხვები და მეთოდები. რეკომენდებულია, გაჰყვეთ სოციალურ-მეცნიერული კვლევის საერთო სტანდარტს შეფასების კითხვების ფორმულირებისას და შესაბამისი მეთოდის არჩევის დროს. სოციალური მეცნიერების სხვა მეთოდებია, მაგალითად, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფები ან, თუ ხელმისაწვდომი იქნება, ობიექტური ტესტები (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. საინფორმაციო ჩარჩო „სხვა შესაძლო მეთოდები“). რეკომენდებულია შემდგომი მთავარი კომპონენტების გათვალისწინება შეფასების სხვა კითხვებისა და მეთოდების არჩევის დროს:

- შეფასების კითხვები კავშირში უნდა იყოს ჩვენი კომპეტენციის მოდელის მიხედვით სტუდენტის მოსალოდნელ კომპეტენციებთან.
- მოიპოვეთ ინფორმაცია როგორც სტუდენტების მიღებული კომპეტენციების, ისე სწავლა-სწავლების პროცესის გაცნობიერებასთან დაკავშირებით.
- შეფასების კითხვები უნდა მოიცავდნენ მკაფიოდ განმარტებულ წარმატების კრიტერიუმს (მაგ.: იმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მიაღწევნ კომპეტენციის განსაზღვრულ დონეს).
- აირჩიეთ სოციალურ-მეცნიერული მეთოდი, რომელიც შესაბამისი იქნება თქვენი შეფასების კითხვებზე საპასუხოდ (მაგ. ნუ შეაგროვებთ რაოდენობრივ მონაცემებს, თუ გჭირდებათ ხარისხობრივი ინფორმაცია კითხვებზე პასუხის გასაცემად).

სხვა შესაძლო მეთოდები

მოცემულ საინფორმაციო ჩარჩოში გთავაზობთ შესამოწმებელ მონაცემთა შეგროვების შემდგომ მეთოდებს, CSQ-HE გამოყენების გარდა. ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში ემპირიული კვლევებისათვის გამოყენებული ყველა მეთოდი გამოსადეგია სტუდენტის მიღებულ კომპეტენციებთან დაკავშირებული შესამოწმებელი მონაცემების შესაგროვებლად. შეგიძლიათ გამოიყენოთ თვითშეფასების სხვადასხვა ფორმები, როგორც კითხვარი, რაც მარტივია ადმინისტრირების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის კუთხით. შეგიძლიათ თავად შეადგინოთ კითხვარი ან დაეყრდნოთ არსებულ ვარიანტებს. შეგიძლიათ ასევე იფიქროთ რუბრიკების გამოყენებაზე იმ შემთხვევაში თუ მიმართეთ კომპეტენციის დონეების ⁷¹ სპეციფიკურ ფორმულირებას. შესაძლებელია ასევე ინტერვიუ ჩამოართვათ სტუდენტებსა და მასწავლებლებს, რომ შეიქმნათ უფრო ღრმა წარმოდგენა ხარისხობრივი მონაცემის საშუალებით. ინტერვიუები ასევე შესაძლოა განსხვავდებოდეს კითხვათა ტიპებით (სრულიად თავისუფალი, ნახევრად-სტრუქტურირებული ზოგიერთი სტანდარტიზებული კითხვით ან მთლიანად სტანდარტიზებული, რომელიც მიჰყვება ფიქსირებულ კითხვარს). გარდა ამისა, არსებობს ფორმები, რომლებიც მოიცავს ჯგუფებს, რომლებთანაც თქვენ წარმართავთ დიალოგს კომპეტენციებთან ან კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით. ასეთია ფოკუს ჯგუფები. შესაძლებელია გამოიყენოთ ობიექტური ტესტები თუ არსებული თქვენს მიზნებს შეესაბამება ან თავად შეადგინოთ ცოდნის ტესტი. არსებობს ობიექტური ტესტების (როგორცაა KoKoHs პროგრამის ⁷²) შედგენის ზოგიერთი კვლევითი ინიციატივა, რომელთაც შესაძლებელია დაეყრდნოთ. თუმცა ობიექტური ტესტების შედგენა საჭიროებს ბევრ რესურსს. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება ან თუნდაც, ვიდეო მეთოდით დაკვირვება ერთ-ერთი შესაძლო არჩევანია. საბოლოო ჯამში შესაძლო მეთოდის შერჩევის გადაწყვეტილების მიღების დროს, უნდა აწონოთ სხვადასხვა მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები შემდეგი კითხვების გათვალისწინებით: რა რესურსი მაქვს? რომელია ვარგისიანი? რომელი მეთოდებია მარტივი ადმინისტრირების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის კუთხით? არის თუ არა ეს მეთოდები ცვლილებებისადმი მგრძნობიარე იმ შემთხვევაში, თუ მინდა მათი მონიტორინგისათვის გამოყენება? როგორია მათი ხარისხი? მაწვდიან თუ არა ისინი იმ ინფორმაციას, რომელიც მჭირდება, რაოდენობრივსა და ხარისხობრივს? როგორია ანონიმურობა და ხელმისაწვდომობა.

აქამდე ვისაუბრეთ დაინტერესებულ მხარეთა საკონტროლო ინფორმაციის შესახებ ინფორმირებაზე და მის შეგროვებასთან დაკავშირებულ საკითხზე (II საფეხურში). ახლა გადავიდეთ II საფეხურის მესამე მიზანზე, რომელიც გულისხმობს დაინტერესებულ მხარეთათვის შედეგების გაცნობას. ხარისხის შიდა მართვის პროცედურის ბოლოს უნდა მომზადდეს ანგარიში და შედეგები უნდა გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს მათი ინტერესების შესაბამისად.

შიდა დაინტერესებულ მხარეთათვის სკრინინგ ანგარიშის მომზადება

გამოყენებაზე ორიენტირებულ შეფასებით მიდგომაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებული მხარეებისათვის გამოკითხვის შედეგების გაცნობას. შედეგების გამჭვირვალობა ასევე მეტად საჭიროა ხარისხის გარე მართვის პერსპექტივის ⁷³ მხრივ. ანგარიში დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. იგი ეხმარება დაინტერესებულ მკითხველს მიიღოს ინფორმაცია გამოკითხვის მოტივაციასა და მეთოდთან დაკავშირებით; იგი გვაწვდის შეფასების კითხვებს და ასევე პასუხობს დასმულ კითხვებს. თუმცა, ანგარიშის ინსტიტუციების ვებ

⁷¹ რუბრიკებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხ. მაგ. Reddy & Andrade (2010); Brookhart (2013) ან Svinicki & McKieachie (2012)

⁷² იხ. Blömeke & Zlatkin-Troitschanskaia (2013)

⁷³ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. „ხარისხის გარე უზრუნველყოფის“ ნაწილი.



გვერდზე ატვირთვა შემდგომი ქმედების გარეშე არ უზრუნველყოფს მის რეალურ გამოყენებას. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, რომლებმაც უნდა გამოიყენონ მიღებული შედეგები, უნდა მოხდეს სპეციფიკური გზით; რაც იმას ნიშნავს, რომ ანგარიშს უნდა ახლდეს შემდგომი საკომუნიკაციო ქმედებები (მაგ: უფრო კონკრეტული ინფორმაცია სტუდენტთა გაზეთში). საინფორმაციო ჩარჩოში გთავაზობთ ანგარიშის ძალიან ზოგად სტრუქტურას სოციალურ-მეცნიერული კვლევის სტანდარტების მიხედვით. შემდგომ მოგაწვდით ანგარიშის შედგენის ზოგიერთ მეთოდს და შედეგების გაცნობას დაინტერესებულ მხარეებზე ორიენტირებულად.

ანგარიშის სტრუქტურა

- **შინაარსი**
- **შესავალი & მოტივაცია**
 - მოტივაცია გამოკითხვისთვის
 - IQM-პროცედურის მიმოხილვა კომპეტენციაზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში
 - კომპეტენციის მოდელი
 - შეფასების კითხვები
- **მეთოდი**
 - მონაწილეები
 - ინსტრუმენტები
 - პროცედურა
- **შედეგები და განხილვა**
 - კვლევის კითხვებზე პასუხი შედეგების შინაარსის ჩათვლით
 - ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) პერსპექტივიდან დანახული ინტერპრეტაცია და რეკომენდაციები
- **დანართი: დეტალური შედეგები**



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა დაინტერესებულ მხარეთათვის ანგარიშის წარდგენამ და დაინტერესებულ მხარეზე ორიენტირებულად წარმართულმა საკომუნიკაციო სტრატეგიამ უნდა მიგვიყვანოს შედეგების⁷⁴ გამოყენებამდე. გამოკითხვის შედეგები უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს, მაგალითად, სულ მცირე სტუდენტებს, მასწავლებლებს და გადაწყვეტილების მიმღებებს. გთავაზობთ როგორც ანგარიშს, რომელიც ეფუძნება კომპეტენციის სკრინინგის კითხვარს უმაღლესი განათლებისთვის (CSQ-HE)⁷⁵, ისე შედეგების გაცნობის მეთოდებს დაინტერესებულ მხარეთა სპეციფიკის მიხედვით. თუ არ იყენებთ CSQ-HE-ს ან არ გაქვთ რესურსები შემოთავაზებული ანგარიშისთვის, შედეგების საუწყებლად შეგიძლიათ, გაითვალისწინოთ მთავარი კომპონენტები.

რეკომენდებულია, მიმართოთ დაინტერესებულ მხარეთა ოთხ ძირითად ჯგუფს: გადაწყვეტილების მიმღები პირები, ხარისხის მართვის გუნდი, სტუდენტები და მასწავლებლები:

- გადაწყვეტილების მიმღებმა⁷⁶ პირებმა უნდა მიიღონ ანგარიში, რომელშიც მიმოხილულია შედეგები.

⁷⁴ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის გარე დაინტერესებულ მხარეთათვის ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით იხ. თავი „გარე დაინტერესებულ მხარეთათვის ანგარიშის მომზადება“.

⁷⁵ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის გარე დაინტერესებულ მხარეთათვის ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით იხ. თავი „გარე დაინტერესებულ მხარეთათვის ანგარიშის მომზადება“.


⁷⁶ იხ. ნაბიჯი 2, მიზანი 2, CSQ-HE.

- IQM გუნდმა და ხარისხის მართვის სამსახურმა⁷⁷ ასევე უნდა მიიღოს ანგარიში. ანგარიში არის საწყისი ეტაპი ხარისხის შიდა მართვის პროცედურის III საფეხურისთვის.

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გვაწვდის ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 13: სკრინინგ ანგარიში (დაფუძნებული კომპეტენციის შესამოწმებელ კითხვარზე უმაღლესი განათლებისათვის – CSQ-HE-ზე; ნიმუში)


- თითოეულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს ინდივიდუალური კომპეტენციის პროფილი. პროფილში წარმოდგენილი იქნება სტუდენტის თვითშეფასებით მიღებული კომპეტენციის დონეების შედარება მოსალოდნელ კომპეტენციის დონეებთან. შესაბამისად, თითოეული სტუდენტი იღებს თავისი ინდივიდუალური თვითშეფასების მონაცემების კონსპექტს. სტუდენტებს შეუძლიათ, დაისახონ ინდივიდუალური მიზნები მასზე დაყრდნობით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ეხმარებოდნენ სტუდენტებს შედეგების ინტერპრეტაციასა და გაანალიზებაში – მაგალითად, სემინარზე, რომელიც სასწავლო გეგმის ნაწილია. დაინტერესებულ მხარეთათვის უფლებამოსილების მინიჭება ასევე განხილულია თავში „მდგრადობა“.



სქემა 6: კომპეტენციის პროფილი, როგორც უკუკავშირის შესაძლო ფორმა სტუდენტებისათვის

- თითოეულმა მასწავლებელმა უნდა მიიღოს ყველა თავისი სტუდენტის შედეგების მიმოხილვა, მაგ. კვლევის პერიოდის ბოლოს ან საკვანძო მომენტში. შედეგები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტთა გამოვლენილი კომპეტენციის დონეების შესახებ, დანახულს როგორც სტუდენტის, ისე მასწავლებლის პერსპექტივიდან. მეტიც, შედეგები უნდა მოიცავდეს სტუდენტის პერსპექტივიდან დანახულ მისთვის ნასწავლები გამოვლენილი კომპეტენციის დონეებს. მასწავლებლები შესამოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაინახავენ საკუთარი სწავლების შედეგებს. ეს შესაძლოა განხორციელდეს მაგალითად, ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა სემინარზე. სქემა 7-ზე ნაჩვენებია ამგვარი მიმოხილვის მაგალითი.

⁷⁷ მაგ. რექტორის მოადგილე პასუხისმგებელია სწავლა სწავლების, სენატისა და სასწავლო გეგმის კომისიაზე და ა.შ.



სქემა 7: შედეგების მიმოხილვა კომპეტენციათა მიხედვით, როგორც უკუკავშირის შესაძლო ფორმა მასწავლებლებისთვის

მთავარი კომპონენტები:

რეკომენდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებთ, ხარისხის მართვის გუნდს⁷⁸, სტუდენტებს და მასწავლებლებს. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ხარისხის მმართველ გუნდს უნდა წარედგინოს ანგარიში, როგორც ეს წინა ნაწილის დეტალებში იყო შემოთავაზებული. თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა სპეციფიკის გათვალისწინებით ინფორმირების მეთოდი შესაძლებელია ნაკლებ ფორმალური იყოს. სტუდენტებისა და მასწავლებლების ინფორმირება მთავარ შედეგებთან დაკავშირებით შესაძლებელია ინსტიტუციის ჩვეულებრივი საკომუნიკაციო არხებით (მაგ: ვებგვერდი, სტუდენტების გაზეთი, ცნობარი, სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული მასწავლებელთა შეხვედრები).

⁷⁸ ხარისხის მართვის გუნდი IQM გუნდის უფლებამონაცვლეა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ნაწილში: „სამომავლო პერსპექტივები“.



II საფეხურისთვის შემოთავაზებული კალენდარი

მოცემულ თავში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით გთავაზობთ შემდეგ კალენდარს:



რომ შევაჯამოთ: II საფეხურის ბოლოს დაინტერესებულ მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ ზოგადად ხარისხის შიდა მართვის პროცესთან დაკავშირებით და კონკრეტულად – მოსალოდნელი საკონტროლო ინფორმაციის შესახებ (= საინფორმაციო კამპანია). ამის გარდა, შეგროვებულია შესამოწმებელი ინფორმაცია და გვაწვდის კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული სხვაობის განხილვას. საბოლოოდ, ანგარიში დასრულებულია და შედეგები დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენილია შესაბამისი სახით.

საკონტროლო ინფორმაცია გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში ხარისხის მართვის საკითხის განხილვის დასაწყებად. შედეგები უფრო დეტალურად იქნება ინტერპრეტირებული და განხილული, ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები – ჩამოყალიბებული და გატარებული. ეს გახლავთ ხარისხის შიდა მართვის პროცედურის შემდეგი საფეხურის, III საფეხურის თემა.

III საფეხური: კომპეტენციების გაძლიერება

III საფეხურის ბოლოს

- ანგარიშზე დაფუძნებული ხარისხის გაძლიერების და ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლო ზომები შემუშავებული და შეგროვებულია.
- წამოწყებულია ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის შერჩეული ღონისძიებები.
- დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან წამოწყებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით



ხარისხის გაძლიერებისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შემუშავება

ხარისხის სამსახურის მმართველი პირები მიჩვეული არიან ანგარიშების მომზადებას. თუმცა, ზოგჯერ შეფასების ანგარიშები უჯრაში ბინავდება და მოცემულ ანგარიშს არ მოჰყვება კონკრეტული შედეგები. სხვა შემთხვევებში ისინი გამოიყენება და შედეგიც მიიღება, თუმცა დაინტერესებული მხარეები არ არიან ამაზე ინფორმირებულნი. III საფეხურის განხორციელება უზრუნველყოფს ანგარიშის შედეგების გამოყენებას და დაინტერესებული მხარეებისათვის შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.



II საფეხურზე შემუშავებული ანგარიში გვაწვდის ზოგად მიმოხილვას თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებულ სხვაობებთან დაკავშირებით. III საფეხურზე განვიხილავთ დეტალებს და საფუძვლიანად ვაანალიზებთ შედეგებს. გთავაზობთ რეკომენდაციებს III საფეხურის პროცედურისთვის: (i) ყველაზე რელევანტური კომპეტენციების არჩევა და პრიორიტეტულად დახარისხება, (ii) შერჩეულ კომპეტენციებთან დაკავშირებით სამუშაო თეორიების ფორმულირება შედეგების განმარტების თვალსაზრისით, (iii) სამუშაო თეორიების განხილვა და შემოწმება (iv) ხარისხის გაძლიერებისა და უზრუნველყოფის ზომების შემუშავება.

რეკომენდებულია, დაიწყოთ კომპეტენციებისთვის პრიორიტეტების მინიჭებით და ამის შესაბამისად შერჩევით, რადგან ყოველი კომპეტენციის საფუძვლიანმა ანალიზმა შესაძლოა გადატვირთოს დაინტერესებული მხარეები, შესაბამისად, ვეღარ დაკმაყოფილდება ვარგისიანობის სტანდარტი. ამიტომ, უნდა შეირჩეს დეტალურად განსახილველ კომპეტენციათა გონივრული რაოდენობა. შერჩევა შეიძლება აწარმოოს ხარისხის შიდა მართვის გუნდმა სამუშაო შეხვედრებზე.

კომპეტენციების შერჩევისას შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი კრიტერიუმები:

- შეარჩიეთ საგანმანათლებლო პროგრამისთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონე კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა, თავიდანვე დეტალურად იყოს განხილული.
- შეარჩიეთ ის კომპეტენციები, სადაც გამოვლენილი დონეები გაცილებით ჩამორჩება მოსალოდნელ დონეებს – ხარისხის გაძლიერების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით.
- შეარჩიეთ კომპეტენციები, სადაც გამოვლენილი აღემატება მოსალოდნელ დონეებს – ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით; გაიგეთ, თუ როგორ არის შესაძლებელი წარმატებული ასპექტების გადატანა სხვა კომპეტენციებზე.

კომპეტენციების პრიორიტიზაციის და შერჩევის შემდგომ ხარისხის შიდა მართვის გუნდი განიხილავს და ჩამოაყალიბებს იმ თეორიებს, რომელთა საშუალებით გაანალიზდება შედეგები. განხილვის საგანი უნდა მოიცავდეს ორ მნიშვნელოვან საკითხს: სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინება და შესაძლო მიზეზებთან დაკავშირებით ამომწურავი ხედვის ქონა. პირველი, სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინება, გულისხმობს სტუდენტების, მასწავლებლებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა მონაწილეობას განხილვებსა და სამუშაო თეორიების ფორმულირებაში. შედეგების განხილვის ეტაპისათვის თითოეული თვალსაზრისი ღირებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

მეორე, ამომწურავი ხედვა, გულისხმობს – კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების⁷⁹ მოდელის მიხედვით – რომ შედეგის მიზეზი შეიძლება მოიძებნოს სასწავლო გეგმაში, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, სტუდენტების სწავლის პროცესში და/ან სწავლა-სწავლების პროცესის კონტექსტში. შესაბამისად, განხილვაში ჩართულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების პროცესის ყველა ასპექტი, რომლებიც აღწერილია კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელში (იხ. სქემა 4). ასევე, დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ის დრო, რომლის ჩადებაც დასჭირდებათ სტუდენტებს კომპეტენციების განსავითარებლად და ისიც, ECTS-ის საათების რაოდენობა რამდენად შეესაბამება კომპეტენციების⁸⁰ განვითარების მიზანს. განხილვის ბოლოს მონაწილეები უნდა შეთანხმდნენ თითოეული კომპეტენციისათვის რამდენიმე სამუშაო თეორიაზე, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა შედეგების ახსნა (ასევე, შეგიძლიათ სპეციფიკური ჰიპოთეზის ფორმულირება, თუ მიზნად ისახავთ ჰიპოთეზის შემოწმებას).

სამუშაო თეორიების ფორმულირების შემდეგ ხარისხის შიდა მართვის გუნდმა უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი სამუშაო თეორია არის სწორი. შეგიძლიათ, გამოიყენოთ უკვე არსებული მონაცემთა ბაზა, მაგ. კურსის შეფასების მონაცემები ან რექტორის მოადგილეების უკვე არსებული ანგარიშები. აღსანიშნავია, რომ ეს არის კარგი შესაძლებლობა, მოხდეს უკვე არსებული ხარისხის მართვის ინსტრუმენტებისა და IQM პროცედურის ინტეგრირება, ხარისხის შიდა მართვის ზოგადად⁸¹ უფრო სრული სურათის მისაღებად. თუმცა, თუ არსებული მონაცემები არ გამოდგება, უნდა შეგროვდეს ახალი მონაცემები. იმის მიხედვით, თუ რა სამუშაო თეორია და რა რესურსები გვაქვს, ახალი მონაცემების შეგროვების პროცესი შეიძლება იყოს უფრო დეტალურად დამუშავებული ან უფრო ეკონომიური. უფრო დეტალური მეთოდები იყენებს, მაგალითად ობიექტურ ინსტრუმენტებს, არსებულ ან ახლად შექმნილ თვითშეფასების კითხვარებს (იხილეთ საინფორმაციო ჩარჩო „სხვა შესაძლო მეთოდები“). უფრო ეკონომიური მეთოდია, მაგალითად, შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ფოკუს-ჯგუფი ან ინტერვიუები. შესაბამისი დაინტერესებული მხარეებია, მაგალითად, მასწავლებლები, რომლებიც მოცემული კომპეტენციების სპეციალისტები არიან, სტუდენტები ან კურსდამთავრებულები.

როგორც კი სამუშაო თეორიები დამტკიცდება (ან განიხილება მაინც) და შედეგების გამომწვევი მიზეზები დადგინდება, ხარისხის შიდა მართვის გუნდს შეუძლია, დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები ხარისხის ამაღლების და უზრუნველყოფის კუთხით. ამასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი ორი კითხვის განხილვას:

- არის თუ არა ეს რეალისტური ღონისძიება (მაგ. არსებობს საკმარისი რესურსი?)

⁷⁹ კომპეტენციაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შესახებ იხ. თავი „კომპეტენციის კვლევა“.

⁸⁰ ECTS -ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი „გამჭირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტები და ბოლონის პროცესი (2015 ა). პროექტი, რომლებიც ეხება სტუდენტის დატვირთვის შეფასებას არის მაგ.: ‘Zeitlaststudien’ from Schulmeister (2009-2012)

⁸¹ IQM პროცედურის უფრო ფართო პერსპექტივაში დანახვის შესახებ იხ. თავი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“.

III საფეხური: კომპეტენციების გაძლიერება

- რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული ინსტრუმენტის დანერგვისას და რა არის საჭირო ამ პრობლემის პრევენციისათვის (მაგ. ვინ შეიძლება იყოს ამ ინსტრუმენტის წინააღმდეგი და როგორ შეიძლება ჩაერთოს იგი პროცესში)?

შესაძლო ინსტრუმენტები მოცემულია უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა მართვის ევროპულ ინსტრუმენტების კრებულში.

სქემა 8 წარმოგიდგენს ღონისძიებათა შემუშავების ზოგად მიმოხილვას.

აარჩიეთ კომპეტენციები	შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით: მიმდინარე წელს რომელი კომპეტენციები შეირჩევა ხარისხის გაძლიერების და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გასატარებლად?
შეიმუშავეთ სამუშაო თეორიები	- რა არის არჩეული კომპეტენციების შედეგების გამომწვევი შესაძლო მიზეზები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა პერსპექტივიდან? - სად უნდა ვეძებოთ ეს მიზეზები: სასწავლო გეგმაში, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, სტუდენტების სწავლის სტრატეგიებში და/ან სწავლა-სწავლების პროცესის კონტექსტში?
სამუშაო თეორიების განხილვა - გადამოწმება	- სამუშაო თეორიებს ვამოწმებთ თუ განვიხილავთ? თუ ვამოწმებთ: - შეგვიძლია თუ არა შევამოწმოთ ჩვენი სამუშაო თეორიები (ჰიპოთეზები) უკვე არსებული მონაცემების (ანგარიშის წარდგენის სისტემები, კურსის შეფასების შედეგები, ა. შ.) გამოყენებით? - თუ არ შეგვიძლია, არსებობს თუ არა შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებას ვისურვებდით? - თუ არ არსებობს, როგორი უნდა იყოს შეფასების ინსტრუმენტი – სოციალურ-მეცნიერული კვლევის სხვადასხვა მეთოდის, ასევე, შეფასების სტანდარტების გათვალისწინებით?
შეიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებები	როგორც კი სამუშაო თეორიები შემოწმდება ან განიხილება და მიზეზების იდენტიფიცირების პროცესი დასრულდება: რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა გატარდეს და ვის მიერ?

სქემა 8: ხარისხის შიდა მართვის პროცედურის III საფეხური. დეტალები იხ. ზემოთ.



ხარისხის გაძლიერებისა და უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების რეკომენდებული მეთოდია სამუშაო შეხვედრები ხარისხის შიდა მართვის გუნდთან სამუშაო თეორიების შესამოწმებლად შესაძლებელია, ითანამშრომლოთ სხვა დეპარტამენტებთან, მაგ: სწავლა-სწავლების დარგში რექტორის მოადგილის სამსახურთან, იმ მიზნით, რომ კურსის შეფასების შედეგები ჩართული იქნეს სამუშაო თეორიების შემოწმებაში; ან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან, თუ დაგჭირდებათ დამატებითი ელექტრონული კითხვარის წარმოება.

ევროპული ინსტრუმენტების კრებული გვაწვდის ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 14: სამუშაო შეხვედრები III საფეხურისთვის (ნიმუში)

ინსტრუმენტი 15: ხარისხის გაძლიერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლო ღონისძიებათა ნაკრები



ხარისხის გაძლიერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების წამოწყება

მოცემულ ეტაპამდე შემუშავდა ხარისხის გაძლიერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები. შეთავაზებული ინსტრუმენტების შერჩევისა და განხორციელების ინიციატივა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს. დანერგვის მეთოდი დამოკიდებულია თავად ინსტრუმენტზე და არსებულ კონტექსტზე. თუმცა, დანერგვის კვლევა გვაწვდის ზოგიერთ რჩევას და ხერხს წარმატებული დანერგვისათვის; დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ნაწილი „დანერგვის კვლევა“.

თუმცა, სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ ღონისძიებათა წამოწყება დაინტერესებულ მხარეთა უფლებამოსილებით აღჭურვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შესაბამისი განყოფილება თავში „სამომავლო პერსპექტივები“.



დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება წამოწყებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით


ხშირად დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ გამოკითხვაში და ინფორმირებული არიან შედეგებთან დაკავშირებით. თუმცა, ინიცირებული ღონისძიებების შესახებ დაინტერესებულ მხარეებს გარკვევით არ ეუწყებათ ხოლმე. დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება პროცესისთვის მნიშვნელოვანია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის მართვის კულტურის დამკვიდრებას უწყობს ხელს. იმ დაინტერესებულმა მხარეებმა, რომლებიც დაინახავენ გამოკითხვის შედეგად მომხდარ ცვლილებებს, მეტი ალბათობაა, კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემდგომ გამოკითხვაში, ჩაერთონ შედეგების განხილვაში და დააფასონ თავიანთი ინსტიტუციის ძალისხმევა ხარისხის გაძლიერებისა და უზრუნველყოფის კუთხით.

დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების მეთოდები იგივეა, რაც საინფორმაციო კამპანიისთვის იყო გამოყენებული I და II საფეხურებზე.



III საფეხურისთვის შემოთავაზებული კალენდარი

მოცემულ თავში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით გთავაზობთ შემდეგ დროის ჩარჩოს:



შეჯამების სახით, III საფეხურის ბოლოს ანგარიშზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული და შეგროვილია ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლო ღონისძიებები, შერჩეული ღონისძიებები წამოწყებულია და დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, I-III საფეხურების დანერგვით, IQM პროცედურა დასრულებულია. ხარისხის შიდა მართვის პროცედურის რუტინულ ოპერაციაზე გადასვლამდე დაბეჯითებითაა რეკომენდებული აქამდე ჩატარებულ სამუშაოს ასახვა სწორედ ამ საკითხს ეხება შემდეგი თავი.

შედეგების ასახვა

შედეგების ასახვის ფაზის ბოლოს ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა იცის:

- დანერგვის პროცესის წარმატების ფაქტორები და
- როგორ წარმართოს ხარისხის შიდა მართვის პროცედურის შემდგომი გაუმჯობესების პროცესი თავის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.



დაწესებულებაში ახალი პროცესის დანერგვა ხშირად თავისებური ექსპერიმენტი. დანერგვის პროცესის საფუძვლიანად დაგეგმვისა და ჩატარების შემთხვევაშიც კი ხშირად პროცესი მოულოდნელად ვითარდება ან წარმოჩნდება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხარისხის შიდა მართვის პროცედურის შემდგომ ციკლში უნდა იყოს გათვალისწინებული. შესაბამისად, დანერგვის პროცესის ბოლო ფაზაზე უნდა გამოიყოს დრო მოცემულ დანერგვაზე დაფიქრებისთვის, რაც რეკომენდებულია ხარისხის გარე უზრუნველყოფის პერსპექტივიდანაც⁸².



პირველ რიგში, ღრმად ჩაისუნთქეთ და იამაყეთ იმ რთული სამუშაოთი, რაც უკვე გააკეთეთ. დაფიქრდით წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებზე და ჩაინიშნეთ, რა გამოგადგებოდათ ხარისხის შიდა მართვის პროცედურის შემდგომ ციკლში. ჩვენ ხშირად გვაქვს მიდრეკილება, ნეგატიურ ასპექტებს გავუსვით ხაზი, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია წარმატების ფაქტორების აღნუსხვა და ყურადღების გამახვილება დანერგვის პროცესის დადებით მხარეებზე.



ამის მერე გადახედეთ დანერგვის პროცესის დოკუმენტაციას. ასახეთ პროცესის არაპროგნოზირებადი გარემოებანი და ის ფაქტორები, რამაც გარკვეული სიმწელები შეგიქმნათ. ჩაინიშნეთ იმ გამოცდილებათა შესახებ, რაც ზოგადად შეიძინეთ. ასევე, შეიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებები თქვენს დაწესებულებაში ხარისხის შიდა მართვის პროცედურის გაუმჯობესების მიზნით.

მესამე, ეცადეთ დაინტერესებული მხარეებისაგან უკუკავშირის მოპოვებას. შეგიძლიათ, მოიწვიოთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები ფოკუსჯგუფებში ან ინტერვიუზე.

ვერობული ინსტრუმენტების კრებული გვაწვდის ნიმუშებს:

ინსტრუმენტი 16: დაფიქრება და კითხვები დაფიქრების ფაზისთვის (ნიმუში)

⁸² დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ნაწილი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“.

შემოთავაზებული კალენდარი ასახვისთვის

ამ თავში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გთავაზობთ შემდეგ კალენდარს



აი, დავასრულეთ საუბარი იმპლემენტაციის პროცესზე. როგორც ხარისხის შიდა მართვის პროცედურისთვის მიძღვნილი თავის დასაწყისში ავღნიშნეთ, მოგაწოდეთ გარკვეული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაინერგოს IQM პროცედურა, როგორც საპილოტე პროგრამა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. მოცემული თავის წაკითხვის შემდეგ იცით, როგორ მოამზადოთ გადაწყვეტილების მიმღები პირები, IQM გუნდი და რესურსები. ასევე, იცით IQM პროცედურის სამი საფეხურის შესახებ, რომლებიც არის: (1) კომპეტენციის მოდელის შემუშავება, (2) საკონტროლო ინფორმაციის შეგროვება, (3) ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება და ინიცირება. გარდა ამისა, მოიპოვეთ გარკვეული ინფორმაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში IQM პროცედურის სამი საფეხურის დანერგვის სხვადასხვა მეთოდის შესახებ. უკვე გაგიჩნდათ გარკვეული წარმოდგენა დანერგვის პროცესზე დაფიქრებასთან დაკავშირებით.

შემდეგი თავი ეხება მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველყოფას IQM პროცედურის დანერგვის დროს და IQM პროცედურის გავრცელებას თქვენი დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. ასევე, რადგან ხარისხის შიდა მართვის გარდა, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ასევე მნიშვნელოვანია ხარისხის გარე მართვა, განვიხილავთ ზოგიერთ რეკომენდაციას ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.



სამომავლო პერსპექტივები

მდგრადი დანერგვის უზრუნველყოფა და
მისი წარდგენა ხარისხის გარე
უზრუნველყოფის სააგენტოებთან

მდგრადი დანერგვა და გავრცელება
ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის ანგარიშის
წარდგენა

სამომავლო პერსპექტივები

მდგრადი დანერგვის უზრუნველყოფა და მისი წარდგენა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის

სახელმძღვანელო გვაწვდის ინფორმაციას, თუ როგორ დავნერგოთ IQM პროცედურა საპილოტე პროექტად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში. თავში „მდგრადი დანერგვა და გავრცელება“, განვიხილავთ, ერთი მხრივ, როგორ შეუძლია ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელ პირს, უზრუნველყოს IQM პროცედურის დანერგვა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში და შედეგად, მიგვიყვანოს IQM პროცედურის მუდმივ ფუნქციონირებამდე. მეორეს მხრივ, გთავაზობთ ზოგად ხედვას, თუ როგორ შეიძლება გავრცელდეს IQM პროცედურა თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა პროგრამებზეც. თავში „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“ გთავაზობთ რეკომენდაციებს ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის წარსადგენი ანგარიშისთვის.

მდგრადი დანერგვა და გავრცელება

რის შესახებაა წინამდებარე თავი?

- ეს თავი შეეხება კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის მდგრად და უწყვეტ უზრუნველყოფას ერთ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი გზით:
 - გადაწყვეტილების მიმღები პირების შეფასება;
 - ხარისხის მართვის გუნდის დაარსება;
 - ფასილიტატური ადმინისტრირების დანერგვა;
 - დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის უფლებამოსილების მინიჭება.
- ამას გარდა, ეს თავი შეეხება IQM პროცედურის გავრცელებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა საგანმანათლებლო პროგრამებშიც.

მდგრადი დანერგვა

IQM პროცედურა რეგულარულად უნდა იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, IQM პროცედურის დანერგვისას უნდა ვიფიქროთ მისი მდგრადობის უზრუნველყოფაზე. არსებობს რამდენიმე ფაქტორი. თუმცა, სანამ განვიხილავთ ამ ფაქტორებს, განვსაზღვროთ, თუ რა სიხშირით უნდა ჩავატაროთ IQM პროცედურა. საინფორმაციო ჩარჩოში განხილული იქნება როგორც მოკლე, ისე გრძელი ინტერვალების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

IQM პროცედურის ჩასატარებელი ინტერვალი

მოკლე ინტერვალის (მაგ. ერთი წელი) დადებითი მხარე არის ის, რომ მეტი დროითი ნიშნული გექნებათ სტუდენტების კომპეტენციებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლებისთვის თვალყურის სადევნებლად. შესაბამისად, უფრო იოლი იქნება ცვლილებების მიზეზების მოძებნა, მაგ., გაგება, ცვლილება გამოწვეულია ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაძლიერების ღონისძიებებით თუ სხვა ფაქტორებით, ვთქვათ, პერსონალის ცვლილებით. ამასთანავე, მოკლე ინტერვალი მეტად წახალისებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის შესახებ მიმდინარე დისკუსიას და უფრო სავარაუდოა, რომ ჩამოყალიბდეს ორგანიზაციული შეფასების კულტურა. პროცედურის ყოველწლიური ჩატარების კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ ინფორმაციას იღებთ ყველა სტუდენტისგან და – თუ სასწავლო კურსის განმავლობაში მოკვლევის ორი დროითი ნიშნული გექნებათ – ასევე შემდეგ, თვალყური ადევნოთ სტუდენტთა კომპეტენციებს ინდივიდუალურად. მოკლე პერიოდის ნაკლოვანება არის უფრო მაღალი სამუშაო დატვირთვა.

ხანგრძლივი ინტერვალის შემთხვევაში (მაგ. 4 წელი) საჭიროა შედარებით მცირე რესურსი. თუმცა, უარყოფითი მხარე შესაძლოა იყოს ის, რომ დიდი ინტერვალით ჩატარებისას პროცედურა დაინტერესებული მხარეებისთვის არ ხდება ჩვეული და შესაბამისად, IQM პროცედურის კომუნიკაციისა და წარმართვისთვის საჭირო სამუშაო დატვირთვა შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, ვიდრე ეს პროცედურის ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების შემთხვევაში იქნებოდა. ხანგრძლივი ინტერვალის კიდევ ერთი ნაკლოვანება არის ის, რომ შესაძლებელია, ვერ მოხერხდეს არსებული ცვლილებების გამომწვევი კონკრეტული მიზეზის პოვნა, რადგანაც, რაც უფრო ხანგრძლივია ინტერვალი, მით მეტი ფაქტორის გავლენა იწვევს ცვლილებას. მდგრადი დანერგვის უზრუნველსაყოფად ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ IQM პროცედურის ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებას.

IQM პროცედურის რეგულარულად ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია მისი გამოყენება მონიტორინგის ინსტრუმენტად. ჩატარებთ IQM პროცედურას ყოველწლიურად, ორ წელიწადში ერთხელ თუ უფრო ხანგრძლივი ინტერვალით – ეს თქვენი და თქვენი ინსტიტუციის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დასადგენია.

ინტერვალის ზომის მიუხედავად, IQM-პროცედურის წარმატებულ და მდგრად დანერგვას ხელი შეეწყობა, თუ გაითვალისწინებთ იმ ოთხ ძირითად ფაქტორს, რომლებიც შესაძლოა თქვენთვის უკვე ნაცნობი იყოს, ვინაიდან გარკვეულწილად ისინი საპილოტე პროექტის დანერგვის მსგავსია. პირველი სამი ფაქტორი გამოტანილია დანერგვის კვლევიდან⁸³, ხოლო მეოთხე ფაქტორი – შეფასების კვლევიდან⁸⁴ : გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის დახმარების გაწევა (ლიდერობის დრაივერები), ხარისხის მართვის გუნდის ჩამოყალიბება (კომპეტენციის დრაივერები),

⁸³ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „დანერგვის კვლევა“

⁸⁴ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი „შეფასების კვლევა“

ფასილიტატური ადმინისტრირების დანერგვა (ორგანიზაციული დრაივერები) და დაინტერესებული მხარეების უფლებამოსილების მინიჭება (უფლებამოსილების მინიჭების შეფასება). შემდგომში დეტალურად განვმარტავთ ოთხ ფაქტორს და შემოგთავაზებთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინების რამდენიმე მეთოდს.

გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის დახმარების გაწევა

IQM პროცედურის მდგრადი დანერგვა კომპლექსური ძალისხმევის საგანია. დანერგვის პროცესისათვის წარმატების საკვანძო ფაქტორია გადაწყვეტილების მიმღები პირები, ვთქვათ, რექტორატი ან სენატი. ბლეიზი და ფიქსენი გადაწყვეტილების მიმღები პირების როლს შემდეგნაირად აჯამებენ: „ეფექტიანი ინოვაციის სრულად დანერგვის ლიდერობა ნიშნავს, გონიერი ცვლილების გზა გაატარო რთულ და გაქცევებულ სისტემას და წინ უძღოდ აღძრულ წინააღმდეგობათა დაძლევის საქმეში“ ⁸⁵ თქვენ, როგორც ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელ პირს, შეგიძლიათ, დაეხმაროთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ამ რთულ პროცესში⁸⁶. ერთი მხრივ, თქვენ შეგიძლიათ, უფრო ტექნიკური პრობლემების გადაჭრა იკისროთ (მაგ.: როგორ მივაწოდოთ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს?). მეორე მხრივ, შეგიძლიათ, მოირგოთ სპარინგ-პარტნიორის როლი მოქნილი გადაწყვეტილებებისთვის. მოქნილ გადაწყვეტილებებში არ არსებობს ცხადი გამოსავალი, არამედ გიწევთ კომპლექსური საკითხების გააზრება (მაგ., როგორ მოიქცეოდით ლიდერის როლში, როცა გეწინააღმდეგებიან?).

„განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ, თუ გადაწყვეტილების მიმღები პირები იცვლებიან. ახალ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აქტიურად უნდა აწვდიდეთ ინფორმაციას IQM პროცედურის შესახებ და უზრუნველყოთ მათ მიერ IQM პროცედურის მხარდაჭერა.

ახალ გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ინფორმირების რეკომენდებული მეთოდია პირადი კომუნიკაცია. გირჩევთ ახალ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირებას IQM პროცედურის ⁸⁷ შესახებ რაც დაემატება უკვე მიღებულ და დაგროვებულ გამოცდილებას.

ხარისხის მართვის გუნდის შექმნა

მდგრადი დანერგვისთვის აუცილებელი მეორე ფაქტორი არის ხარისხის მართვის გუნდის შექმნა. რეკომენდაციას ვუწევთ დანერგვის პროცესის უკვე არსებული IQM გუნდის ტრანსფორმირებას ხარისხის მართვის ინსტიტუციონიზირებულ გუნდად. ხარისხის მართვის გუნდი მეტწილად შინაარსთანაა დაკავშირებული და განიხილავს კომპეტენციებს, კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებას და განსაკუთრებით – კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის მართვას. ადმინისტრაციული პერსონალი უნდა გამოეთიშოს ხარისხის მართვის გუნდს და მოწვეული იქნეს ხარისხის მართვის გუნდის იმ შეხვედრებზე, სადაც ადმინისტრაციული საკითხების⁸⁸ განხილვის და დაგეგმვის საჭიროება არსებობს (მაგ. ინფორმაციის შეგროვების მორიგი ღონისძიების შესახებ). თუკი ხარისხის მართვის ბორდი იცვლება, ახალი წევრების გადამზადება საჭიროა მომდევნო შეხვედრამდე.

ხარისხის მართვის გუნდის ამოცანებია ⁸⁹, განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებები რეგულარულად ჩატარებული IQM პროცედურის შემდეგ საკითხებზე:

⁸⁵ Blasé & Fixsen (2013)

⁸⁶ იხ. თავი „მომზადება“ IQM პროცედურის დანერგვისას გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შეფასებლად კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში..

⁸⁷ დეტალებზე და ინსტრუმენტებზე ინფორმაციისათვის იხ. თავი „მომზადება“.

⁸⁸ საინფორმაციო კამპანიისთვის მაგ. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

⁸⁹ ხარისხის გარე უზრუნველყოფის თვალსაზრისით რეკომენდებულია ასევე პასუხისმგებლობების განსაზღვრა. დამატებითი დეტალებისათვის იხ. თავი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“, განსაკუთრებით „IQM პროცედურის შემუშავება და დანერგვა“ ნაწილი.

- დაფიქრების ფაზაში მიღებულ უკუკავშირს განიხილავს გუნდი და წამოაყენებს გაუმჯობესების ინიციატივას ხარისხის შიდა მართვის მომდევნო ციკლისთვის;
- ნაბიჯი 1-ის და ნაბიჯი 2-ის თაობაზე: გუნდი განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს IQM პროცედურის სტრატეგიულ ასპექტებზე, მაგ., კომპეტენციის მოდელის პოტენციური ცვლილებები/განახლებები, შემოწმება და ანგარიშის მომზადება. (მე-2 საფეხურის საექსპლუატაციო ასპექტი, მაგ., საკონტროლო ინფორმაციის შეგროვება, უნდა განხორციელდეს ფასილიტატორი ადმინისტრირების საშუალებით; იხილეთ შემდეგი ფაქტორი „ფასილიტატორული ადმინისტრირების დანერგვა“);
- მე-3 ნაბიჯის თაობაზე: გუნდი ასრულებს მე-3 ნაბიჯით გათვალისწინებულ ყველა ასპექტს.

გუნდი მონიტორინგს უწევს და დოკუმენტაციით უზრუნველყოფს ხარისხის გაძლიერების და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომლებიც მე-3 ნაბიჯით იქნება ინიცირებული.

გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა თქვენთან (ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელ პირთან) ერთად უნდა უზრუნველყონ ხარისხის მართვის გუნდის შექმნა და ინსტიტუციონალიზება. ხარისხის შიდა მართვის გუნდის პროცედურული წესები წერილობითი ფორმით უნდა იყოს დადგენილი.

ხარისხის მართვის ევროპული ინსტრუმენტების კრებული გვთავაზობს შემდეგ ნიმუშს:
 ინსტრუმენტი 17: წესები ხარისხის მართვის გუნდის პროცედურისთვის (ნიმუში)

ხელშემწყობი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება

მდგრადი დანერგვისთვის საჭირო მესამე ფაქტორია ხელშემწყობი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება. ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელ პირს IQM პროცედურის განსახორციელებლად ესაჭიროება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილებების მხარდაჭერა, მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მხარდაჭერა ელექტრონული კითხვარის ადმინისტრირებაში ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხარდაჭერა ინფორმაციული კამპანიის წარმოებისთვის. IQM პროცედურის მხარდაჭერა უნდა გახდეს რეგულარული სამუშაო პაკეტი ადმინისტრაციულ განყოფილებებში⁹⁰. თითოეული დეპარტამენტისთვის მიცემული კონკრეტული დავალებების გარდა, სამუშაო პაკეტი შესაძლოა მოიცავდეს შეხვედრას პროცედურაში ჩართულ ყველა ადმინისტრაციულ დეპარტამენტთან, რათა შეფასდეს ხარისხის შიდა მართვის ადმინისტრირების წინა ციკლი და დაიგეგმოს ხარისხის შიდა მართვის ადმინისტრირების შემდეგი ციკლი.

ხელშემწყობი ადმინისტრირება უნდა ჩამოაყალიბონ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა თქვენთან, ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, ერთად – პირადი კომუნიკაციის გზით და დავალებების გაწერით პროცედურაში ჩართული ადმინისტრაციული დეპარტამენტებისთვის.

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების ინფორმაციით აღჭურვა

მდგრადი დანერგვის ბოლო ფაქტორი არის დაინტერესებული მხარეების ჯგუფებისთვის უფლებამოსილების მინიჭება. ხარისხის შიდა მართვა უმაღლეს საგანმანათლებლო

⁹⁰ ხარისხის გარე უზრუნველყოფის თვალსაზრისით რეკომენდებულია ასევე პასუხისმგებლობების განსაზღვრა. დამატებითი დეტალებისათვის იხ. თავი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“, განსაკუთრებით „IQM პროცედურის შემუშავება და დანერგვა“ ნაწილი.

დაწესებულებაში დაინტერესებულ მხარეთა ყველა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. მასწავლებლებს, სტუდენტებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ჯგუფებს უნდა მიენიჭოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის და მასზე დაფიქრების, ასევე, ამ შედეგების პირად სწავლის პორცესში გამოყენების უფლებამოსილება.

დაინტერესებული მხარეებისთვის უფლებამოსილების მისანიჭებლად რეკომენდებული მეთოდი არის მათი ინფორმირება და გადამზადება.

საინფორმაციო კამპანია:

- სტუდენტების, მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების დენადობის მაღალი მაჩვენებლის გამო IQM ციკლების პარალელურად რეკომენდებულია ინფორმაციის უწყვეტად მიწოდება IQM პროცედურის შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია IQM პროცედურის დანიშნულების და მოტივაციის შესახებ, ასევე – მოსალოდნელი შემოწმების, შედეგების, ხარისხის გაზრდის, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ და ასე შემდეგ. საინფორმაციო კამპანიაზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თავი დანერგვის შესახებ.
- დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდეთ კონკრეტული ინფორმაცია კვლევის შედეგების შესახებ (მაგალითად, თითოეული სტუდენტი იღებს ინდივიდუალურ პროფილს რომელშიც მისი თვითშეფასებით მიღებული აღქმული კომპეტენციების დონე შედარებულია სამიზნე დონეებთან. დამატებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებული მხარეების მიხედვით სპეციფიკური ანგარიშის შესახებ, იხილეთ საფეხური 2.

დაინტერესებული მხარეების გადამზადება:

- სტუდენტთა გადამზადება შესაძლოა განხორციელდეს ისეთი კურსებით, რომლებშიც, მაგალითად, შეასწავლიან ინდივიდუალური კომპეტენციის პროფილის ინტერპრეტირებასა და ინდივიდუალური მიზნების დასახვას, ვთქვათ, კომპეტენციის სასურველი დონის განსაზღვრით. ასეთ კურსებზე შესაძლოა განხილული იქნეს კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის სტრატეგიები. დამატებით სტუდენტებმა შესაძლოა გაიარონ გადამზადების ზოგადი ⁹¹ კურსი შეფასებასა და ხარისხის მართვაში. სტუდენტებმა უნდა ისწავლონ, კრიტიკულად შეაფასონ თავიანთი განათლება, როგორ განახორციელონ თვითშეფასება, აგრეთვე, რამდენად არის კურსი აგებული ისე, რომ გაზარდოს სტუდენტის უკუკავშირის ხარისხი და, შედეგად, უმაღლესი განათლების ხარისხი.
- მასწავლებლები შეიძლება გადამზადდნენ, მაგალითად კურსებით, რომლებსაც ჩაატარებს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი და რომელზედაც ასწავლიან ანგარიშის ინტერპრეტირებას, აგრეთვე – კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების და შეფასების მეთოდების ⁹² გამოყენებას. გარდა ამისა, თქვენ, როგორც ხარისხის შიდა განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს, შეგიძლიათ, შედეგები განიხილოთ მასწავლებლებთან ერთად ფაკულტეტის სხდომებზე ან მსგავს შეხვედრებზე.

⁹¹ რეკომენდებულია, სტუდენტური ორგანიზაცია IVSA-ის მიერ.

⁹² დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ინსტრუმენტი 14

გავრცელება

თუ IQM პროცედურის დანერგვა იგეგმება თქვენი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაშიც, ამ დამატებითმა პროგრამამ უნდა გაიაროს დანერგვის პროცესის ყველა ფაზა, როგორიცაა: მომზადება, კომპეტენციის მოდელის შემუშავება, საკონტროლო ინფორმაციის შეგროვება, ხარისხის ღონისძიებათა განვითარება და ასახვა. ახალ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მაგალითად, დამატებითი სასწავლო პროგრამის კურიკულუმის კომისიას, უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია, უნდა შეიქმნას დამატებითი სასწავლო პროგრამის IQM ჯგუფი და გავრცელებისთვის უნდა გამოიყოს რესურსები.

ამის გარდა, თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამატებით სასწავლო პროგრამებს შეიძლება ძლიერ გამოადგეს საპილოტე პროგრამით მიღებული გამოცდილებები. შედეგად, შესაძლოა დანერგვისთვის საჭირო გახდეს უფრო ხანმოკლე კალენდარი. ასევე, უკვე არსებობს ინფორმაცია და სამუშაო შეხვედრების მასალები, ეფექტური დანერგვისთვის საჭირო გამოცდილებასთან ერთად, რომელიც გამომდინარეობს თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციის კონტექსტიდან. გადაწყვეტილების მიმღები პირი, მაგალითად როგორიცაა რექტორი, უკვე მხარს უჭერს IQM პროცედურას და თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ უკვე არსებულ დამხმარე ადმინისტრაციას. ახალ IQM გუნდს შესაძლოა დაემატოს საპილოტე პროგრამის უკვე გამოცდილი IQM გუნდის წევრი, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფისთვის.

IQM პროცედურის სხვა სასწავლო პროგრამებზე გავრცელებისას გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ IQM პროცედურაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ერთი შიდა ხარისხის მენეჯერი (ცენტრალიზებული ხარისხის მართვა) თუ სხვადასხვა ხარისხის შიდა მართვის მენეჯერები იქნებიან პასუხისმგებელი სხვადასხვა პროგრამებზე. (დეცენტრალიზებული ხარისხის მართვა). საინფორმაციო ჩარჩო გთავაზობთ ორივე არჩევანის დადებით და უარყოფით მხარეებს.

ცენტრალიზებული vs. დეცენტრალიზებული ხარისხის მართვის მიდგომა

ცენტრალიზებული ხარისხის მართვის მიდგომას აქვს უპირატესობა დანერგვის გამოცდილებიდან, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ახლო კონტაქტით, მაგალითად რექტორატი, ისევე როგორც უკვე ჩამოყალიბებულ ხელშეწყობ ადმინისტრაციასთან. ამის საპირისპიროდ, დეცენტრალიზებული ხარისხის მართვას აქვს უპირატესობა ახლო კონტაქტი დაამყაროს გადაწყვეტილების მიმღებ პირთან, როგორიცაა, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის კომისია და სხვა სასწავლო პროგრამით დაინტერესებული მხარეები, ასევე სტუდენტი და მასწავლებელი. დეცენტრალიზებულ გარემოში რეკომენდებულია ხარისხის შიდა მართვის სამსახურში დასაქმებული ყველა პირის მყარი თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. ასევე უნდა მოხდეს შეთანხმება ერთობლივ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან თანამშრომლობის სტრატეგიაზე, მაგალითად რექტორატთან, და უნდა შემუშავდეს ერთობლივი სტრატეგია ადმინისტრაციული დეპარტამენტების პროცესში ჩართვისთვის.

საბოლოოდ, დამატებით განსახილველ ასპექტს თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში სხვა სასწავლო პროგრამებზე IQM პროცედურის გავრცელებისთვის წარმოადგენს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები. განსაკუთრებით რეკომენდებულია, ინფორმაციას ფლობდეთ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურების შესახებ. რომლის სტანდარტები/ კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს. რაც უნდა გაითვალისწინოთ IQM პროცედურის გაფართოების პროცესში. გარდა ამისა, ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოსთან წინასწარ განზადვრეთ (გაარკვიეთ), თუ რა უნდა იყოს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, დანართებში, და რა ფორმით (მაგ.

სავალდებულო ნიმუშები, მხედველობაში მისაღებია შინაარსის სახელმძღვანელო პრინციპები თუ არის სიდიდის შეზღუდვები)⁹³. ასევე, უნდა დაფიქრდეთ შეგიძლიათ თუ არა გამოიყენოთ IQM პროცედურის უკვე არსებული საინფორმაციო მასალები ან ანგარიშები.

შეჯამებისთვის, IQM პროცედურის მდგრადი დანერგვისთვის ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა დანერგოს IQM პროცედურა ინსტიტუციურ დონეზე. შესაბამისად, ხარისხის შიდა მართვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოიპოვოს მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდისგან, ისევე როგორც ადმინისტრაციული დეპარტამენტებისგან. დამატებით, მყარი დანერგვა ასევე გულისხმობს IQM პროცედურის ინტეგრირებას ინდივიდუალურ დონეზე. შესაბამისად, ხარისხის შიდა მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა უფლებამოსილება უნდა მიანიჭოს დაინტერესებულ მხარეებს, რომ გაიაზიარონ, რა მოტივაცია არსებობს IQM პროცედურისთვის, მოახდინონ კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და გამოიყენონ ისინი ინდივიდუალური სასწავლო პროცესისთვის.

საპილოტე პროგრამით მიღებული გამოცდილება უაღრესად ღირებულია IQM პროცედურის გაფართოებისთვის და გამოყენებული იქნება IQM პროცედურის დანერგვისათვის დამატებით სასწავლო პროგრამებში. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გადაწყვიტონ, ხარისხის მართვა ცენტრალიზებული იქნება თუ დეცენტრალიზებული. ორივე შემთხვევაში, საპილოტე პროგრამით მიღებული გამოცდილების გათვალისწინება უაღრესად რეკომენდებულია.

აქამდე განვიხილავდით ხარისხის შიდა მართვის თემას. მომდევნო ნაწილში მოგაწვდით ინფორმაციას, როგორ მოამზადოთ ანგარიში ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის.

⁹³ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი „ხარისხის გარე უზრუნველყოფა“

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ანგარიშის წარდგენა

რას შეეხება წინამდებარე თავი?

- ➔ ხარისხის თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისობა და კონტექსტი ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის.
- ➔ ანგარიშის ზოგადი განხილვები და IQM პროცედურის ანგარიშის, როგორც თვითშეფასების ანგარიშის ნაწილის წარდგენა.

თვითშეფასების ანგარიშები

როდესაც ვსაუბრობთ ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის ანგარიშის წარდგენაზე, როგორც წესი, იგულისხმება ორი ტიპის ანგარიში: (1) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში და (2) კოლეგების მიერ გამოქვეყნებული ანგარიში.

ამ თავში მთავარი აქცენტი გაკეთებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშზე, რადგან ეს არის გარე რეცენზენტებისათვის პირველადი ინფორმაციის წყარო. რეცენზენტები აფასებენ საგანს (მაგ. პროგრამას, ინსტიტუციას) ანგარიშის, ასევე, ვიზიტისას შეგროვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე და ადარებენ მას სტანდარტებს / კრიტერიუმებს.

თვითშეფასების ანგარიშების მოთხოვნები დამოკიდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს პოლიტიკაზე: ის შეიძლება იძლეოდეს სახელმძღვანელო პრინციპებს ანგარიშის სტრუქტურისთვის, სავალდებულო ნიშნულს, მოცულობით შეზღუდვას ან ზოგად რჩევებს ანგარიშის მომზადებისთვის, აგრეთვე, სააგენტოში ანგარიშის ჩაბარების ბოლო ვადას.

ზოგადად, თვითშეფასების ანგარიშის აქცენტს განსაზღვრავს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურის საგანი, მაგალითად, არის ეს სასწავლო პროგრამა თუ ინსტიტუციის ხარისხის მართვის სისტემა. ანგარიშის მომზადება უკვე დანერგილი IQM პროცედურის შესახებ იქნება თვითშეფასების მხოლოდ ერთი ნაწილი.

შემდგომ ჩვენ განვიხილავთ (1) ზოგიერთ ზოგად ასპექტს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის თვითშეფასების ანგარიშების წერისას და (2) IQM პროცედურის დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

ზოგადი მოსაზრებები თვითშეფასების ანგარიშების წერაზე

• რა არის ანგარიშის მიზანი?

თვითშეფასების ანგარიში არის პირველადი ინფორმაციის წყარო ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის. ამიტომ ის უნდა შეიცავდეს შეფასებული საგნის მოკლე აღწერას. „თვითშეფასება“ ნიშნავს, რომ ანგარიში ამის გარდა უნდა მოიცავდეს საგნის რაც შეიძლება ამომწურავ ანალიზს და შეფასებას და განიხილავდეს შესაფასებელი საგნის არა მხოლოდ იმჟამინდელი მდგომარეობას (ანგარიშის აღწერილობითი ნაწილი), არამედ უნდა შემოგვთავაზოს გაუმჯობესების გზებიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ანგარიშის თვითშეფასების ნაწილი).

- **ვისთვის არის გაკუთვნილი ანგარიში?**

ხარისხის გარე უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი აუდიტორიაა ექსპერტთა ჯგუფის წევრები, სააგენტოს კოორდინატორი და ასევე სააგენტოს გუნდი, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. რეკომენდებულია, გააცნოთ ანგარიში ინსტიტუციის შიგნით ყველა წევრს. გამჭვირვალობის მიზნით შეგიძლიათ, იფიქროთ გარე დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების ინფორმირებასა და ანგარიშის ელექტრონულ გამოქვეყნებაზე.

- **რა ინფორმაციაა შესაბამისი?**

იმისათვის, რომ განჭვრიტოთ, რა არის შესაბამისი თქვენი ინსტიტუციის, სასწავლო პროგრამის და ა.შ. გასაგებად და მოცემული სტანდარტებით/კრიტერიუმებით მის შესაფასებლად, გირჩევთ, თავი შეიმაჯებელი, ექსპერტთა ჯგუფის წევრად წარმოიდგინოთ. ეს შეიძლება დაგეხმაროთ, შეინარჩუნოთ ბალანსი შიდა პროცესების, სისტემების და სხვათა დეტალურ და კომპლექსურ აღწერასა და იმას შორის, რაც საკმარისი იქნება ექსპერტთა ჯგუფის წევრებისათვის კონტექსტის გასაგებად. ასევე, დაფიქრდით, ინფორმაციის გადმოცემის რომელი ხერხი იქნება უფრო გასაგები. მაგალითად, სისტემის ან პროცესის მიმოხილვა სქემის სახით შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე გრძელი გაბმული ტექსტი.

- **რომელი არსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია შეგვიძლია გამოიყენოთ?**

ანგარიშის მომზადებისას დამატებითი სამუშაოს შესამცირებლად გადამოწმეთ უკვე თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (მაგ. წლიური ანგარიშები, შიდა ანგარიშები ხარისხის მართვის ღონისძიებათა შესახებ). შესაძლოა, გადაწყვიტოთ დანართის სახით დაურთოთ, მაგალითად, შეფასების საგანთან დაკავშირებული ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამა, არსებული შიდა პროცედურები, ხოლო ყველაზე რელევანტური ინფორმაცია ანგარიშის ძირითად ნაწილში იყოს გადმოცემული.

- **ვის მიერ და როგორ უნდა დაიწეროს – წერის პროცესი**

იფიქრეთ წერის პროცესის მართვაზე. მაგალითად, წინასწარ განსაზღვრეთ, ვინ იქნება პასუხისმგებელი შინაარსზე, რედაქტირებასა და გადამოწმებაზე. სასურველია, რომ დაინტერესებული მხარეები (პერსონალი და სტუდენტები) ჩართული იყვნენ ანგარიშის მომზადებაში. მაგ. ეკისრებოდეთ თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება და დადასტურება.

IQM პროცედურის ანგარიშის ჩართვა თვითშეფასების ანგარიშში

IQM პროცედურის შესახებ ანგარიშის მიზნით წარდგენილი ცალკეული ასპექტების რელევანტურობა შეიძლება სხვადასხვა იყოს – ეს დამოკიდებულია გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომებზე (მაგალითად, აკრედიტაცია თუ ხარისხის აუდიტი).

IQM პროცედურის რელევანტურობა თვითშეფასების ანგარიშში

პროგრამის აკრედიტაციის ანგარიშისთვის IQM პროცედურა შესაძლოა იყოს შესაბამისი, რათა აჩვენოს, როგორ უკავშირდება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვის კრიტერიუმები ან კომპეტენციების დეფინიცია ხარისხის ევროპულ ჩარჩოს (EQR) ან ეროვნულ ჩარჩოს. ხარისხის შიდა მართვის სისტემის ხარისხის აუდიტის ანგარიშში IQM პროცედურა შესაძლოა რელევანტური იყოს, როგორც ხარისხის მართვის მთლიანი სისტემის ერთ-ერთი ღონისძიება ინსტიტუტებში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

- **პროცედურის სრული აღწერა:** აღწერეთ, როგორ მუშობს თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება. გახსოვდეთ ხარისხის ციკლი (დაგეგმვა-განხორციელება-შეამოწმე-რეაგირება მოახდინე – PDCA მიდგომა): რა არის დაგეგმილი? როგორ განხორციელდა? რა შედეგები გვაქვს? როგორ უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების უწყვეტ გაუმჯობესებას? რისი გადაკეთებაა საჭირო? გაითვალისწინეთ ის აუდიტორია (გარე კოლეგები), ვისთვისაც ადგენთ ამ დოკუმენტაციას. საწყის ნიმუშად შეიძლება აიღოთ პირველი ინსტრუმენტი, „საინფორმაციო მასალა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის“, და განავრცოთ ის კონკრეტულად თქვენი ინსტიტუტის ინფორმაციით.
- **ანალიზი და ასახვა:** დაფიქრდით, თუ რატომ იყენებთ ამ პროცედურას თქვენს ინსტიტუტში, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და გაიაზრეთ პროცედურის გაუმჯობესების სამომავლო გეგმებიც. ზოგად არგუმენტებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავები „შესავალი“ და „მომზადება“.
- **მტკიცებულება:** დანერგილი პროცედურის დასასაბუთებლად და მტკიცებულების საჩვენებლად, თუ როგორ მივყავართ მას გაუმჯობესებისკენ, გამოიყენეთ არსებული ინფორმაცია და მონაცემები. მტკიცებულების წარმოსადგენად შეგიძლიათ გამოიყენოთ ინსტრუმენტების კრებულის საინფორმაციო მასალები და სხვა შიდა დოკუმენტაცია, მაგ.: სახელმძღვანელო წიგნები, სახელმძღვანელო პრინციპები და მონიტორინგის შედეგები. აღნიშნული ინსტრუმენტების კრებულიდან შესაბამის ინსტრუმენტებად შესაძლოა ჩაითვალოს: ინსტრუმენტი 1, ისევე, როგორც თქვენ მიერ შემუშავებული თეორიული კომპეტენციის მოდელი; მეორე ნაბიჯის ანგარიში საკონტროლო ინფორმაციაზე; ან მესამე ნაბიჯის საინფორმაციო მასალა, რომელშიც დაინტერესებულ მხარეებს აწვდით ინფორმაციას წამოწყებული ღონისძიებების შესახებ.
- **შედეგები და გავლენები:** წარადგინეთ IQM პროცედურის შედეგები და ასახეთ, რა შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა. მაგ.: ცვლილებები სწავლების მეთოდებში, შეფასების კონკრეტული ღონისძიებები, დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები.
- **ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგების გამოქვეყნება:** გახსოვდეთ, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ანგარიშები და გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოებისა და თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერაც - თუ ეროვნულ დონეზე არ არის შეზღუდვები.



დასკვნები

გამოყენება და ცვლილება
საზოგადოებასა და ორგანიზაციებში

დასკვნები

გამოყენება და ცვლილება საზოგადოებასა და ორგანიზაციებში

ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფასა და გაძლიერებას. IQM პროცედურა ხელს უწყობს „სასწავლო ორგანიზაციას“. თუმცა, სწავლობს არა ორგანიზაცია, არამედ ინდივიდები. სახელმძღვანელოს ბოლოს ჩვენ გვსურს, დამატებით გაგაცნოთ სამი დასკვნა ამ თემაზე:

პირველი, როგორ გამოვიყენოთ IQM პროცედურა ორგანიზაციისა და ინდივიდებისათვის. ჩვენ გთავაზობთ ოთხ პასუხს ოთხი ტიპის გამოყენების გაცნობით.

მეორე, შენი აზროვნება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იყენებ უკუკავშირს. ჩვენ გთავაზობთ მოკლე ფსიქოლოგიურ ექსკურსს.

მესამე, როგორ სწავლობენ ორგანიზაციები უკუკავშირით: ჩვენ გთავაზობთ მოკლე ექსკურსს ორგანიზაციის განვითარებაში.

IQM პროცედურის გამოყენება

ხარისხის მართვის აქტივობების გამოყენება ძალიან აქტუალური და ხშირად განხილული საკითხია⁹⁴. განხილვისას ხშირად ყურადღება მახვილდება **შედეგების** გამოყენებაზე და, უფრო კონკრეტულად, მის **პირდაპირ გამოყენებაზე**. მაგალითად, როგორ გამოიყენება შედეგები ზოგადი სამუშაო თეორიების შესაქმნელად, გადაწყვეტილების მიღებისას და პრობლემების გადაწყვეტისას. ამ ტიპის გამოყენებას ეწოდება „ცოდნა მოქმედებისთვის“ და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, მეტ-ნაკლებად ადვილად დაინახონ ხარისხის მართვის აქტივობების შედეგები. თუმცა, შედეგებს ხშირად აქვს **არაპირდაპირი გამოყენებაც**, რადგან ისინი გავლენას ახდენენ დაინტერესებული მხარეების აზროვნებასა და გაგებაზე, და ამას უწოდებენ „ცოდნას გაგებისთვის“. **არაპირდაპირი გამოყენება** რთული დასაანალიზია და ხშირად არ განიხილება. მესამე ტიპის გამოყენება არის **საკანონმდებლო ან სიმბოლური გამოყენება**. შედეგები ხშირად გამოიყენება ღონისძიებათა დაკანონებისათვის და რეპუტაციის გაძლიერებისათვის, მაგალითად, აუდიტის ან აკრედიტაციის შემთხვევაში.

აქამდე ჩვენ ვისაუბრეთ შედეგების გამოყენებაზე და მივედით დასკვნამდე, რომ არა მხოლოდ შედეგებს აქვს გავლენა, არამედ ხარისხის მართვის **პროცესსაც**. მაგალითად, დაინტერესებული მხარეები შეგნებულად იაზრებენ კომპეტენციებს თუ სწავლა-სწავლების პროცესებს ან დაინტერესებულ მხარეებს შორის ძლიერდება კომუნიკაცია კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების შესახებ.

რომ შევაჯამოთ, IQM პროცედურა მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის, რადგან შეიძლება მოგვცეს ცოდნა ქმედებისათვის (პირდაპირი გამოყენება), შეიძლება დააკანონოს ღონისძიებები ან გააძლიეროს რეპუტაცია (საკანონმდებლო/სიმბოლური გამოყენება). ამას გარდა, IQM პროცედურა მნიშვნელოვანია ინდივიდებისათვის, რადგან დაინტერესებული პირები იღებენ შედეგებს (პირდაპირი და არაპირდაპირი გამოყენება), ხოლო თვითონ პროცედურა დაგვაფიქრებს კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შესახებ (პროცესის გამოყენება).

⁹⁴ Bergsman & Spiel (2009)

გამოყენების ტიპები		
შედეგების გამოყენება	პირდაპირი გამოყენება	ცოდნა ქმედებისთვის
	არაპირდაპირი გამოყენება	ცოდნა გაგებისთვის
	საკანონმდებლო და სიმბოლური გამოყენება	პროგრამის დაკანონება, რეპუტაციის გაძლიერება
პროცესების გამოყენება	პროცესის გამოყენება	ხარისხის მართვის პროცესი გავლენას ახდენს ხარისხის მართვაზე

როგორ ახდენს ფიქრები გავლენას უკუკავშირის გამოყენებაზე.

ჩამოთვლილთაგან რა მოგდით აზრად, როდესაც დადებით უკუკავშირს იღებთ?

- „საქმე კარგად გავაკეთე; ასეთ საკითხებში ნიჭიერი ვარ“.
- „საქმე კარგად გავაკეთე იმიტომ, რომ დიდი ძალისხმევა გავწიე“.
- „რასაც უნდა ვაკეთებდე, ჩემთვის ყველაფერი მარტივია“.
- „რასაც არ უნდა ვაკეთებდე, იღბლიანი ვარ“.

ზემოთ აღნიშნულთაგან პირველი თვითშეფასებას ზრდის; მეორე ხელს უწყობს სწავლასა და პოზიტიურ განვითარებას: ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ძალისხმევა გასწიეს, როგორც წესი, უკუკავშირის მასზე დასაფიქრებლად იყენებენ. დიდია ალბათობა, რომ ეს ადამიანები ისევ გასწევენ ძალისხმევას წარმატების მისაღწევად. მესამე და მეოთხე აზრი, როგორც წესი, არ იწვევს უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესებისთვის, რადგან ადამიანები ფიქრობენ, რომ პოზიტიური შედეგი მათ ქმედებაზე არ არის დამოკიდებული.

ჩამოთვლილთაგან რა მოგდით აზრად, როდესაც უარყოფით უკუკავშირს იღებთ?

- „საქმე კარგად ვერ გავაკეთე, იმიტომ, რომ არ ვარ ნიჭიერი ასეთ საკითხებში“.
- „საქმე კარგად ვერ გავაკეთე, იმიტომ, რომ ძალისხმევა არ გავწიე“.
- „რასაც უნდა ვაკეთებდე, ჩემთვის ყველაფერი რთულია“ (რადგან არასაკმარისია დრო, ფული...).
- „რასაც უნდა ვაკეთებდე, ყველაფერში უიღბლო ვარ“.

პირველი აზრი არ იწვევს გაუმჯობესებას, რადგან ადამიანები ხშირად აღარც კი ცდილობენ, რამე იღონონ. მეტიც, ამ აზრმა შეიძლება დააზიანოს ადამიანთა თვითშეფასება, რადგან მათ შესაძლოა იფიქრონ, რომ ამას ვერაფრით უშველიან. თვითშეფასების დასაცავად ზოგი ყურადღებას არ აქცევს შედეგებს, ეჭვი შეაქვთ შედეგების ვალიდურობაში ან უნდობლობას უცხადებენ ხარისხის მართვის მთელ პროცედურას. ზემოთ ხსენებული მესამე და მეოთხე მოსაზრება ასევე ხშირად არ იწვევს უკუკავშირის გამოყენებას, რადგან ადამიანები ფიქრობენ, რომ პოზიტიური შედეგი მათ ქმედებაზე არ არის დამოკიდებული.

მხოლოდ მეორე მოსაზრება უწყობს ხელს სწავლასა და პოზიტიურ განვითარებას. ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ არასაკმარისი ძალისხმევა გამოიჩინეს, უკუკავშირის შედეგებზე დასაფიქრებლად იყენებენ და ფიქრობენ გაუმჯობესებაზე – თუ მათთვის ამას მნიშვნელობა აქვს. პასუხები შეიძლება ალაღბდეს შერჩეულს ჰგავდეს, თუმცა ისინი ასახავენ სისტემურ მიდგომას: დაკავშირებული (ატრიბუტირებული) იქნეს მიზეზები შედეგებთან, ან, ჩვენს შემთხვევაში, უკუკავშირთან. ამ მიდგომას ეწოდება **დაკავშირების თეორია**⁹⁵. დამატებითი დეტალებისათვის იხ. ცხრილი „ვეინერის ატრიბუციის თეორია“.

თუკი ადამიანები ეწინააღმდეგებიან IQM პროცედურის შედეგების გამოყენებას ხარისხის გაძლიერებისათვის, უნდა გაითვალისწინოთ ზემოხსენებული ატრიბუციის თეორია, ასევე იფიქროთ იმაზე, თუ როგორ დაეხმაროთ ადამიანებს, დააკავშირონ შედეგები თავიანთ ძალისხმევასთან და ქმედებები – უკუკავშირთან. ხანდახან ადამიანების დასახმარებლად კმარა, გააცნოთ მათ ატრიბუციის თეორია, რათა შეძლონ თავიანთ ატრიბუციის სტილზე დაფიქრება.

ვეინერის ატრიბუციის თეორია			
		სტაბილური	არასტაბილური
კონტროლის ადგილი	შიდა	შესაძლებლობა „ნიჭიერი ვარ“ „უნიჭო ვარ“	ძალისხმევა „ძალისხმევა გავწიე“ „ძალისხმევა არ გავწიე“
	გარე	დავალების სირთულე „ადვილი დავალებაა“ „რთული დავალებაა“	ილბალი/უილბლობა „ილბალმა გამიღიმა“ „ილბალმა მიმტყუნა“

როგორ სწავლობენ ორგანიზაციები უკუკავშირის საშუალებით: უკუკავშირი ორგანიზაციები

თუ ორგანიზაციები იღებენ ნეგატიურ უკუკავშირს და აღმოაჩენენ პრობლემებს (მაგ.: სტუდენტი ვერ დაეუფლა მოსალოდნელ კომპეტენციებს), ფიქრობენ მათი გადაწყვეტის გზებზე. რომ გავამარტივოთ, არსებობს პრობლემებთან⁹⁶ გამკლავების ორი პერსპექტივა:

პირველი პერსპექტივა არის ადამიანებზე და ინდივიდების დანაშაულზე ფოკუსირება: „მოდით, ვიპოვოთ ის, ვისი ბრალიცაა პრობლემა“. ამის შედეგი არის სასჯელი; დიდია ალბათობა, შეცდომები დაიფაროს, ინოვაცია კი შესაძლოა შეფერხდეს, რადგან ადამიანები არ გარისკავენ.

მეორე გზა არის სისტემასა და სისტემის ხარისხზე ფოკუსირება: „რა მოხდა? მოდით, ვისაუბროთ უკუკავშირზე და ვისწავლოთ მისგან“. ამის შედეგი არის პრობლემის გადაჭრა; სავარაუდოდ, უკუკავშირი იქნება განხილული; მიღებული გაკვეთილები ყველას დასანახად დაიდება. ადამიანები გრძნობენ, რომ პასუხისმგებლები არიან სისტემის ხარისხზე.

⁹⁵ Weiner (1985); Weiner et al.(1971)
⁹⁶ Spindler (2009, p. 273)


თუ თქვენ ხართ განხილვის თავმჯდომარე, შეგიძლიათ, მიჰყევით შემდეგ კითხვებს და ფორმულირებებს, რათა წახალისოთ სისტემური პერსპექტივები და პასუხისმგებლობა:

- არსებობს რაიმე სისტემური ან სტრუქტურული საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს პრობლემებს/შეცდომებს? (სისტემაზე ორიენტირებული)
- რა მოხდა ზუსტად? მოდით, გავანალიზოთ სიტუაცია.
- რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამასთან დაკავშირებით?
- მოდით, ვისაუბროთ პრობლემაზე და ვისწავლოთ მისგან.

თავი ავარიდოთ შემდეგ კითხვებს, რომლებიც წახალისებს პერსონალურ პერსპექტივას და ხაზს გაუსვამს ინდივიდუალურ დანაშაულს:

- ვინ არის პასუხისმგებელი პრობლემაზე/შეცდომაზე (პიროვნებაზე ორიენტირებული)?
- რით შეგიძლია ამის გამოსწორება?
- რატომ არ გვითხარით წინასწარ?

ასევე, შეხვედრაზე შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სქემა ორი პერსპექტივის და იმის საილუსტრაციოდ, რომ მიზნად ისახავთ ხარისხის სისტემის გაუმჯობესებას.



სქემა 9: უუკავშირი ორგანიზაციებში (სპინდლერის მიხედვით, 2009, გვ. 273).



აბრევიატურები
გამოყენებული
ლიტერატურა
დანართი

აბრევიატურები

- DeGEval – Gesellschaft für Evaluation e.V.
- ECTS – European Credit Transfer and accumulation System
- EHEA – European Higher Education Area
- EI – Education International
- ENQA – European Association for Quality Assurance in Higher Education
- EQAR – European Quality Assurance Register for Higher Education
- ESG – Standards and guidelines for quality assurance in the European Higher Education Area
- ESU – European Students Union
- ETER – European Tertiary Education Register
- EUA – European University Association
- EURASHE – European Association of Institutions in Higher Education
- IQA – Internal Quality Assurance
- IQM – Internal Quality Management
- JCSEE (standards) – Joint Committee on Standards for Educational Evaluation
- PDCA Cycle – Plan-Do-Check-Act Cycle
- SOLO (taxonomy) – Structure of Observed Learning Outcomes
- VET – Vocational Education and Training

გამოყენებული ლიტერატურა

- American Evaluation Association. (AEA). (2004). *Guiding Principles for Evaluators*. Fairhaven, MA: American Evaluation Association. <http://www.eval.org/p/cm/ld/fid=51>
- Anderson, J.R. (2000). *Learning and memory: An integrated approach*. 2nd edition, John Wiley & Sons. <http://eu.wiley.com/WileyCDA/WileyTitle/productCd-0471249254.html>
- Bergsmann, E. & Spiel, C. (2009). Context, Standards and Utilisation of Evaluation in Austrian Federal Ministries. In A. Fouquet & L. Measson (Eds.), *L'évaluation des politiques publiques en Europe. Cultures et futurs/Policy and Programme Evaluation in Europe. Cultures and Prospects*. (pp. 187-198). Grenoble: L'Harmattan. <http://docplayer.fr/17811013-L-evaluation-des-politiques-publiques-en-europe-cultures-et-futurs-policy-j91d-programme-evij-u-on-in-europe-cul-tures-j91d-prospects.html>
- Bergsmann, E., Schultes, M. T., Winter, P., Schober, B., & Spiel, C. (2015). Evaluation of competence-based teaching in higher education: From theory to practice. *Evaluation and program planning*, 52, 1-9. doi:10.1016/j.evalprogplan.2015.03.001 <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0149718915000270>
- Biggs, J. B., & Collis, K. F. (1982). *Evaluation the quality of learning: the SOLO taxonomy (structure of the observed learning outcome)*. New York: Academic Press. <http://www.sciencedirect.com/science/book/9780120975525> (das Buch per se) <http://www.uq.edu.au/teach/assessment/docs/biggs-SOLO.pdf> (Erklärung des Buchs und des SOLO-Prinzips)
- Biggs, J. B., & Tang, C. (2011). *Teaching for Quality Learning at University* (4th ed.). Maidenhead: McGraw Hill Education & Open University Press. http://hust.edu.oak.arvixe.com/media/197963/-John_Biggs_and_Catherine_Tang-Teaching_for_Quali-BookFiorg-.pdf
- Blasé, K. A., Van Dyke, M., Fixsen, D. L., & Wallace Bailey, F. (2012). Implementation science: Key concepts, themes, and evidence for practitioners in educational psychology. In B. Kelly, & D. Perkins (Eds.), *Handbook of implementation science for psychology in education* (pp. 13-34). London: Cambridge University Press. <http://ebooks.cambridge.org/chapter.jsf?bid=CBO9781139013949&cid=CBO9781139013949A010>
- Blasé, K. A. & Fixsen, D. (2013). *Stages of implementation analysis: Where are we?* Chapel Hill, NC: National Implementation Research Network. <http://implementation.fpg.unc.edu/sites/implementation.fpg.unc.edu/files/NIRN-StagesOfImplementationAnalysisWhereAreWe.pdf>
- Blömeke, S., Gustafsson, J. E., & Shavelson, R. J. (2015). Beyond Dichotomies. *Zeitschrift für Psychologie/Journal of Psychology*, 223(1), 3-13. doi:10.1027/2151-2604/a000194 <http://econtent.hogrefe.com/doi/abs/10.1027/2151-2604/a000194>

- Blömeke, S. & Zlatkin-Troitschanskaia, O. (Hrsg.) (2013). The German funding initiative "Modeling and Measuring Competences in Higher Education": 23 research projects on engineering, economics and social sciences, education and generic skills of higher education students. (KoKoHs Working Papers, 3. Berlin & Mainz: Humboldt University & Johannes Gutenberg University
http://www.bcp.fu-berlin.de/biologie/arbeitsgruppen/didaktik/mitarbeitende/mathesius/KoKoHs_WP3_Bloemeke_Zlatkin-Troitschanskaia_2013_kurz-2.pdf
- Bologna Process (2005), *The European Higher Education Area – Achieving the Goals*, Bergen http://www.ehea.info/Uploads/Declarations/Bergen_Communique1.pdf
- Bologna Process (2007-2010). *Qualifications Frameworks in the EHEA*. Retrieved from: <http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/qf/qf.asp>
<http://www.ehea.info/article-details.aspx?ArticleId=65>
- Bologna process (2007), *Towards the European Higher Education Area: responding to challenges in a globalised world*, London
http://www.eurashe.eu/library/bologna_2007_london-communicue-pdf/
- Bologna process (2012), *Making the Most of Our Potential: Consolidating the European Higher Education Area*, Bucharest
<http://www.ehea.info/Uploads/%281%29/Bucharest%20Communique%202012%281%29.pdf>
- Bologna process (2015), *The ECTS Users' Guide 2015*. Retrieved from: http://ec.europa.eu/education/ects/users-guide/docs/ects-users-guide_en.pdf
- Bologna process (2015), Yerevan Communique', Yerevan
http://www.ehea.info/Uploads/SubmittedFiles/5_2015/112705.pdf
- Braun, E., Gusy, B., Leidner, B., & Hannover, B. (2008). Das Berliner Evaluationsinstrument für selbsteingeschätzte, studentische Kompetenzen (BEvaKomp). *Diagnostica*, 54(1), 30-42. doi:10.1026/0012-1924.54.1.30 <http://econtent.hogrefe.com/doi/10.1026/0012-1924.54.1.30>
- Brookhart, S. M., (2013). *How to Create and Use Rubrics for Formative Assessment and Grading*. Retrieved from: <http://www.ascd.org/publications/books/112001/chapters/What-Are-Rubrics-and-Why-Are-They-Important%C2%A2.aspx>
- Burke K. (2011). *From Standards to Rubrics in Six Steps: Tools for Assessing Student Learning*. TO, CA, USA: Sage <https://us.corwin.com/en-us/nam/from-standards-to-rubrics-in-six-steps/book234990>
- Center for Faculty Development – University of Colorado Denver. (2006). *Creating a Rubric – An Online Tutorial for Faculty*. Retrieved from: http://www.ucdenver.edu/faculty_staff/faculty/center-for-faculty-development/Documents/Tutorials/Rubrics/index.htm

- Cousins, J. B., & Chouinard, J. A. (2012). *Participatory evaluation up close: An integration of research-based knowledge*. Charlotte, NC: Information Age Press.
<http://www.infoagepub.com/products/Participatory-Evaluation-Up-Close>
- Elias, M. J., Zins, J. E., Graczyk, P. A., & Weissberg, R. P. (2003). Implementation, sustainability, and scaling up of social-emotional and academic innovations in public schools. *School Psychology Review*, 32(3), 303-319.
http://www.effectiveservices.org/downloads/Implementation__Sustainability__and_Scaling_Up_of_Social-Emotional_and_Academic_Innovations_in_Public_Schools.pdf
- ESG – Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area. (2015). Brussels, Belgium.
<http://www.enqa.eu/index.php/home/esg/>
- European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA), European Students' Union (ESU), European University Association (EUA), European Association of Institutions in Higher Education (EURASHE). (2005). *Standards and guidelines for quality assurance in the European higher education area*. ENQA New version is from 2015; see above
- European Centre for the Development of Vocational Training. (2014). Validation of non-formal and informal learning. Retrieved from:
<http://www.cedefop.europa.eu/en/events-and-projects/projects/validation-non-formal-and-informal-learning/european-inventory>
- European Commission. (2008). *European Qualifications Framework for lifelong learning*. European Communities, 2008
http://www.ecompetences.eu/site/objects/download/4550_EQFbroch2008en.pdf
- European Commission. (2008). *Find information on the EQF, NQF's*. Retrieved from:
[https://ec.europa.eu/ploteus/search/site?f\[0\]=im_field_entity_type%3A97](https://ec.europa.eu/ploteus/search/site?f[0]=im_field_entity_type%3A97)
- European Commission. (2009). *European Credit Transfer and Accumulation System (ECTS)*. Retrieved from: http://ec.europa.eu/education/ects/ects_en.htm
- European Commission. (2013-2015). *European Tertiary Education Register*. Retrieved from: http://ec.europa.eu/education/tools/education-register_en.htm
- European Commission. (2014). *National Academic Recognition Information Centres*. Retrieved from: http://ec.europa.eu/education/tools/naric_en.htm
- European Commission. (2014). *U-Multirank*. Retrieved from:
http://ec.europa.eu/education/tools/u-multirank_en.htm
- Fixsen, D. L., Naoom, S. F., Blase, K. A., Friedman, R. M., & Wallace, F. (2005). *Implementation research: A synthesis of the literature* (Louis de la Parte Florida Mental Health Institute Publication No. 231). Tampa: University of South Florida, Louis de la Parte Florida Mental Health Institute, National Implementation Research Network.
<http://nirn.fpg.unc.edu/resources/implementation-research-synthesis-literature>

- Gesellschaft für Evaluation e. V. (DeGEval). (2008). *Standards für Evaluation*. Alfter: DeGEval. <http://www.degeval.de/degeval-standards>
- Greiff, S., Martin, R., & Spinath, B. (2014). Introduction to the special section on computer-based assessment of cross-curricular skills and processes. *Journal of Educational Psychology*, 106(3), 605-607. doi:10.1037/a0035607
https://www.researchgate.net/publication/266326707_Introduction_to_the_Special_Section_on_Computer-Based_Assessment_of_Cross-Curricular_Skills_and_Processes
- Hansen, M., Alkin, M. C., & Wallace, T. L. (2013). Depicting the logic of three evaluation theories. *Evaluation and Program Planning*, 38, 34-43.
doi:10.1016/j.evalprogplan.2012.03.012
<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0149718912000316>
- Hartig, J., & Klieme, E. (2006). Kompetenz und Kompetenzdiagnostik [Competence and Competence-Diagnostic]. In K. Schweizer (Ed.), *Leistung und Leistungsdiagnostik [Achievement and Achievement-Diagnostic]* (pp. 127-143). Berlin: Springer Berlin Heidelberg. doi:10.1007/3-540-33020-8_9 http://link.springer.com/chapter/10.1007/3-540-33020-8_9
- JCSEE - Joint Committee on Standards for Educational Evaluation (2011). *The program evaluation standards* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage.
<http://www.jcsee.org/program-evaluation-standards>
- Klieme, E., Maag Merki, K., & Hartig, J. (2007). Kompetenzbegriff und Bedeutung von Kompetenzen im Bildungswesen [Definition of competence and the meaning of competences in education]. In J. Hartig, & E. Klieme (Eds.), *Möglichkeiten und Voraussetzungen technologiebasierter Kompetenzdiagnostik [Technology-based diagnosis of competences]* (pp. 1-15). Bonn/Berlin: Bundesministerium für Bildung und Forschung.
https://www.bmbf.de/pub/Bildungsforschung_Band_20.pdf
- KMK (Ständige Konferenz der Kultusminister der Länder Bundesrepublik Deutschland). (2011). *Handreichung für die Erarbeitung von Rahmenlehrplänen der Kultusministerkonferenz für den berufsbezogenen Unterricht in der Berufsschule und ihre Abstimmung mit Ausbildungsordnungen des Bundes für anerkannte Ausbildungsberufe*. Berlin: KMK.
http://www.kmk.org/fileadmin/Dateien/veroeffentlichungen_beschluesse/2011/2011_09_23_GEP-Handreichung.pdf
- Koeppen, K., Hartig, J., Klieme, E., & Leutner, D. (2008). Current issues in competence modeling and assessment. *Zeitschrift für Psychologie/Journal of Psychology*, 216(2), 61-73. doi:10.1027/0044-3409.216.2.61 <http://econtent.hogrefe.com/doi/abs/10.1027/0044-3409.216.2.61>
- Kromrey, H. (2001). Evaluation von Lehre und Studium. In C. Spiel (Ed.) *Evaluation universitärer Lehre. Zwischen Qualitätsmanagement und Selbstzweck* (pp. 21-60). Münster: Waxmann. <http://link.springer.com/article/10.1007/s11618-002-0042-6?view=classic>

- Linn, R. L. & Miller, M. D. (2005). *Measurement and assessment in teaching*, 11th Edition, New Jersey: Pearson Prentice Hall
<https://www.pearsonhighered.com/program/Miller-Measurement-and-Assessment-inTeaching-11th-Edition/PGM30380.html>
- Lysaght, R. M. & Altschuld, J. W. (2000). Beyond initial certification: the assessment and maintenance of competency in professions, *Evaluation and Program Planning*. 23(1) February, 95–104. <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0149718999000439>
- McKeachie, W., Svinicki, M. (2012). *McKeachie's Teaching Tips: Strategies, Research, and Theory for College and University Teachers*.
<http://www.goodreads.com/book/show/7538066-mckeachie-s-teaching-tips>
- OECD (2014). *PISA 2012 Results: What students know and can do – Student performance in Mathematics, Reading and Science* (Vol. 1, Revised edition). Paris: OECD Publishing.
<http://www.oecd.org/pisa/keyfindings/pisa-2012-results-volume-I.pdf>
- Reddy, Y. M. & Andrade, H. (2010). A review of rubric use in higher education. *Assessment & Evaluation in Higher Education*, (35), 435-448. doi: 10.1080/02602930902862859
<http://class.web.nthu.edu.tw/ezfiles/669/1669/img/1381/6.Areviewofrubricuseinhighereducation.pdf>
- Russell, M. K., Airasian P. W. (2012). *Classroom Assessment: Concepts and Applications*. 7th Edition. New York: McGrawHill
<http://www.mheducation.com/highered/product/classroom-assessment-russell-airasian/M0078110211.html>
- Scheibe, A., Trittel, M., Klug, J., & Schmitz, B. (2014). Strategien und Methoden der Erkenntnisgewinnung (Forschungsmethoden). In T. Seidel, & A. Krapp (Eds.), *Lehrbuch Pädagogische Psychologie* (pp. 83–106). Weinheim: Beltz.
https://www.beltz.de/produkt_produktdetails/3903-paedagogische_psychologie.html
- Spiel, C., Schober, B., & Bergsmann, E. (2015). Program Evaluation. In J. D. Wright (Ed.), *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* (2nd ed., vol. 19, pp. 117-122). Oxford: Elsevier.
<http://www.sciencedirect.com/science/referenceworks/9780080970875>
- Spindler, M. (2009) Über kulturelle Einbettung und strukturelle Innovationspotenziale von Projekten. In: *Zeitschrift für Gruppendynamik und Organisationsberatung* 3/2009, Seite 257-278. <http://link.springer.com/article/10.1007/s11612-009-0083-x?no-access=true>
- Tabak, R. G., Khoong, E. C., Chambers, D. A., & Brownson, R. C. (2012). Bridging research and practice: models for dissemination and implementation research. *American Journal of Preventive Medicine*, 43(3), 337-350. doi:10.1016/j.amepre.2012.05.024
<http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3592983/>

- Tuchmann-Glass, K. (2005). *Curriculum Design for Writing Instruction: Creating Standards-Based Lesson Plans and Rubrics*. TO, CA, USA: Corwin Press.
<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/curriculum-design-for-writing-instruction/book226596>

- Weiner, B. (1985). An attributional theory of achievement motivation and emotion. *Psychological Review*, 92(4), 548-573.
http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-1-4612-4948-1_6

- Weiner, B., Frieze, I., Kulka, A., Reed, L., Rest, S., & Rosenbaum, R. M. (1971). 'Perceiving the causes of success and failure.' In Edward E. Jones, David E. Kanouse, Harold H. Kelley, Richard E. Nisbett, Stuart Valins, Bernard Weiner (Editors), *Attribution: Perceiving the Causes of Behavior*. (pp. 95-120). Morristown, New Jersey: General Learning Press.
<http://www.worldcat.org/title/attribution-perceiving-the-causes-of-behavior/oclc/516505>

- Weinert, Franz E. (2001): Vergleichende Leistungsmessung in Schulen – Eine umstrittene Selbst verständlichkeit. In: Weinert, Franz E. (Hg.): *Leistungsmessungen in Schulen*. Weinheim u. Basel, S. 27 f.
https://www.beltz.de/fachmedien/paedagogik/buecher/produkt_produktdetails/4635-leistungsmessungen_in_schulen.html

- Zlatkin-Troitschanskaia, O., Shavelson, R. J. & Kuhn, C. (2015). The International State of Research on Measurement of Competency in Higher Education. *Studies in Higher Education*, 40(3), 393-411. DOI: 10.1080/03075079.2015.1004241
<http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/03075079.2015.1004241>

დანართი

დანართი 1: ESG – შეჯამება

(ESG, 2015, p. 25-27). შემდგომში გთავაზობთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG, 2015, გვ. 25-27) შეჯამებას.

ნაწილი 1: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები

1.1 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც საჯარო ინფორმაციას უნდა წარმოადგენდეს და უნდა იყოს სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილი. შიდა დაინტერესებულმა მხარეებმა, გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვით, შესაბამისი სტრუქტურისა და პროცესების საშუალებით უნდა შეიმუშავონ და დანერგონ ხსენებული პოლიტიკა.

1.2 პროგრამების შექმნა და დამტკიცება

ინსტიტუციებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი პროგრამების შესამუშავებელი და დასამტკიცებელი პროცესი. პროგრამები იმგვარად უნდა შეიქმნას, რომ დააკმაყოფილოს მათ მიერვე დასახული გეგმები, მათ შორის – წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგები. პროგრამით მიღებული კვალიფიკაცია ცხადად და დაწვრილებით უნდა იყოს განსაზღვრული და გადმოცემული, უნდა მიესადაგებოდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამის დონეს და, შესაბამისად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციათა ჩარჩოს.

1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება

ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების იმგვარი მიწოდება, რაც სტუდენტებს უზიდავს სწავლის პროცესის შექმნაში აქტიური როლის შესრულებისკენ და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა შეფასებაზე ეს მიდგომა აისახოს.

1.4 სტუდენტთა მიღება, განვითარება, აღიარება და დადასტურება

დაწესებულებებმა მუდმივად უნდა გამოიყენონ წინასწარ განსაზღვრული და გამოქვეყნებული რეგულაციები, რომლებიც მოიცავენ „სტუდენტური პერიოდის“ ყველა ფაზას. მაგ. სტუდენტის მიღება, განვითარება, აღიარება და სერტიფიცირება.

1.5 აკადემიური პერსონალი

ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი მასწავლებლების კომპეტენცია. მათ უნდა გამოიყენონ სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესები პერსონალის მოსაზიდად და განსავითარებლად.

1.6 სასწავლო რესურსები და სტუდენტთა დახმარება

ინსტიტუციებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი დაფინანსება სწავლა-სწავლების აქტივობებისათვის, ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ ადეკვატური და ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსები და ხელი შეუწყონ სტუდენტებს.

1.7 ინფორმაციის მენეჯმენტი

ინსტიტუციებმა თავიანთი პროგრამებისა და აქტივობების ეფექტიანი მართვისათვის უნდა უზრუნველყონ რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გამოყენება.

1.8 საჯარო ინფორმაცია

ინსტიტუციებმა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია თავიანთი აქტივობებისა და პროგრამების შესახებ, რომელიც იქნება ნათელი, ზუსტი, ობიექტური, განახლებული და ხელმისაწვდომი.

1.9 მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული მიმოხილვა

ინსტიტუციებმა უნდა აწარმოონ თავიანთი პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი აღწევდნენ დასახულ მიზნებს და პასუხობდნენ სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებს. პროგრამების გადახედვა განაპირობებს მათ უწყვეტ განვითარებას. ნებისმიერი დაგეგმილი ან შედეგად მიჩნეული ქმედების შესახებ უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს.

1.10 ხარისხის ციკლური გარე უზრუნველყოფა

ინსტიტუციებმა ESG-ის პარალელურად ციკლურად უნდა გაიარონ ხარისხის გარე უზრუნველყოფა

ნაწილი 2: სტანდარტები ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის

2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფის განხილვა

ხარისხის გარე უზრუნველყოფა ESG-ის I ნაწილში აღწერილ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტიანობაზე უნდა ზრუნავდეს.

2.2 დანიშნულებასთან შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება

ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა შემუშავდეს და განისაზღვროს დაწვრილებით, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა მისთვის დასახული მიზნების მიღწევასთან, თან უნდა გაითვალისწინოთ ამასთან დაკავშირებული რეგულაციები. დაინტერესებული მხარეები ჩართული უნდა იყვნენ მის შემუშავებასა და უწყვეტ განვითარებაში.

2.3 დანერგვის პროცესები

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესები უნდა იყოს სანდო, გამოყენებადი, წინასწარ განსაზღვრული, თანმიმდევრულად დანერგილი და გასაჯაროებული, რაც მოიცავს შემდეგს:

- თვითშეფასებას ან მის ეკვივალენტს;
- გარე შეფასებას, რაც ჩვეულებრივ, მოიცავს ვიზიტს;
- გარე შეფასების შედეგად მიღებულ ანგარიშს;
- თანმიმდევრულ შემდგომ შესრულებას;

2.4 კოლეგიალური შეფასების ექსპერტები

ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს გარე ექსპერტების ჯგუფების მიერ, რომელიც ასევე მოიცავს სტუდენტ წევრს ან წევრებს.

2.5 შედეგების კრიტერიუმები

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ნებისმიერი შედეგი ან განხილვა დაფუძნებული უნდა იყოს ექსპლიციტურ, გამოქვეყნებულ კრიტერიუმებზე, რომლებიც გამოიყენება თანმიმდევრულად, მიუხედავად იმისა, პროცესის შედეგად მიიღება თუ არა ფორმალური გადაწყვეტილება.

2.6 ანგარიშის შედგენა

ექსპერტების მიერ შედგენილი სრული ანგარიში დეტალურად და ხელმისაწვდომად უნდა იყოს გამოქვეყნებული აკადემიური საზოგადოებისათვის, სხვა პარტნიორებისა და დაინტერესებული პირებისათვის. თუკი სააგენტო ანგარიშზე დაყრდნობით მიიღებს რაიმე ოფიციალურ გადაწყვეტილებას, ეს უკანასკნელი უნდა გამოქვეყნდეს ანგარიშთან ერთად.

2.7 საჩივრები და განცხადებები

საჩივრების და განცხადებების პროცესი ზუსტად უნდა განისაზღვროს, როგორც ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის შემუშავების ნაწილი, და წარედგინოს ინსტიტუციებს.

ნაწილი 3: სტანდარტები ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის

3.1 აქტივობები, პოლიტიკა და პროცესები ხარისხის უზრუნველყოფისათვის

სააგენტოებმა უნდა ჩაატარონ ხარისხის გარე უზრუნველყოფის რეგულარული აქტივობები, როგორც ESG-ის II ნაწილშია განსაზღვრული. მათ უნდა ჰქონდეთ ზუსტი და ექსპლიციტური მიზნები და ამოცანები, რაც მათი ორგანიზაციული მისიის ნაწილია და საჯაროდაა გაცხადებული. ეს უნდა გარდაიქმნას სააგენტოს ყოველდღიურ მუშაობად. სააგენტოებმა უნდა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მართვასა და სამუშაო პროცესში.

3.2 ოფიციალური სტატუსი

სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი საფუძველი და ფორმალურად აღიარებული უნდა იყვნენ, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები კომპეტენტური საჯარო ხელისუფლების მიერ.

3.3 დამოუკიდებლობა

სააგენტოები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ და იმოქმედონ ავტონომიურად. მათ უნდა ჰქონდეთ სრული პასუხისმგებლობა თავიანთ ოპერაციებსა და შედეგებზე მესამე მხარის გავლენის გარეშე.

3.4 თემატური ანალიზი

სააგენტოებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნება ხარისხის გარე უზრუნველყოფის აქტივობების ზოგადი მოპოვებული მონაცემები.

3.5 რესურსები

სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური და შესაბამისი რესურსები, ადამიანურიც და ფინანსურიც, რათა წარმართონ თავიანთი მუშაობა.

3.6 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და პროფესიული საქმიანობა

იმისათვის, რომ განსაზღვრონ, გააძლიერონ და უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის ხარისხი და პატიოსნება, სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები.

3.7 სააგენტოების ციკლური გარე მიმოხილვა

სააგენტოებმა უნდა გაიარონ გარე შემოწმება სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ, რათა წარმოაჩინონ თავიანთი შესაბამისობა **ESG**-სთან.

დანართი 2: კომპეტენციის დონეები

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

კომპეტენციის დონეების ფორმულირება სამუშაოთა ჩამონათვალის ნაწილია, რომელიც გადაეცა კოლეგათა მიერ რეცენზირებად ჟურნალს.

გამოყენებული სამუშაოთა ჩამონათვალი:
Bergsmann, E., Klug, J., Först, N., Burger, C., & Spiel, C. (submitted). *The Competence Screening Questionnaire for Higher Education: A framework for multiple domains.*

კომპეტენციის დონეები ხელმისაწვდომი იქნება რეცენზირებადი ჟურნალის გამოქვეყნების შემდეგ.

დანართი 3: კალენდარი

ამ დანართში შემოგთავაზებთ დროის ჩარჩოს IQM პროცედურის დანერგვისთვის და მისი შემდგომი რუტინული ოპერაციებისთვის. დროის ჩარჩო შესაძლოა სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვა იყოს. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ მაგალითს, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს ორიენტირად, თქვენს უნივერსიტეტში IQM პროცედურის დანერგვის და რუტინული ოპერაციების დაგეგმვისთვის.

დანერგვის პროცესის დროის ჩარჩო


დროის ჩარჩო ითვალისწინებს დაახლოებით ორ წელიწადს IQM პროცედურის დანერგვის პროცესისთვის და დაახლოებით ერთი წელი არის გათვლილი მისი შემდგომი რუტინული ოპერაციებისათვის.

ჩვენი შეფასებით, დანერგვის პროცესისთვის დროის ჩარჩოში გათვალისწინებულია დაახლოებით ოთხი თვე მომზადებისთვის, 6-6 თვე – სამი ნაბიჯიდან თითოეულისთვის და დაახლოებით ორი თვე – ასახვის ფაზისთვის.

სქემა 10 გვთავაზობს ზოგად მიმოხილვას, სადაც თითოეული გრაფა აღნიშნავს ერთ თვეს. გრაფაში მოცემული ინფორმაცია უფრო დეტალურად ახსნილია თავებში IQM პროცედურის დანერგვის შესახებ.

დროის ჩარჩო IQM პროცედურის რუტინული ოპერაციებისთვის

IQM პროცედურის რუტინული ოპერაციებისთვის განვსაზღვრეთ ერთი თვე მოსამზადებლად და 1-ლი ნაბიჯისთვის, 5 თვე – მეორე და მესამე ნაბიჯებისთვის და ერთი თვე – ასახვისთვის. დანერგვის დროის ჩარჩოსთან შედარებით მოსამზადებელი ფაზის დროის ჩარჩო და რუტინული ოპერაციების პირველი ნაბიჯების დროის ჩარჩო გაცილებით მოკლეა. ეს იმიტომ, რომ მთავარი მოსამზადებელი საქმიანობა, ისევე, როგორც თეორიული კომპეტენციების მოდელის შემუშავება, ხორციელდება დანერგვის პროცესში. მომზადებამ და პირველმა ნაბიჯმა გაცილებით დიდი დრო შეიძლება წაიღოს, თუ იცვლებიან გადაწყვეტილების მიმღები პირები ან თუ საჭიროა კომპეტენციების ადაპტირება ახალ ვითარებებთან. მომდევნო წლებში, უკვე მიღებული გამოცდილების წყალობით, მეორე და მესამე ნაბიჯი და დაფიქრება შესაძლოა შემოკლდეს მათ ხანგრძლივობასთან შედარებით დანერგვის ფაზაში (მაგ. კითხვარს აღარ დასჭირდება საპილოტე ტესტირება).



მოსამზადებელი ფაზა



ნაბიჯი 1




ნაბიჯი 2



ნაბიჯი 3



ასახვის ფაზა



სქემა 10: IQM პროცედურის დაანერგვისთვის შეთავაზებული კალენდარი



ვენის ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტი
(ვეტმედუნი, ვენა)
ვეტერინარპლატც 1, 1210 ვენა
ავსტრია